


ს-19
ნიკოლოზ სააკაშვილი
თამარ ჩილინგარიშვილი


საქართველო – ტურიზმის და კურორტების ქვეყანა



ნიკოლოზ სააკაშვილი
თამარ ჩილინგარიშვილი

ს-19

საქართველო - ტურიზმის და კურორტების ქვეყანა



რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ
სტუდენტებისათვის და აგრეთვე ტურიზმისა და
კურორტების განვითარებით დაინტერესებული
პირებისათვის



გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ნიკოლოზ მიხეილის ძე სააკაშვილი — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, აკადემიკოსი, საქართველოს კურორტების აღდგენისა და განვითარების ასოციაციის თავმჯდომარე.

თამარ გრიგოლის ასული ჩილინგარიშვილი — ექიმი კურორტოლოგი, მედიცინის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

© ნ. სააკაშვილი, თ. ჩილინგარიშვილი, 2011 წ.

ISSN 978-9941-16-114-8

წინათქმა

ლეგენდა გვამცნობს, რომ უფალმა საქართველოს დააბერტყა თითქმის ყველაფერი – მრავალფეროვანი კლიმატი, მინისქვემა თერმული წყლები, მდინარეები, წყაროები, ნაყოფიერი ნიადაგი, კარსტული მღვიმეები, სამკურნალო ტალახის საბადოები და მრავალი სხვა.

XXI საუკუნეში, როდესაც ქვეყანა დამოუკიდებელია, ვითარდება და მიიღწვის ცივილურ სამყაროში ინტეგრაციისაკენ, გვაქვს არნახული შესაძლებლობები ტურიზმის სპეციფიკური მიმდინარეობების გასანვითარებლად და უზარმაზარი პოტენციალი ვიყოთ მსოფლიოს წამყვანი ტურისტული ქვეყნების რიგში.

ნაშრომი არის მცდელობა საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახოს ყველა ის სიკეთე, რაც ჩვენს საქართველოს გააჩნია და რაც ქვეყანას დაუმკვიდრებს მსოფლიო თანამეგობრობაში ერთ-ერთი ლიდერის საპატიო ადგილს.

წიგნი განკუთვნილია ტურიზმის მიმართულების სტუდენტებისათვის და იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ სურვილი თავიანთი საქმიანობა დაუკავშირონ ტურიზმს და კურორტულ საქმიანობას, ექიმ-კურორტოლოგებისათვის, ასევე, იმ უცხოელი თუ ქართველი ინვესტორებისათვის, ვისაც აქვს სურვილი განახორციელოს ინვესტირება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის – რეკრეაციული ტურიზმის სფეროში.

პროფესორი

სარჩევი

I ტურიზმი და რეკრეაცია	5
1. საკურორტო საქმისა და ტურიზმის განვითარების პერსპექტივა საქართველოში.....	8
2. საქართველოს საკურორტო-რეკრეაციული რაიონები.....	11
3. თბილისი – საქართველოს დედაქალაქი-კურორტი – SPA CITY	19
4. ბორჯომი — ბალნეოკლიმატური ქალაქი-კურორტი – SPA TOWN	23
II. საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობა	26
1. ფლორა და ფაუნა	26
2. საქართველოს დაცული ტერიტორიები და ტურისტული მარშრუტები.....	32
III ტურიზმისა და დასვენების სახეები.....	114
1. ეკოტურიზმი	114
2. სპელეოტურიზმი და სპელეოთერაპია.....	115
3. ღვინის ტურიზმი და ენოთერაპია	119
4. ტურისტული ინფრასტრუქტურა ღვინის მარნების (კომპანიების) სია კახეთში.....	125
IV გამოყენებული ლიტერატურა.....	134

ტურიზმი და რეკრეაცია

ადამიანი უძველესი დროიდან იყენებდა ბუნებრივ რესურსებს გასაჯანსაღებლად და სამკურნალოდ. საქართველოში ამ ფაქტზე მიუთითებენ სხვადასხვა არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ანტიკური დროის აბაზანები.


XXI საუკუნეში, როცა ადამიანი განსაკუთრებულ სტრესულ ვითარებაში აღმოჩნდა — ეკოლოგიური კატასტროფები, ეთნოკონფლიქტები, ტერაქტები, ომები, ცხოვრების არანორმალური ტემპი, დადგა განტვირთვისა და გაჯანსაღების ორიგინალური ფორმების გამოყენების დრო, სადაც ერთმანეთთან არის შერწყმული დასვენება, რელაქსაცია, გართობა, ფიზიკური და სულიერი წონასწორობის აღდგენა, ახლის შეცნობა, გაჯანსაღება, მკურნალობა და სხვა.

ამ ყველაფრის ერთდროულად განხორციელების საუკეთესო სფეროა ტურიზმი.

ტურისტული თვალთახედვით საქართველო უნიკალური ქვეყანაა. აქ 70000 კვ.კმ-ზე განლაგებულია 103 კურორტი, 340 საკურორტო ადგილი, 2000-ზე მეტი მინერალური წყარო, 1300-ზე მეტი კარსტული მღვიმე, წყალუხვი მდინარეები, ტბები, ჩანჩქერები, შავიზღვისპირეთის სუბტროპიკული ზონა, დაცული ტერიტორიები, ეროვნული პარკები, ტყეები, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, მუდმივი თოვლითა და მყინვარებით დაფარული კავკასიონის ქედი.

კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს რთულ კლასიკურ ტრავერსს. საქართველოს ყველაზე ცნობილ მწვერვალებს წარმოადგენს ყაზბეგი — 5033 მ, თეთნულდი — 4853 მ, შხარა — 5068 მ, უშბა — 4700 მ, ჯანგითაუ — 5059 მ და სხვა. 1923 წლიდან დაიწყო საქართველოში ალპინიზმის სკოლისა და სპორტის განვითარება, რამაც დიდი პოპულარობა მოიპოვა შემდგომში უცხოელ ტურისტებშიც.

საქართველოში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს უამრავი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის არსებობა. უძველესი ხანას (ბრინჯაოსა და ადრეული რკინის საუკუნეები) მიეკუთვნება ბედენის, თრიალეთის, სამთავროს, სამგორის ყორღანები, აფხაზეთის დოლმენები; ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV — III — I საუკუნეებით თარიღდება უძველესი დედაქალაქის — მცხეთის აკროპოლი და ვანის ნაქალაქარი ციხე-სიმაგრის ნაგებობებით, სასახლისა და საკულტო შენობებით; ქალაქ გამოქვაბულის — უფლისციხის (ქ. გორის მახლობლად) ადრეული სადგომები. დიდი რაოდენობითაა შემონახული ადრექრისტიანული ტაძრები, რომელთა შორის მრავალი — ბოლნისის რაიონი (V ს.), ნინოწმინდა (VI ს.), ჯვარი მცხეთის მახლობლად (VI — VII საუკუნეები) — წარმოადგენს არქიტექტურის ცნობილ ძეგლებს. ძალზედ თვალწარმტაცი და ამავე დროს კომპოზიციურად მკაცრია X — XI სს-ის ტაძრები და ეკლესიები — კუმურდოში, ქუთაისში, ალავერდში (ქ. თელავის მახლობლად), სვეტიცხოველი



მცხეთაში, სამთავის (ქ. გორის მახლობლად), ნიკორწმინდა (ქ. ამბროლაურის მახლობლად), აგრეთვე XII საუკუნის გელათის მონასტერი (ქ. ქუთაისის მახლობლად) — შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონასტერთაგანი საქართველოში. შემორჩენილია გრანდიოზული, კლდეში ნაკვეთი XII — XIII სს-ის მონასტრები — დავით გარეჯისა (თბილისიდან 60 კმ-ის დაცილებით) და ვარძიისა (ბორჯომიდან 70 კმ-ის დაცილებით, 1938 წლიდან მუზეუმ-ნაკრძალი). XIV — XVIII სს-დან შემორჩენილია ციხე (გრემისა-XVI ს.), ტაძრები, მონასტრები, სასახლეები, ციხე-სიმაგრეები (ხერთვისი, კვარასციხე), ხიდები და სხვა ნაგებობები.

საქართველოში ტურიზმის განვითარება დაიწყო XIX — XX საუკუნის მიჯნაზე, განსაკუთრებით კი II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. 50-იანი წლების II ნახევრიდან დაიწყო განვითარება საერთაშორისო ტურიზმმა, რაც განპირობებული იყო იმ დროისათვის კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზებისა და სასტუმროების ექსპლუატაციაში შესვლით — თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ვარძიაში და სხვა.



საკურორტო საქმისა და ტურიზმის ბანკათარების პერსპექტივა საქართველოში

საქართველოს ბუნებრივი და საკურორტო ფაქტორების გამოყენება ტურიზმის სფეროში, მდგრადი ეკონომიკური განვითარების საუკეთესო გზაა. ტურიზმის სფეროდან შემოსული თანხებით შესაძლებელი გახდება კურორტების რეაბილიტაცია, არსებული ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და ახლის შექმნა, ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადება საერთაშორისო სტანდარტებით ტურისტული მომსახურების სფეროსათვის, მათ შორის სამედიცინო პერსონალის (ექიმები, მედდები, მასაჟისტები, სპორტული მედიცინის მეთოდისტები) და მათი დასაქმება შესაბამის ინფრასტრუქტურაში.

უცხოელი ექსპერტების აზრითა და მოწინავე ტურისტული ქვეყნების გამოცდილებით (შვიცარია, ავსტრია, ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, საბერძნეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, გერმანია და სხვა), ბუნებრივი და საკურორტო ფაქტორებით ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორც საქართველოა მიზანშეწონილი და პრიორიტეტულია საკურორტო-რეკრეაციული (გამაჯანსაღებელი) ტურიზმის განვითარება.



1994 წელს ჰავაის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ მულტიპლიკაციური ეფექტი ყველაზე მძლავრად არის გამოხატული სწორედ გამაჯანსაღებელ ტურიზმში, ძვირადღირებული ელიტარული სამედიცინო მომსახურების ხარჯზე (გამაჯანსაღებელ ტურიზმში განხორციელებულ ინვესტიციაში ყოველი 1 დოლარი გენერირდება 2,15 დოლარად, მაშინ როცა ტიპურ სათავგადასავლო ტურიზმში გენერირდება 1,76 დოლარად, 39 ცენტი განსხვავება გამაჯანსაღებელი ტურიზმის უპირატესობაზე მეტყველებს).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ტურისტულ სექტორში უდიდესი სეგმენტი მთელ მსოფლიოში გამაჯანსაღებელ ტურიზმს უჭირავს, საქართველოსათვის მართლაც უპრიანია ამ მიმართულების განვითარება, მისი საკურორტო-ტურისტული პოტენციალიდან და ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე (ევრაზიის კორიდორი, კავკასიის გული, დიდი აბრეშუმის გზა).

სწორად გათვლილი მარკეტინგისა და მიზნობრივად განხორციელებული ინვესტირების შემთხვევაში, საქართველო ახლო მომავალში ნამდვილად შესძლებს დადგეს განვითარებული ტურისტული ქვეყნების გვერდით, მოწინავე პოზიციებზე. რაც შეეხება ტურიზმის სფეროში განხორციელებულ ინვესტიციას, იგი მრენველობასთან შედარებით გაცილებით ტევადია, და მოგებაც მოკლე ვადაში მოაქვს, რაც ასე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის.

ამის საუკეთესო მაგალითია ბათუმში, ანაკლიაში, ყვარლის ტბაზე განხორციელებული პროექტები. საკურორტო-რეკრეაციული და გამაჯანსაღებელი ფაქტორების გათვალისწინებით, საინვესტიციოდ ყველაზე პერსპექტიულ კურორტებს მიეკუთვნება — თბილისი, წყალტუბო, ბორჯომი, ნუნისი, ცაიში, ახტალა, აბასთუმანი, ბახმარო, გომარდული და სხვა.

ბოლო დროს, მთელ მსოფლიოში ძალიან აქტუალური გახდა ბუნებრივი მინერალური წყლების ბაზაზე



- გამაჯანსაღებელი, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრების დაარსება, რაც ხელს უწყობს ამავე დროს, სპა- ტურიზმის განვითარებას. ამ თვალსაზრისით არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს და აქვს უდიდესი პერსპექტივა ტურიზმის ამ სახეობის განვითარებისათვის (2000-ზე მეტი მინერალური წყარო, რომელთაგანაც დაახლოებით 50% გამოიყენება სასმელად, ხოლო 50 % – საპროცედუროდ).

ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე განხორციელებული მოდერნისტული რეფორმები, რის შედეგადაც თბილისი გახდა საერთაშორისო დონის დედაქალაქი – სპა (SPA CITY), სადაც უკვე შესაძლებელია უცხოელი ტურისტების მიღება.

საქართველოში სავსებით რეალურია სპა-ინდუსტრიის განვითარება მთელი ქვეყნის მასშტაბით. განსაკუთრებით აქტუალურია სპა-ტურიზმის განვითარება – თბილისის გამოცდილების გაზიარებით – ბორჯომში, წყალტუბოში, საირმეში, ნუნისში, ნაბეღლაში, მენჯში, ცაიში და სხვ.

რაც შეეხება საქართველოს ტურისტულ იმიჯს, მის შექმნაში ყველაზე დიდი როლი არგონავტებს მიუძღვით და ეს ფაქტი დღემდე არ კარგავს აქტუალობას. თუმცა თანდათან სულ უფრო აქტუალური ხდება პირველი ევროპელების თემა. თუ აქცენტს იმაზეც გავაკეთებთ, რომ საქართველოში საკურორტო სივრცე დედაქალაქიდან იწყება, რამდენადაც თბილისი ყველა თავის ღირსშესანიშნაობასთან ერთად ბალნეოლოგიურ კურორტს წარმოადგენს, ყოველივე ამის საერთაშორისო საზოგადოებაში დამკვიდრებისათვის (PR), მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიები დაგვჭირდება.

საქართველოს საკურორტო — რეკრეაციული რაიონები

ტერიტორიის დარაიონება წარმოადგენს რთულ სამეცნიერო-შემეცნებით პროცესს, რომლის მიზანია ერთმანეთისაგან რაიმე მკაცრად განსაზღვრული ნიშნით განსხვავებული სივრცითი ერთეულების გამოვლენა. რეკრეაციული დარაიონების არსი ითვალისწინებს საერთო-სახელმწიფოებრივი, რეგიონალური ან ლოკალური დონის ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემების თანადაქვემდებარების გამოყოფას, კლასიფიკაციასა და დადგენას.

რეკრეაციული რაიონი ყალიბდება რეკრეაციული მომსახურების სფეროში — საკურორტო მკურნალობა, ზოგადგამაჯანსაღებელი დასვენება, ტურიზმი და აგრეთვე — შრომის პროფესიული გადანაწილების პროცესში.

სხვადასხვა დატვირთვის რეკრეაციული რაიონების გამოყოფის ძირითადი კრიტერიუმებია:

1. ბუნებრივ-რეკრეაციული და ისტორიულ-კულტურული რესურსების არსებობა გარკვეულ ტერიტორიაზე;
2. რეკრეაციული მომსახურების თვალსაზრისით ტერიტორიის გამოხატული სპეციალიზაცია;
3. წარმოებისა და მომსახურების სფეროს შეუღლებული დარგების განვითარების დონე;
4. დამსვენებლებისა და ტურისტების მომსახურებასთან დაკავშირებული ადგილობრივი მოსახლეობის ხვედრითი წონა;
5. საკურორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების დონე.

საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფილია 11 საკურორტო-რეკრეაციული რაიონი.

1. აფხაზეთის — რაიონის ჩამოყალიბება განპირობებული იყო ბუნებრივი ფაქტორებით: რბილი სუბტროპიკული ჰავის, თბილი ზღვის, მზის ნათების მაღალი ინტენსიურობის, მრავალრიცხოვანი მინერალური წყაროების კეთილისმყოფელმა შერწყმამ, შექმნა ბუნებრივი ფონი კურორტებისა და ტურიზმის განვითარებისათვის.



2. აჭარის — სპეციალიზაციის მიხედვით მსგავსია აფხაზეთის საკურორტო-რეკრეაციული რაიონისა. ძირითადი საკურორტო-რეკრეაციული ცენტრებია: ბათუმი, ქობულეთი, მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხისძირი.



3. სამცხე-ჯავახეთის — სამკურნალო თვისებების მქონე მთის ჰავამ და მრავალი მინერალური წყაროს არსებობამ განაპირობა ამ რაიონში კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტების განვითარება. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ფტიზიატრიული პროფილის კურორტი აბასთუმანი და ტურისტული ცენტრი, უნიკალური კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია.



4. **ბორჯომ-ბაკურიანის** — ფუნქციური თვალსაზრისით ყველაზე მრავალფეროვანია ბორჯომის საკურორტო-რეკრეაციული კომპლექსი, რომელიც პირველ რიგში მოიცავს საკურორტო მკურნალობას, თუმცა ბორჯომი ამავე დროს წარმოადგენს ტურიზმისა და დასვენების ცენტრს. ბაკურიანის ლოკალურ კომპლექსს გააჩნია ორმაგი ფუნქცია: ზაფხულში მთის კლიმატური კურორტის, ხოლო ზამთარში ემატება უმსხვილესი სამთო-სათხილამურო ცენტრის ფუნქცია. მნიშვნელოვანი კურორტებია: ნალვერი, ცემი, პატარა ცემი, ლიბანი და სხვ.



5. **კოლხეთის** — უჭირავს კოლხეთის დაბლობი ზღვისპირა სანაპირო ზოლით და მიმდებარე მთისწინეთი. აქ განლაგებულია სხვადასხვა მინერალურ წყაროებზე დაფუძნებული ბალნეოლოგიური კურორტები: წყალტუბო, ცაიში, მენჯი და ზღვისპირა კლიმატური კურორტები: ურეკი, გრიგოლეთი, მალთაყვა. მსხვილი ტურისტული ცენტრია ქალაქი ქუთაისი.



6. **სვანეთის** — მთის ჰავა, მაღალმთიანი ლანდშაფტები, მრავალრიცხოვანი მინერალური წყაროები, ამ რაიონს ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულად ხდის როგორც საკურორტო-რეკრეაციული, ისე ტურისტული თვალსაზრისით. ამ რაიონის ტერიტორიაზე გადის მრავალი ტურისტული მარშრუტი, იგი წარმოადგენს ალპინიზმის მნიშვნელოვან არეალს.



7. **რაჭა-ლეჩხუმის** — თავისი ბუნებრივი ფაქტორებით მსგავსია სვანეთის საკურორტო-რეკრეაციული რაიონისა. განსაკუთრებით პოპულარულია ბალნეო-კლიმატური კურორტი უნერა და მთის კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტი შოვი, რომელიც ამავე დროს ტურისტულ ცენტრსაც წარმოადგენს.



8. **სამხრეთ-ოსეთის** — აქ მდებარეობს პოპულარული ბალნეო-კლიმატური კურორტი ჯავა, ძალიან პერსპექტიული რაიონია ტურიზმის განვითარებისათვის.

სამხრეთ-ოსეთის
კლიმატო-ბალნეოლოგიური
კურორტი

9. **აღმოსავლეთ-კავკასიონისა** — ჩამოყალიბდა საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ, მდიდარია დიდი ხნის ტურისტული ტრადიციებით. ალპინიზმის მნიშვნელოვანი ცენტრია ყაზბეგი, ხოლო განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სამთო-სათხილამურო ცენტრი გუდაური.



ნახშირმჟავა მინერალური წყაროების უდიდესი რესურსები ქმნის პერსპექტივას ამ რაიონში ბალნეოლოგიური კურორტების განვითარებისა და მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნების მშენებლობისათვის.



10. **თბილისის** — განსაკუთრებით მრავალფუნქციური რაიონია როგორც საკურორტო-რეკრეაციული, ისე ტურისტული თვალთახედვით. დედაქალაქი-კურორტი თბილისი, მასში თავმოყრილი ისტორიულ-კულტურული ძეგლების და განსაკუთრებული ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ვითარდება როგორც საერთაშორისო ტურიზმის ცენტრი და ამავე დროს საერთაშორისო ბალნეოლოგიური კურორტი.



11. **კახეთის** — აქ არის პოპულარული ტალახით სამკურნალო კურორტი ახტალა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრებია სიღნაღი, თელავი, ლაგოდეხი, გურჯაანი, წინანდალი. რაიონი წარმოადგენს საქართველოში ღვინის ტურიზმის განვითარების აკვანს.



თბილისი - საქართველოს დედაქალაქი- კურორტი SPA CITY

კურორტი მდებარეობს აბანოთუბანში გორგასალის ქ. № 9-ში, რაც ნიშანდობლივია, რადგან ქ. თბილისის დაარსება ამ ტერიტორიაზე სწორედ თერმულ-გოგირდიანმა მინერალურმა წყლებმა განაპირობეს, რომლებიც მეფე ვახტანგ გორგასალმა აღმოაჩინა ნადირობისას, მე-5 საუკუნის დასაწყისში.

ქართველი მეფე არ შემცდარა დედაქალაქის თბილისში გადმოტანისას, რადგანაც მსოფლიოში იშვიათია ტურისტებისათვის ისეთი მიმზიდველი და საინტერესო ქვეყანა, რომლის დედაქალაქიც ბალნეოლოგიურ კურორტს წარმოადგენდეს, ყველა სხვა ღირსშესანიშნაობასთან ერთად.

1938 წელს, ოფიციალურ კურორტად აღიარებამდე, თბილისის ცნობილმა აბანოებმა ხანგრძლივი გზა განვლეს ლეგენდიდან სინამდვილეამდე. ისინი საუკუნეების მანძილზე



წარმოადგენდნენ როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე ჩამოსული სტუმრების თავშეყრის ადგილს, შესანიშნავ რიტუალს, რომელსაც თან ახლდა დროსტარება, გაჯანსაღება, განკურნება, გასუფთავება და განახლება.

სხვადასხვა დროს თბილისის აბანოების სტუმრობისას, ვერ დამალეს თავისი აღტაცება — ცნობილმა ფრანგმა მოგზაურმა შარდენმა, მწერალმა დიუმამ, დიდმა რუსმა პოეტმა პუშკინმა, ქირურგმა პიროგოვმა და სხვა.

ცნობილია, რომ XVIII საუკუნეში, ალა-მაჰმად-ხანისათვის, თბილისის დაპყრობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ აბანოები იყო.

შედის თბილისის კურორტების ჯგუფში. განლაგებულია თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. კურორტის ტერიტორია (მასზე განლაგებულ სახლებთან ერთად) შეადგენს 400 ჰა ფართობს. ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით ის ესაზღვრება მდ. მტკვარს და “300 არაგველის” ბაღს, დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან მას ეკვრის თბილისის ბოტანიკური ბაღი, ხოლო სამხრეთით თაბორის შემადგენელია და კრწანისი. კურორტის რელიეფი თბილისის ქვაბურის ნაწილია — ზღვის დონიდან 406 — 522 მ-ის სიმაღლეზე.

ზამთარი აქ თბილია, თოვლის საფარი არამდგრადი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა $+9^{\circ}\text{C}$. ზაფხული ძალიან თბილი, მზიანი და მშრალია. აგვისტოს საშუალო ტემპერატურაა $+24^{\circ}\text{C}$. ნალექების წლიური რაოდენობა 555 მმ-ია, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 66%-ს შეადგენს. მზის ნათების ხანგრძლივობა - 2150 საათია წელიწადში, როგორც წესი ძლიერი ქარები არ იცის.

კურორტის თერმული (ტემპერატურა $+37^{\circ}\text{C}$ -დან $+47^{\circ}\text{C}$ -მდე) მინერალური წყლები ქიმიური შემადგენლობით მიეკუთვნება სულფიდურ, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ და ჰიდროკარბონატულ-კარბონატულ-ქლორიდულ, ნატრიუმ-მიან წყლებს დაბალი მინერალიზაციით ($0,3-0,4$ გ/ლ), სულფიდების საერთო რაოდენობა საშუალოდ მერყეობს 10 — 20 მგ/ლ ფარგლებში. წყაროების დღე-ღამის დებეტი შეადგენს 800 000 ლიტრს.

კურორტს არ ახასიათებს სეზონურობა, იგი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში.

დღესდღეობით კურორტი წარმოადგენს სამკურნალო-დიაგნოსტიკურ, სარეაბილიტაციო და ტურისტულ გამაჯანსაღებელ სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრს, რომელიც ილქურვილია უახლესი აპარატურით — პანორამული ექოსკოპი; დენსიტომეტრი; იმუნო-ფერმენტული ლაბორატორია და სხვა.

კურორტზე ფუნქციონირებს — კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო პოლიკლინიკა, ბალნეოთერაპიული, ჰიდროთერაპიული, ფიზიოთერაპიული განყოფილებები, ახტალის და კუმისის ტალახით სამკურნალო, ჰიდროკოლონოთერაპიის, ხერხემლის მშრალი და წყალქვეშა გაჭიმვის, ტაილანდური, პლანტარული, კლასიკური მასაჟის და მანუალური თერაპიის კაბინეტები, ფიტობარი ჟანგბადის კოქტილებით და სხვა.

მკურნალობის და რეაბილიტაციის ძირითადი მიმართულებები:

1. ძვალ-სახსროვანი და კუნთოვანი სისტემის დაავადებები: ართრიტი, პოლიართრიტი, ოსტეოქონდროზი, ოსტეოპოროზი, მიოზიტი, მოტეხილობის და ტრავმის შემდგომი გართულებები.
2. ნერვული სისტემის დაავადებები: ნევროზი, ნევრასთენია, ნევრიტი, პოლინევრიტი, რადიკულიტი, პლექსტი.
3. საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები: გასტრიტი, დუოდენიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატოქოლექცი-სტიტი, კოლიტი, პეპტიური წყლული - რემისიის ფაზაში.
4. გინეკოლოგიური დაავადებები: ვაგინიტი, სალპინგო-ოფორიტი, ენდომეტრიტი, უშვილობა და სხვა.
5. უროლოგიური დაავადებები: ურეთრიტი, ცისტეტი, პროსტატიტი, იმპოტენცია.
6. კანის დაავადებები: ფსორიაზი, ეგზემა, ნეიროდერმიტი და სხვა.

7. ნივთიერებათა ცვლის მოშლით გამონვეული დაავადებები: სიმსუქნე, შაქრიანი დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები.

8. ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებები: ჰაიმორიტი, ლარინგიტი, ფარინგიტი და სხვა.

9. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები: ჰიპერტენზია, ჰიპოტენზია, ათეროსკლეროზი, ენდარტერიტი, პოსტთრომბოფლებიტიური სინდრომი.

10. პედიატრიული დაავადებები: ბავშვთა ცერებრული დამბლა, ენურეზი, სქოლიოზი, რაქიტი და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებების დროს ნაჩვენებია კურორტული მკურნალობა ქვემწვავე, ქრონიკული ფორმების და რემისიის დროს.

ჯანმრთელი კონტიგენტისათვის, როგორც თბილისის მოსახლეობისათვის, ისე ჩამოსული სტუმრებისათვის, კურორტზე შემუშავებულია სპეციალური ელიტარულ-ესთეტიური პროგრამები, რომლებიც მოიცავს რელაქსაციას, სტრესისგან განთავისუფლებას, გაახალგაზრდავებას, გალამაზებას, ცელულიტის მოშორებას, სხეულის კორექციას; პოსტმენოპაუზალური და ასაკობრივი ოსტეოპოროზის პრევენციას და მოტეხილობების თავიდან აცილებას — ბუნებრივი და პრეფორმირებული ფიზიკური ფაქტორებით, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს.

ბორჯომი — ბალნეო-კლიმატური ქალაქი- კურორტი SPA TOWN

ბორჯომი საქართველოს სახელგანთქმული კურორტია. იგი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ-მთიანეთის ნაწილში. ბორჯომი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და აღიარებული ბალნეო-კლიმატური კურორტია. საოცრად მდიდარმა და უაღრესად მრავალფეროვანმა ბუნებამ, უნიკალურმა სამკურნალო მინერალურმა წყლებმა მას ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში გაუთქვეს სახელი.

ბორჯომი განლაგებულია მდ. მტკვრისა და მისი ორი შენაკადის ბორჯომულასა და გუჯარულას წარმტაც ხეობაში ზღვის დონიდან 800-1000 მ-ზე.

სიტყვა „ბორჯომი“ წმინდა ქართულია. ბორჯომის ძირეული ნაწილი „ბორჯი“ ქართული განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „ფესვს“ ნიშნავს. ბორჯომის ხეობას ისტორიულად თორის ხეობა ეწოდებოდა. კლიმატის თავისებურება განპირობებულია კურორტის მდებარეობით სუბტროპიკული ზონის დაბალმთიანი ტყის ზონაში. ზაფხული თბილია, ჭარბობს მზიანი დღეები (აგვისტოს თვის საშუალო ტემპერატურაა $+20,1^{\circ}\text{C}$, სუსხიანი დღეები ოქტომბრის ბოლოს იწყება, ზამთარი ზომიერად რბილია, მცირეთოვლიანი. იანვრის თვის საშუალო ტემპერატურაა $-2,1^{\circ}\text{C}$, წლიური საშუალო ტემპერატურაა $+9,1^{\circ}\text{C}$. ნალექების რაოდენობა 653 მმ-ს აღწევს წელიწადში. ჰაერის საშუალო თვიური შეფარდებითი ტენიანობა აგვისტოში -50% , დეკემბერში 65% -ია. მზის ნათება პლატოზე 1900 საათია წელიწადში.

კურორტს არ გააჩნია სეზონურობა და მისი გამოყენება შეიძლება დასასვენებლად და სამკურნალოდ მთელი წლის განმავლობაში.

ბორჯომის აღმშენებლობა დაიწყო 1850 წლიდან, ხოლო ქალაქად გამოცხადდა 1919 წელს.

გაშენებულ იქნა მინერალური წყლების პარკი, ხოლო 1896 წელს პარკის შესასვლელში აშენდა ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანა. 1899 წელს მდ. ბორჯომულაზე აგებულ იქნა საქართველოში პირველი ჰიდროელექტროსადგური

1930 წელს აშენდა მინის ქარხანა.

1862 წელს, კავკასიის მთავარსარდლად დაინიშნა რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II- ს ძმა, დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი, რომელსაც ბორჯომის ხეობა ძალიან მოსწონებია და თავის საზაფხულო რეზიდენციად გადაუქცევია. შემდგომში საბჭოთა კავშირის დროს, ის იქცა სამთავრობო რეზიდენციად, რომელსაც ხშირად სტუმრობდა იოსებ სტალინი.

1887 წელს ბორჯომში ისვენებდა პეტრე ჩაიკოვსკი, რომელიც წერდა „ჩემი აზრით, ეს ყველაზე ღვთაებრივი და საუკეთესო ადგილია მთელს მსოფლიოში“.

კურორტ ბორჯომის წამყვანი სამკურნალო ფაქტორია საყოველთაოდ ცნობილი მინერალური წყლები (ვიშის ტიპის). ქიმიური შემადგენლობით მინერალური წყლები მიეკუთვნება ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ, ნატრიუმის წყლებს, რომელიც შეიცავს თავისუფალ ნახშირმჟავას 0,5-დან 1,0 გ/ლ-მდე. მინერალური წყლის ტემპერატურა სხვადასხვა წყაროებში მერყეობს +17 +38°C, საერთო მინერალიზაცია 6-7 გ/ლ, წყლების საერთო დებეტი ცვალებადია და დღე-ღამეში 700-800 ათას ლიტრს შეადგენს.

მინერალური წყლები კურორტზე ძირითადად გამოიყენება სასამედიცინო-სამკურნალოდ, სააბაზანოპროცედურების გასაშვებად, ინჰალაციის, კუჭისა და ნაწლავების გამოსარეცხად, ხოლო კურორტის გარეთ – ბოთლებში ჩამოსხმული, როგორც სამკურნალო სუფრის წყალი.

ბორჯომის მინერალურმა წყალმა მრავალ საერთაშორისო გამოფენაზე მიიღო მონაწილეობა და არაერთი ჯილდო მოიპოვა.

1907 წ. — ქ. სპა-ში (ბელგია), საპატიო დიპლომი.

1909 წ. — ქ. ყაზანში, ოქროს დიდი მედალი.

1911 წ. — ცარსკოე სელოში, ოქროს მედალი.

1940 წ. — ქ. ტალინში, ოქროს მედალი.

1960 წ. — სსრკ-ს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საპატიო დიპლომი.

1975 წ. — უნგრეთში, საპატიო დიპლომი.

1991 წ. — ქ. დრეზდენში (გერმანია), საპატიო დიპლომი.

2006 წ. — ქ. მოსკოვში, ოქროს მედალი.

დღეისათვის ბორჯომის მინერალური წყალი გააქვთ ბევრ ქვეყანაში.

ამჟამად, რამდენადაც მსოფლიოში აქტუალური გახდა რეკრეაციული ტურიზმის განვითარება და SPA-WELLNESS პროგრამების განხორციელება ბალნეოლოგიური კურორტების პირობებში, ისე როგორც თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე, კურორტ ბორჯომის პირობებშიც შესაძლებელია – რელაქსაცია, სტრესისგან განთავისუფლება, გაახალბრდავება, ცელულიტის მოშორება, აგრეთვე დაბერების და მთელი რიგი დაავადებების პრევენცია, სხეულის კორექცია და აგრეთვე მთელი რიგი დაავადებების პრევენცია.

ამ გადასახედიდან, განსაკუთრებით მიზანშეწონილია რეკრეაციული ტურიზმის განვითარება კურორტ ბორჯომის პირობებში, სადაც ზემოთ აღწერილი უნიკალური სასამედიცინო მინერალური წყლების გარდა, პარკიდან 3 კმ დაშორებით, ტყეში, არის თერმულ-სულფიდური სააბაზანო მინერალური წყალი, რომელიც, დაბალი მთის კლიმატთან ერთად წარმოადგენს დამატებით სამკურნალო-რეკრეაციულ ფაქტორს.

ყოველივე ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, სწორი მენეჯმენტისა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში, სავსებით რეალურია, კურორტმა ბორჯომმა დაიკავოს ღირსეული კონკურენტული ადგილი მსოფლიო ტურისტულ სივრცეში – ქალაქი კურორტის (SPA-TOWN) სახით.



საქართველოს გუნებრივი მიმკვიდრეობა ფლორა და ფაუნა

საქართველოს მდებარეობამ სუბტროპიკული და ზომიერი სარტყლების გასაყარზე, ხელი შეუწყო ამ სარტყლებისათვის დამახასიათებელი მცენარეების განვითარებას. თბილი შავი ზღვის სიახლოვემ და კავკასიონის ქედით დაცულობამ, განაპირობა დასავლეთ საქართველოს ბარსა და მთიანეთში სითბომოყვარული მცენარეების ფორმირება და გავრცელება, მაშინ, როდესაც სამხრეთ აღმოსავლეთის მხრიდან, მშრალი და ცხელი ჰაერის გავლენით, აღმოსავლეთ საქართველოს ბარსა და მთისწინეთში ჩამოყალიბდა და გავრცელდა არიდული მცენარეულობა. საქართველოს მთიან რეგიონებში კი, ზომიერი და ცივი ჰაერის პირობებში, ზომიერად სითბომოყვარული და ყინვაგამძლე მცენარეულობა განვითარდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფლორა გამოირჩევა ენდემიზმით.

კოლხეთის დაბლობის და მთისწინეთის უმეტესი ნაწილი ხელოვნურ კულტურულ ლანდშაფტადაა ქცეული. ლოკალურად შემორჩენილია:

რელიქტური ჰიგროფილური ტყეები — მურყნიანი და ლაფნიანი (ზღვისპირეთი და მდინარეთა ჭალები); რელიქტური ძელქვნარი (აჯამეთის ნაკრძალი); სუბტროპიკული შერეული ფართოფოთლოვანი ტყეები — მუხა, ნაბლი, ნიფელი, რცხილა, ცაცხვი, იფანი და სხვა (ცალკეული მომცრო ფართობები).

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ზომის ფართობებზე გვხვდება:

რელიქტური ფიჭვნარი — ბიჭვინთის ფიჭვი და კოლხური ბზა, კოლხური მუხა, საკმელია (მდ. ბზიფის დელტა); რელიქტური სახეობები — მარწყვის ხე, ხისმგავსი მანანა და სხვა. (კავკასიონის ზღვისპირა რეგიონის მუხნარი ტყეები);

ენდემური რელიქტები — უნგერნის შქერი, სმირნოვის შქერი, ეპიგეა (მცირე კავკასიონის ზღვისპირა რეგიონის

მუხნარი ტყეები); მუქნიწოვანი ტყეები — ნაძვნარი, სოჭნარი, ქვეტყეში — მარადმწვანე და ფოთოლცვენია კოლხური სახეობები — კოლხური სურო, კავკასიური მოცვი, შქერი (სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონები); კოლხეთის და კოლხეთ-ლაზისტანის ენდემური რელიქტები — მეღვედვის არყის ხე და პონტოს მუხის ტყეები (აჭარა-გურიის რეგიონი).

სუბალპურ სარტყელში ბუნებრივი პირობები უზრუნველყოფს ბუჩქნარი და ბალახოვანი მცენარეულობის დიდ მრავალფეროვნებას. ამ ზონის საინტერესო წარმომადგენლებია რელიქტური მარადმწვანე ბუჩქის დეკას მიერ შექმნილი ბუჩქნარი — დეკიანი და სუბალპური მაღალბალახეულობა (სიმაღლე 1,5 — 2 მ და მეტი). მაღალმთიანი ზოლი მთლიანად დაფარულია ალპური მდელოებით.

აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც მცენარეული საფარის მიხედვით არსებითად განსხვავდება დასავლეთ საქართველოსაგან, ბუნებრივი მცენარეულობის უნიკალურ მრავალფეროვნებას განაპირობებს ბუნებრივი პირობების (რელიეფი, ჰავა, ნიადაგები) მრავალფეროვნება და მცენარეულობის ანთროპოგენური ტრანსფორმაციის დიდი მასშტაბი.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ზომის ფართობებზე გვხვდება:

ჭალის ტყეები — ოფი, ხვალო, ტირიფი, მურყანი, თელა (მდინარეების სანაპირო ზოლი); რელიქტური სახეობა — ლაფანი (ალაზნის ჭალის ტყეები); ფართოფოთლოვანი კორომები — ქართული მუხა, იფანი, ცაცხვი და სხვა. (პლატოები და სერების კალთები); უნიკალური რელიქტური მცენარეულობა, ე.წ. არიდული მეჩხერი (“ნათელი”, “სავანოიდური”) ტყეები — ფოთლოვანი არიდული ტყე — საკმლის ხე; წიწვოვანი არიდული ტყე — შავი ღვია და მრვალნაყოფიანი ღვია (ივრის ზეგანი); არიდული ტყის ნაშთები — საკმლის ხიანი, აკაკიანები, ბერყენიანი,

(მცხეთა — თბილისის მიდამოები); ნიფლნარი, რცხილნარი, იფნარი და შერეული ტყეები (ლაგოდეხის და საგარეჯოს ნაკრძალები); ძელქვანარი ტყე (ახმეტის რაიონი); ნიფლნარი (კავკასიონის სამხრეთი კალთა და მცირე კავკასიონის ფერდობები); ნაძვნარი, ნაძვნარ-ნიფლნარი და ნაძვნარ-სოჭნარი (მდ. დიდი ლიახვის ხეობა, მცირე კავკასიონის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილი).

ნიფლნარ ტყეებში ხშირად განვითარებულია რელიქტური კოლხური ქვეტყე — სქერი, წყავი, მოლოზანა, კოლხური სურო და სხვა. (ლიხის ქედი, ბორჯომის ხეობა, დასავლეთ თრიალეთი).

საკმაო ფართობზეა გავრცელებული სტეპისა და ნახევარუდაბნოს მცენარეულობა (ივერიის ბარი, ჩადაბლებული რელიეფი და მთისწინეთი, სადაც, მეტ-ნაკლებად დამლაშებული ნიადაგებია, ასევე შირაქ-ელდარის მშრალი და თხელნიადაგიანი სამხრეთის ფერდობები). მთების კალთებზე გავრცელებულია მუხნარები და ფიჭვნარი.

ბუჩქნარიდან ჩვეულებრივ გვხვდება: ჯაგრცხილა, შვინდი, კუნელი, თხილი, ზღმარტლი, ასკილი და სხვა. ბალახოვან მცენარეთაგან მუხნარი ტყისთვის დამახასიათებელია ბერსელა, ისლი, არჯაყელი, ირმისმხალა და სხვა.

კავკასიონის ჩრდილო კალთებზე (ხევი, პირიქითა ხევსურეთი, თუშეთი) ტყის სარტყლებში, ჩრდილოეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, დომინირებს არყიანი, ხოლო სამხრეთისაზე — ფიჭვნარი ტყე. სუბალპური სარტყლისათვის დამახასიათებელია სუბალპური ტყეები, ბუჩქნარები, მდელოები. მაღალმთიანი ბუჩქნარებიდან ფართოდ არის გავრცელებული დეკიანი.

საქართველოში მოიძებნება ათას წელს მიტანებული ხეები- 700 წლოვანი სამი ძირი ცაცხვი სოფელ უწერაში, 900 წლოვანი ჭადარი თელავში, ამავე ხნის ჭადარი ქუთაისში და 1200 წლოვანი სამი ძირი უთხოვარი სოფელ წედისში. (2008 წლის მონაცემები).

საკურორტო ტყეების ჯიშობრივ შემადგენლობას,

ესთეტიკის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სხვადასხვა მერქნიანი ჯიშის სხვადასხვა სუნის მქონე ნივთიერებების ნაირგვარი გამოყოფით ხასიათდება. მაგალითად, ფიჭვი უფრო მეტი რაოდენობით გამოყოფს ეთეროვან ზეთს, ვიდრე ნაძვი.

ტყის ჯიშობრივი შემადგენლობა დადებითად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, სულიერ მდგომარეობაზე, ემოციასა და ხასიათზე, როგორც სხვადასხვა არომატი, ისე ფერების თვალსაზრისით.

ტყე, როგორც ცნობილია, მრავალფეროვანი ფაუნით ხასიათდება; ტყეში მობინადრე სხვადასხვა ფრინველისა და მწერის ხმაური (სტვენა. ჭიკჭიკი, კაკუნი და სხვა), აგრეთვე დადებითად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე.

საქართველო ფაუნისტური რესურსების სიმდიდრით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამჟამად საქართველოში ძუძუმწოვართა — 100, ფრინველთა — 330, ქვეწარმავალთა — 48 და ამფიბიების 11 სახეობა ბინადრობს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფაუნამ შორეულ გეოლოგიურ წარსულში მეზობელი ოლქების ძლიერი ზეგავლენა განიცადა. კერძოდ, დასავლეთ საქართველოს ფაუნის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მცირე აზიისა და ჩრდილო აფრიკის ფაუნამ, ხოლო აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ცხოველთა სამყაროს ამკარად ემჩნევა შუა აზია-ირანული ფაუნის გავლენა, ამდენად, მიზანშეწონილია ამ ნაწილების ცალკ-ცალკე განხილვა.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულია:

მტაცებლებიდან — კავკასიური მურა დათვი, ტურა, ამიერკავკასიის მთის მელა, კავკასიური ტყის კატა, ჭანჭური მურა დათვი და კავკასიური მგელი (აჭარის ტყეები), კავკასიური ფოცხვერი, კავკასიური ტყის კვერნა;

ჩლიქოსნებიდან — გარეული ღორი (აფხაზეთის ტყეები, გურია, სამეგრელო), კავკასიური ირემი (რინის ნაკრძალი),

ევროპული შველი (ჭალადიდის ტყეები), ჯიხვი (რაჭის, სვანეთის, აფხაზეთის ქედები);

მღრღნელებიდან — კავკასიური ციყვი, თაგვები, ვირთაგვები, ჩვეულებრივი ძილგუდა;

ფრინველებიდან — ენდემური კოლხური ხობობი, შურთხი, როჭო, მწყერი, ყარყატი, ფასკუნჯი, ქორი, მიმინო, ძერა, შევარდენი;

ქვეწარმავლებიდან — კლდის ხვლიკი, მარდი ხვლიკი, კუ, ჩვეულებრივი ანკარა და წყლის ანკარა, იშვიათია კავკასიური გველგესლა;

ამფიბიებიდან — ტრიტონი, კავკასიური სალამანდრა, (ქედის რაიონი), გომბეშო, ბაყაყი;

იქტიოფაუნიდან — ზუთხი, ორაგული, ტბის კალმახი, კავკასიური ქაშაყი, კობრი შამაია და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის წყალი ღია ზღვაში 90-100 მეტრს ქვემოთ გაუღენთილია გოგირდწყალბადით, რის გამოც ზღვის საერთო მოცულობა 85-90% მოკლებულია ცხოველთა სამყაროს, შავი ზღვის ფაუნა საკმაოდ მრავალფეროვანია. შავ ზღვაში გავრცელებულია:

მოლუსკები და კიბოსნაირები;

თევზებიდან — ძალისებრი ზვიგენი, ზღვის კატა, სვია (სიგრძე — 9 მ-მდე, წონა — 1400 კგ-მდე), შავი ზღვის ქაშაყი, ქამსა, შავი ზღვის ორაგული, კეფალი, სკუმბრია და სხვა;

ძუძუმწოვრებიდან — დელფინისებრთა ოჯახის რამდენიმე წარმომადგენელი, კერძოდ, ზღვის ღორი, ზღვის დელფინი, შავი ზღვის აფალინა.

აღმოსავლეთ საქართველოს ფაუნის ნაირგვარობა განპირობებულია ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების მრავალფეროვნებით.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულია:

მტაცებლებიდან — მგელი, ტურა, ამიერკავკასიის მთის მელა, კავკასიური თეთრყელა კვერნა, კავკასიური მურა დათვი (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი), კავკასიური ფოცხვერი და სხვა.

ჩლიქოსნებიდან — გარეული ღორი (ალაზნისპირა ტერიტორიები), აღმოსავლეთ კავკასიური ანუ დაღესტნის ჯიხვი (ლაგოდეხის მთებიდან შხარას მთამდე, ზ.დ. 4500 მ), ცალკეული ეგზემპლარის სახით — ნიამორი (თუშეთი, ხევსურეთი, თრიალეთის ქედი), კავკასიური ირემი და სხვა;

მღრღნელებიდან — კავკასიური ციყვი, თაგვები, ვირთაგვები, ჩვეულებრივი ძილგუდა და სხვა.

ფრინველებიდან — დურაჯი, კაკაბი, გნოლი, მწყერი, ყანჩა, გარეული იხვი, შევარდენი, ზარნაშო, ტყის ბუ, ჭაობის ბუ, კოდალა, კაჭკაჭი, ჩხიკვი, შოშია, ტოროლა, მერცხალი, მადალმთიანეთის ბინადარია ორბი, მთის არწივი, ფასკუნჯი და სხვა;

ქვეწარმავლებიდან — ხვლიკის მრავალი სახეობა, კუ, ჩვეულებრივი და წყლის ანკარა, ველის გველგესლა, ცხვირრქოსანი გველგესლა, გიურზა (შირაქისა და ელდარის მდელები, გარეჯის უდაბნო), ველის მახრჩობელა და სხვა;

ამფიბიებიდან — ტრიტონი, ამიერკავკასიური ბაყაყი, მწვანე გომბეშო და სხვა;

იქტიოფაუნიდან — ციმორი, ხრამული, წვერა, შამაია, ლოქო, კალმახი, კობრი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ შორეული წარსულის ფაუნიდან, რომელიც საქართველოში ტროპიკული ჰავის პირობებში ვითარდებოდა, შემორჩენილია უფროთო ჭრიჭინა, მეჭია-ნქველე ლომი, ღეროთვალისანი ლომი და სხვა. ამასთანავე, საქართველოს ფაუნა გამოირჩევა ენდემიზმით და ენდემური სახეობები გვხვდება ცხოველთა. თითქმის, ყველა ჯგუფში.

საქართველოს დაცული ტერიტორიები და ტურისტული მარშრუტები

საქართველოში დაცული ტერიტორიების დაარსებას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი დაცული ტერიტორია — ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი შეიქმნა ჯერ კიდევ 1912 წელს. ამჟამად კი დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი — 384 684 ჰა, რაც ქვეყნის ტერიტორიის, დაახლოებით, 7 %-ია. დაცული ტერიტორიების, დაახლოებით, 75 % ტყით არის დაფარული.

საქართველოში 11 სახელმწიფო ნაკრძალი, 8 ეროვნული პარკი, 12 აღკვეთილი, 14 ბუნების ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტია.

დაცული ტერიტორიების ძირითადი ფუნქცია ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაა.

აჯამეთის დაცული ტერიტორია

აჯამეთის აღკვეთილი თბილისიდან 265 კმ-ის, ხოლო ქუთაისიდან, 15 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, ბაღდათის რაიონში, რიონის ვაკეზე, და შედგება აჯამეთის, ვარციხის და სვირის უბნებისგან. აღკვეთილის საერთო ფართობი 4848 ჰექტარია, რომლის 4738 ჰექტარი ტყითაა დაფარული. აღკვეთილის ტერიტორია აღმოსავლეთიდან დასავლეთით დაახლოებით, 13 კილომეტრზეა გადაჭიმული, მისი საშუალო სიგანე 3კმ, ყველაზე ფართო ადგილას 5 კმ-ია. აღკვეთილის ტერიტორია აგებულია მიოცენის, ოლიგოცენის და ეოცენის ასაკის ნალექებით. აგრეთვე, აღკვეთილში გვხვდება ტბიურ-ალუვიური წარმოშობის, მეოთხეული ასაკის მკვრივი და ბლანტი თიხები.

აჯამეთის ტყის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ კოლხეთის დაბლობზე ეს, თითქმის, ერთადერთი ადგილია,

სადაც სუბტროპიკული შერეული ტყე თავისი პირვანდელი სახითაა შემორჩენილი. აჯამეთის ტყე გამოირჩევა პირვანდელი სახით შემორჩენილი იმერული მუხისა და ძელქვის ძველი კორომებით. ზოგიერთი ხის ასაკი 250 წელზე მეტია, ხოლო ასწლიანი მუხები აქ საკმაოდ ხშირად გვხვდება. მუხნარს აქ 4723 ჰა უკავია, რცხილნარებს — 93 ჰა, ჯაგრცხილას — 23 ჰა. დენდროფლორა 60 სახეობითაა წარმოდგენილი. აღკვეთილში გვხვდება ჯაგრცხილა, სეკერჩხალი. ქვეტყე თხელია და შქერით, ზღმარტლით, ასკილით და კუნელით არის წარმოდგენილი.

აჯამეთის დაცულ ტერიტორიაზე გვხვდება საქართველოს „წითელი ნუსხის“ შემდეგი სახეობები: პასტუხოვის სურო, დათვისთხილა, თელა, თელამუში, ლაფანი, კაკალი და სხვა. მესამეული პერიოდის იშვიათი რელიქტებია - იმერეთის მუხა (*Quercus imeretina*) და ძელქვა (*Zelcova carpinifolia*).

ცხოველებით და ფრინველებით აჯამეთის აღკვეთილი შედარებით ღარიბია. ძუძუმწოვრებიდან ნაკრძალში გვხვდება: კურდღელი, მელა, ტურა, ციყვი, დედოფალა, ძილგუდა და მაჩვი. აჯამეთის მკვიდრი ყველაზე დიდი ცხოველი შველია. აღკვეთილში საქართველოს „წითელი ნუსხის“ შემდეგი ცხოველებია გავრცელებული: მცირე ძელამურა, კავკასიური ციყვი, ძილგუდა, ღნავი (ტყის ძილგუდა) და კავკასიური წავი.

აჯამეთის აღკვეთილში ფრინველთა სამოცზე მეტი სახეობაა რეგისტრირებული. აქედან, მუხნარში მხოლოდ ოცდაერთი ბუდობს, დანარჩენი აჯამეთში, ან გადაფრენის პერიოდში ჩნდება, ან იზამთრებს.

ამფიბიებიდან აქ გვხვდება: ტრიტონის ერთი სახეობა, ტბის ბაყაყი, ჩვეულებრივი და მწვანე გომბეშოები, რეპტილიებიდან — ჩვეულებრივი და წყლის ანკარა.

თავისი უნიკალური ფლორითა. მდინარე ბანარას ხეობაში, ბანარასა და ბაბანურის დაცულ ტერიტორიებზე, შემორჩენილია მესამეული პერიოდის კავკასიურ-ირანული დენდროფლორის რელიქტების: უთხოვრის (*Taxus baccata*) ტყე და ძელქვის (*Zelkova carpinifolia*) კორომები. ტყის ეკოსისტემები წარმოდგენილია, აგრეთვე, ხელუხლებელი ნიფლნარებითა და მურყნარებით. ბანარის უთხოვრებს ლიანები, პასტუხოვის სუროები (*Hedera pastuchowii*) და ეკალიქები (*Smilax excelsa*) აქვთ ზედ შემოხვეული. მდ. ილტოს ხეობა აღსანიშნავია ხელუხლებელი ნიფლნარებით (*Fagus orientalis*) ლიანებისა და წყავის ქვეტყით. აგრეთვე, აქ გვხვდება: რცხილა, ქორაფი, ცაცხვი, ქართული მუხა და ზოგიერთი სხვა ხე: შინდი, ჩვეულებრივი თხილი, წითელი კუნელი და წერწა.

ძუძუმწოვრებიდან აღსანიშნავია: კავკასიური ციცივი (*Sciurus anomalus*), კავკასიის ენდემი, რადეს ბიგა (*Sorex raddei*). საშუალო და მსხვილი ძუძუმწოვრებიდან კი ბანარასა და ილტოში გავრცელებულია: შველი (*Capreolus capreolus*), არჩვი (*Rupicapra rupicapra*), გარეული ღორი (*Sus scrofa*), მურა დათვი (*Ursus arctos*), მგელი (*Canis lupus*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), ტურა (*Canis aureus*), მელა (*Vulpes vulpes*), მაჩვი (*Meles meles*), ქვის კვერნა (*Martes foina*), ტყის კვერნა (*Martes martes*), გარეული კატა (*Felis sylvestris*), წავი (*Lutra lutra*) ძალზე იშვიათია.

აღსანიშნავია კავკასიის ენდემური სახეობა კავკასიური ყარანა (*Phylloscopus lorenzii*), ასევე მტაცებელი ფრინველები: ბატკანძერი (*Gypaetus barbatus*), ორბი (*Gyps fulvus*), სვაი (*Aegipius monachus*), კირკიტა (*Falco tinnunculus*), ქორი (*Accipiter gentilis*), მიმინო (*Accipiter nisus*), მთის არწივი (*Aquila chrysaetos*) და სხვ.

მდ. ბანარასა და მის შენაკადებში, ასევე მდ. ილტოში გავრცელებულია კალმახი (*Salmo trutta*). ამფიბიებიდან გვხვდება 7 სახეობა, მათ შორის: კოლხური გომბემო

(*Bufo verrucosissimus*), ჩვეულებრივი ვასაკა (*Hyla arborea*), მწვანე გომბემო (*Bufo viridis*), მცირეაზიური ბაყაყი (*Rana macrocnemis*) და სხვ. ქვეწარმავლებიდან გვხვდება 14-მდე სახეობა, მათ შორისაა: ხვლიკის სამი ენდემური სახეობა - კავკასიური ხვლიკი (*Darevskia caucasica*), მდელის ხვლიკი (*D. praticola*) და ართვინის ხვლიკი (*D. derjugini*), თუმცა, სავარაუდოა ქართული ხვლიკის (*Darevskia rudis*) არსებობაც. რეპტილიების სხვა სახეობებიდან აღსანიშნავია კავკასიური გველგესლა (*Vipera dinniki*). ქვეწარმავლებიდან - ხმელთაშუა ზღვის კუ (*Testudo graeca*).

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირველი ეროვნული პარკია კავკასიაში. იგი 1995 წელს შეიქმნა, ოფიციალურად კი გაიხსნა 2001 წელს. ფართობის მიხედვით, ის ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაცული ტერიტორიაა. 2007 წელს ბორჯომ ხარაგაულის ეროვნული პარკი ევროპის დაცული ტერიტორიების ქსელის - PAN Park-ის წევრი გახდა, რაც დაცული ტერიტორიის უმაღლეს დონეზე დაცვისა და მდგრადი ტურიზმის განვითარების გარანტია.

გეოლოგიურად ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემას ეკუთვნის და აჭარათრიალეთის ნაოჭა ზონის ცენტრალურ ქვეზონას მოიცავს. რაიონი ძირითადად აგებულია, ეგრეთ წოდებული ბორჯომის ფლიშით - ქვედა ეოცენური ნალექებით: მერგელოვანი თიხები, მერგელები, კირქვიანი ქვიშაქვები და მერგელოვანი კირქვები; მის აგებულებაში მონაწილეობს, აგრეთვე, ოლიგოცენნეოგენური ასაკის დანალექი და ვულკანური დანალექი ფორმაციები.

ეროვნულ პარკში გაერთიანდა ტერიტორიები, რომლებიც საქართველოს რამდენიმე ისტორიული კუთხის განაპირა

ნაწილებია. პარკი მდებარეობს თორის, იმერეთის და სამცხის ტერიტორიაზე. საერთო ფართობი, დაახლოებით, 61235 ჰა-ია.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ხარაგაულის ტყეები წარმოდგენილია მუქწინვოვანი, ფოთლოვანი და შერეული ტყეებით. შერეულ ფოთლოვან ტყეებს უმთავრესად ნაბლი (*Castanea sativa* Mill.), წიფელი (*Fagus orientalis* L.), რცხილა (*Carpinus orientalis*), კავკასიური ცაცხვი (*Tilia begoniifolia* Stev.), კოლხური მუხა (*Quercus hartwissiana* Stev.), დეკა (*Rhododendron caucasica*) და იფანი (*Fraxinus*



excelsior) ქმნიან. სიმაღლის ცვლილებასთან ერთად, ერთი ფოთლოვანი ტყე მეორეთი იცვლება: წიფლნარებს ზოგან ენაცვლება შერეული ფოთლოვანი ტყეები კოლხური ტიპის ქვეტყით, ხოლო შემდგომ – რცხილნარები, წიფლნარ-ნაბლნარები, ნაძვნარები, სოჭნარები. ბორჯომის ხეობაში გავრცელებულია წინვოვანი ტყეები - ნაძვნარი, ფიჭვნარი, ფიჭვნარ-ნაძვნარი, სოჭნარი და ნაძვნარ-სოჭნარი.

ტყის სარტყლის ზედა ზონებში გაბატონებულია მუქწინვოვანი ტყეები — ნაძვნარები და სოჭნარები, რომელიც აღმოსავლური ნაძვით (*Picea orientalis* L.), კავკასიური სოჭით (*Abies nordmanniana* Stev.) და ფიჭვითაა (*Pinus sosnowskyi*) შექმნილი. სუბალპურ სარტყელში გავრცელებულია სუბალპური ტყეები და ბუჩქნარები, სუბალპური მაღალბალახეულობა და მდელოები.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებულია ისეთი იშვიათი, ენდემური და საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი სახეობები, როგორებიცაა: ნაბლი (*Castanea sativa* Mill.), კოლხური მუხა (*Quercus hartwissiana* Stev.), უთხოვარი (*Taxus baccata*), სტევენისა (*Paeonia steveniana*) და ვინოგრაძოვის ზამბახი (*Iridodictyum winogradowii*).

მრავალფეროვანია ბორჯომ-ხარაგაულის ფაუნა. ეროვნული პარკის მშენებმა მისი ძუძუმწოვარა მაცხოვრებლები არიან. მსხვილი მტაცებლებიდან ნაკრძალში გვხვდება მგელი (*Canis lupus*), ფოცხვერი (*Lynx lynx*) და დათვი (*Ursus arctos*). ჩლიქოსნებიდან პარკის ტერიტორიაზე ყველაზე ხშირად შევლსა (*Capreolus capreolus*) და გარეულ ღორს (*Sus scrofa*) ნახავთ. ბორჯომის ხეობა ყოველთვის განთქმული იყო კავკასიური კეთილშობილი ირმის (*Cervus elaphus*) პოპულაციით. ირმის რაოდენობამ ამჟამად ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში 140-მდე მიაღწია. აქაურ კლდეებზე ოდიტგანვე სახლობდნენ ნიამორები (*Capra aegagrus*), თუმცა ამჟამად აქ მხოლოდ რეინტროდუცირებული ნიამორები ბინადრობენ, რომლებიც ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციასა და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მხარდაჭერით მეზობელი სომხეთიდან იქნა შემოყვანილი. აქ გავრცელებული მსხვილი ძუძუმწოვრების უმრავლესობა საქართველოს „წითელ ნუსხაშია“ შესული.

წვრილი ძუძუმწოვრებიდან აქ ბინადრობენ: რამდენიმე სახეობის თაგვი, ძილგუდა, სინდიოფალა, ტყის კვერნა, კლდის კვერნა, კავკასიური ციყვები. ფაქტიურად ყველგან გვხვდება მელა (*Vulpes vulpes*) და კურდღელი (*Lepus europaeus*).

ქვეწარმავლებიდან ეროვნულ პარკში ხვლიკის და გველის რამდენიმე სახეობა გვხვდება. მათგან აღსანიშნავია, კავკასიური ჯოჯო (*Laudakia caucasica*) და ხმელთაშუა ზღვის კუ (*Testudo graeca*).

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მკვიდრი ფრინველებიდან აღსანიშნავია ისეთი იშვიათი სახეობები, როგორცაა მთის არწივი (*Aquila chrysaetus fulva*), ორბი (*Gyps fulvus fulvus*), სვაი (*Aegypius monachus*) და კავკასიური როჭო (*Tetrao mlokosiewiczii*).

დღევანდელი ბორჯომ-ხარაგაულის პარკის მომიჯნავე ტერიტორიებზე საოცრად განსხვავებულ ყოფას და ტრადიციებს ვხვდებით, რაც საინტერესო ეთნოგრაფიულ მრავალფეროვნებაშია გამოხატული, რაც ეროვნული პარკის დამთავალიერებლებზე დამატებით შთაბეჭდილებას ახდენს.

ეროვნული პარკის შემოგარენი ძალზე მდიდარია ისტორიული ძეგლებით. სიძველის და ისტორიის მოყვარულთათვის უდავოდ საინტერესოა გარემომცველ პეიზაჟში ლამაზად ჩასმული ისეთი ძეგლების მონახულება, როგორებიცაა: ტიმოთესუბნის მეცამეტე საუკუნის გუმბათოვანი ტაძარი, ნეძვის ეკლესია (მე-9 საუკუნე), ნუნისის ეკლესია (მე-9 საუკუნე), საკვირიკეს ბაზილიკა სოფელ დვირთან (მე-10 საუკუნე), ჩითახევის მწვანე მონასტერი (მე-9 საუკუნე), გოგიას ციხე და პეტრეს ციხე დაბა ლიკანთან (მე-9 საუკუნე), ვახანის და ოქროს ციხეები ადიგენის რაიონში. ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე უფრო ძველი არქეოლოგიური ძეგლებიც არსებობს, მაგალითად: ბრინჯაოს ხანის ციკლოპური ნამოსახლარი სოფელ ბოგასთან, ბრინჯაოს ხანის სამარხები და ანტიკური ხანის კულტურული ფენები.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს საუკეთესო ტურისტული ინფრასტრუქტურა გააჩნია. მის სხვადასხვა უბნებზე მარელისში (იმერეთის უბანი), აწყურში (სამცხის მხარე), ლიკანსა და ქვაბისხევში (ბორჯომის მხარე) დამთავალიერებლებს პარკში მდებარე კომფორტული თავშესაფრები უმასპინძლებს. გარდა ამისა, ქალაქ ბორჯომსა და დაბა ბაკურიანში არსებობს მრავალი დიდი და პატარა კომფორტული სასტუმრო.



რას მთავაზობთ პარკი:

1. სალაშქრო-საცხენოსნო მარშრუტი – „ნიკოლოზ რომანოვის ბილიკი“:

მარშრუტის ხანგრძლივობა – 3 დღე;

მარშრუტის სიგრძე – 39-41 კმ;

ღამისთევა – ტურისტულ თავშესაფრებში: „ლომის მთა“ და „სახვლარი“;

მარშრუტი კვეთს ეროვნულ პარკს ლიკანიდან (ბორჯომის რაიონი) მარელისამდე (ხარაგაულის რაიონი).

2. სალაშქრო-საცხენოსნო მარშრუტი – „წმინდა ანდრია პირველნოდებულის ბილიკი“:

მარშრუტის ხანგრძლივობა – 4 დღე;

მარშრუტის სიგრძე – 49-51 კმ;

ღამისთევა – ამარათის, სახვლარის ტურისტულ თავშესაფარში, ან კარვებში.

მოგზაურობა ხორციელდება ანყურიდან მარელისამდე (ან პირიქით); მარშრუტი კვეთს ეროვნული პარკის უმაღლეს მწვერვალს – მთა სამეცხვარიოს (2642მ);

3. სალაშქრო-საცხენოსნო მარშრუტი – „პანორამების ბილიკი“:

*მარშრუტის ხანგრძლივობა – 2 დღე;
მარშრუტის სიგრძე – 34კმ;*

ლამისტევა – ამარათის ტურისტულ თავშესაფარში. ეს არის რთული, წრიული ბილიკი ულამაზესი ხედებით.

4. სალაშქრო მარშრუტი „ხელუხლებელი ტყის ბილიკი“:

*მარშრუტის ხანგრძლივობა – დღენახევარი;
მარშრუტის სიგრძე – 12-13 კმ;*

ლამისტევა – ნუნისის მცველთა საგუშაგოში, ან კარვებში. ეს არის უმოკლესი ბილიკი, რომელიც ეროვნულ პარკს კვეთს. განსაკუთრებით სასიამოვნოა მოგზაურობა გაზაფხულზე, დეკის ყვავილობის დაწყებისას (მაისი).

5. სალაშქრო მარშრუტი – „ზეკარის უღელტეხილის ბილიკი“:

*მარშრუტის ხანგრძლივობა – დღენახევარი;
მარშრუტის სიგრძე – 9-10 კმ;*

ლამისტევა – დიდმაღალას ტურისტულ თავშესაფარში. მარშრუტი გრძელდება აბასთუმნის მცველთა საგუშაგოდან, დიდმაღალას ტურისტულ თავშესაფარამდე (ადიგენის რაიონი). ეროვნული პარკის გადაკვეთა შესაძლებელია მთის ველოსიპედით, ზეკარის უღელტეხილის გავლით, საირმემდე.

6. სალაშქრო მარშრუტი – „ნაკვალევის ბილიკი“:

*მარშრუტის ხანგრძლივობა – ერთი დღე;
მარშრუტის სიგრძე – 12-13კმ;*

ეს არის ერთდღიანი მარშრუტი მრავალფეროვან ბუნებაში ლიკანიდან ქვაბისხევამდე (ბორჯომის რაიონი).

7. ეროვნული პარკის საინფორმაციო ბილიკი:

*მარშრუტის ხანგრძლივობა – 1,5 სთ;
მარშრუტის სიგრძე – 3კმ;*

ბილიკის გავლისას თქვენ შეხვდებით 9 საინფორმაციო სტენდს და ხის ინსტალაციებს სხვადასხვა ეკოსაგა-ნმანათლებლო საკითხებზე.

8. საცხენოსნო მარშრუტი – „მელრუკის ხეობა“:

*მარშრუტის ხანგრძლივობა – ერთი დღე;
მარშრუტის სიგრძე – 5,5კმ;*

ეს არის წრიული ბილიკი დიდი სახვლარის ტურისტული თავშესაფრიდან მდინარე მელრუკის ხეობის გავლით.

9. სალაშქრო-საცხენოსნო ბილიკი – „მწყემსების ბილიკი“:


*მარშრუტის ხანგრძლივობა – ერთი დღე;
მარშრუტის სიგრძე – 14 კმ;*

ბილიკი მიუყვება შავ სერს და აკავშირებს ამარათისა და ლომის მთის ტურისტული თავშესაფრებს. ტურისტული თავშესაფრები არის 12 ადგილიანი.

ჭაჭუნას დაცული ტერიტორია

ჭაჭუნას ალკვეთილი წარმოადგენს წარსულში ჭაჭუნას სახელმწიფო სატყეო მეურნეობის ბაზაზე დაარსებულ დაცულ ტერიტორიას. ალკვეთილის საერთო ტერიტორია 5200 ჰექტარია და იგი თბილისიდან 175 კილომეტრითაა დაშორებული.

ჭაჭუნა ქიზიყში, ისტორიულ კამბეჩოვანში, მდებარეობს. გეოლოგიურად ჭაჭუნას ალკვეთილი ამიერკავკასიის მთათაშუა ოლქში შედის, მისი აღმოსავლეთი მხარე დაძირვის მოლასურ ზონას მოიცავს მტკვრის მთათაშუა ღრმულის ფარგლებში და მოლასური ნალექებითაა წარმოდგენილი. ჭაჭუნაში გვხვდება: ქვიშები, ქვიშაქვები, თიხები, ვულკანური ფერფლის შრეებით, რიყნარები. ალკვეთილის ნაწილი კირქვული კონგლომერატებითაა აგებული. ალკვეთილის სიახლოვეს ცნობილია საფლუსე და საკირე კირქვის საბადოები, აგრეთვე ბიტუმის შემცველობის კირქვის გამოსავლები და, მცირე ტბების სახით წარმო-



დგენილი ბიტუმის დანაგროვებები. ალკვეთილის რელიეფი ერთგვაროვანი არ არის, ბორცვები, თიხნარი გორაკები, ციცაბო ფერდობები, ტერასები და მშრალი ხევები ძალზედ სწრაფად მონაცვლეობენ და თავისებურ, საკმაოდ ლამაზ ლანდშაფტს ქმნიან.

ალკვეთილის ტერიტორიაზე მდინარე იორი 24 ჰექტარის ფართობის ჭაობებსაც ქმნის. ჭაჭუნასთვის თბილი კონტინენტური, ზომიერი კლიმატია დამახასიათებელი. იანვრის საშუალო ტემპერატურა $-2,5$ გრადუსი, ხოლო ივლისის საშუალო – ჩრდილში $+22$ გრადუსია. ალკვეთილისთვის რუხი ყავისფერი, ალუვიური, შავმიწა და დამლაშებული ნიადაგებია დამახასიათებელი.

ჭაჭუნას ალკვეთილში საკმაოდ მრავალფეროვანი ფლორაა. მდინარე იორის გაყოლებაზე ტუგაის ტიპის ქალის ტყე იზრდება, ხოლო მის მიმდებარე გორაკებზე და ტერასებზე სხვადასხვა სახის არიდული ნათელი ტყეების, ნახევარუდაბნოსა და სტეპური მცენარეულობის ფრაგმენტებია წარმოდგენილი. ქალის ტყეებში აბსოლუტური დომინანტი მთრთოლავი ვერხვია (*Populus tremula*). ასევე, უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება ქალის მუხა (*Quercus longipes*), საკმლის ხე - სალსალაჯი (*Pistacea mutica*) და წნორი. არიდული ნათელი ტყეების შექმნაში საკმლის ხე, ღვიის (*Juniperus oxycedrus*, *J. foetidissima*, *J. polycarpus*) რამდენიმე სახეობა, ნითელი კუნელი, მუხა, პანტა და აკაკი (*Celtis glabra*) მონაწილეობენ. მდინარის სანაპირო ზოლში და ივრის მიერ დაჭაობებულ ადგილებში ლელი და ლერწამი გვხვდება. აქ იშვიათ და გადაშენების პირას მისულ და ენდემურ სახეობებს ვხვდებით, ასეთებია: ქართული ზამბახი (*Iris iberica*) და ეიხლერის ტიტა (*Tulipa eichleri*) – უმშვენიერესი ყვავილობით.

მრავალფეროვანი და მდიდარია ჭაჭუნას ფაუნა. მწერებიდან მრავლად არიან კალიასებრნი. გავრცელებულია ფალანგა და მორიელი.

ქვეწარმავლებიდან გვხვდება ხმელთაშუა ზღვის კუ

(*Tesdudo graeca*) და ჩვენი ფაუნის ყველაზე შხამიანი გველი – გიურზა (*Macrovipera lebetina*).

აქ ფრინველების 82 სახეობაა, ხოლო 10 სახეობა საქართველოს “ნითელ ნუსხაშია” შესული. ფრინველთაგან ბევრია: ქედანი, გვრიტი, შევარდენი, მიმინო, კაჭკაჭი, კაკაბი, ბექობის არნივი. ჭაჭუნის კირქვული წარმოშობის კლდეებში არსებული გამოქვაბულები ორბების და ფასკუნჯების საბუდარია. ღვიის ხეებზე ბუდობს სვაფი. ჭაჭუნა მნიშვნელოვანია ულამაზესი ფრინველის, ღურაჯის პოპულაციითაც.

ძუძუმწოვრებიდან ჭაჭუნაში რამდენიმე სახეობის მღრღნელი, ტურა, მელა (*Vulpes vulpes*), კურდღელი (*Lepus europaeus*), ლელიანის კატა (*Felis chaus*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), მაჩვი (*Meles meles*) და გარეული ღორი (*Sus scropha*) ბინადრობს. მეცნიერები იმედს არ კარგავენ, რომ ალკვეთილში ჯერ კიდევ ცხოვრობს უნიკალური და იშვიათი ცხოველი ზოლებიანი აფთარი (*Hyaena hyaena*).



ჭაჭუნას ალკვეთილში არის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორცაა: ადრე შუა საუკუნეების ხორნაბუჯის ციხექალაქის ნანგრევები, მეთერთმეტე საუკუნის ოზაანის ამაღლების გუმბათოვანი ტაძარი და მეთვრამეტე საუკუნეში, კახეთის მეფე – ერეკლე მეორის მიერ, საქარავნო გზათა გზაჯვარედინზე აგებული, მთლიანად გალავანშემოვლებული და თითქმის პირვანდელი ფორმით დღევანდლობას მოღწეული ქალაქი – ქიზიყი, გალავანში ჩაშენებული 23 კოშკითა და 5 კარიბჭით.

ალკვეთილის ტერიტორიაზე განვითარებულია ბოტანიკური, ფოტო და ეკოლოგიური ტურები. აქ იშვიათად ხდება გარეულ ფრინველებზე და ცხოველებზე დაკვირვება. ჭაჭუნას ალკვეთილში არის კომფორტული, ცივი და ცხელი წყლით უზრუნველყოფილი, სასტუმრო-სახლი, რომლის დაჯავშნა შესაძლებელია ალკვეთილის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ან ტურისტული სააგენტოების მეშვეობით. რამდენიმე კეთილმოწყობილი საოჯახო სასტუმრო არსებობს დედოფლისწყაროშიც.

გარდაბნის დაცული ტერიტორია

1996 წელს დაარსებული გარდაბნის ალკვეთილის ფართობი 3 484 ჰექტარია. ალკვეთილი აზერბაიჯანის საზღვართან, გარდაბნისა და მარნეულის რაიონების ტერიტორიაზე მდებარეობს და თბილისიდან 39 კილომეტრითაა დაშორებული. გარდაბნის ალკვეთილი შეიქმნა ამ ტერიტორიაზე არსებულ ტყის კორომთა შენარჩუნების, მათი მდგომარეობის გაუმჯობესების და იქ მობინადრე ფაუნის წარმომადგენელთა დაცვის მიზნით.

გარდაბნის ალკვეთილის ფლორის მთავარი სიმდიდრეა ქალის ტყეები, რომლის მთავარი ხე-მცენარეებია: ხვალო (*Populus hybrida*), ოფი (*Populus nigra*), წნორი (*Salix alba*), მთრთოლავი ტირიფი (*Populus tremula*), ქალის მუხა (*Quercus*

longipes), თელა (*Ulmus glabra*) და პატარა თელადუმა (*Ulmus minor*). ქვეტყეში იზრდება, კუნელი, დატოტვილი იალღუნი, შინდანწლა და ქაცვი. ლიანებიდან გვხვდება: კატაბარდა, ღვედკეცი და სვია. ჭალის ტყის მიმდებარე ადგილები ამ მხარისათვის დამახასიათებელი სტეპური მცენარეულობის, ძირითადად უროიანის ფრაგმენტებს უჭირავს.

გარდაბნის ალკვეთილში ხერხემლიანების, კერძოდ თევზების 21 სახეობა, ამფიბიების 4 სახეობა, რეპტილების 4 სახეობა, ფრინველების 135 სახეობა და ძუძუმწოვრების 26 სახეობა ბინადრობს, რაც ბიომრავალფეროვნების მაღალ დონეზე მიუთითებს.

გარდაბნის დაცულ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ გვხვდება კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), რომელიც საქართველოს „წითელ ნუსხაშია“ შეტანილი. სხვა ცხოველებიდან აქ გვხვდება: გარეული ღორი, კურდღელი, ტურა, მელა, ლელიანის კატა, მაჩვი, კვერნა.

მტკვარში მრავლად ბინადრობს: კობრი, კაპარჭინა, ლოქო კავკასიური ღორჯო, მტკვრის წვერა, ამიერკავკასიური



ბლიკა და სხვა. მათგან აღსანიშნავია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები: ლოქო (*Silurus glanis*), მორევის ნაფოტა (*Rutilus frisii*) და წინააზიური გველენა (*Cobitis aurata*).

ფრინველებიდან აქ გვხვდება: ოფოფი, კაჭკაჭი, შაშვი, ნიბლია, ჩიტბატონა და ბულბული, ხოლო საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობებიდან აღსანიშნავია: თეთრკუდა არწივი (*Haliaeetus albicilla*), ბექობის არწივი (*Aquila heliaca*), ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*), დიდი მყივანი არწივი (*Aquila clanga*), ქორცქვიტა (*Accipiter brevipes*) და გავაზი (*Accipiter vespertinus*).

ქვეწარმავლებიდან ალკვეთილში რამდენიმე სახეობის ხვლიკი, ხმელთაშუა ზღვის კუ და გველები – ჩვეულებრივი გველგესლა, ჩვეულებრივი ანკარა და ოთხზოლიანი მცურავი ბინადრობენ.

გარდაბნის ალკვეთილი – ქვემო ქართლში, მდიდარი ისტორიული წარსულის მხარეში მდებარეობს. ალკვეთილის სიახლოვეს აღმოჩენილია ენეოლითის-ადრინდელი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, გათხრილია შუა ბრინჯაოს ხანის ეპოქის სამარხები, ნაპოვნია გვიანდელი ბრინჯაოს და ადრინდელი რკინის ეპოქის ძეგლები.

რეგიონის ტურისტული პოტენციალი ჯერჯერობით, ძირითადად დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმართულებით – კულტურულ, ფეხით სასიარულო და სამანქანო-სათავგადასავლო ტურებში გამოიხატება. ალკვეთილის ტერიტორიაზე შესაძლებელია ფრინველებსა და ცხოველებზე დაკვირვების, ასევე, ბოტანიკური და ეკოლოგიური ტურების ორგანიზება.

კაცობურის დაცული ტერიტორია

კაცობურის ალკვეთილი 1996 წელს დაარსდა და მისი საერთო ფართობი 295 ჰექტარს შეადგენს. იგი თბილისიდან 300 კილომეტრში, აბაშის რაიონის სამხრეთ დასავლეთ

ნაწილში მდებარეობს. აღკვეთილის ტერიტორია ძირითადად ვაკეა – მისი მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 40 მეტრს არ აღემატება. აქ ძირითადად გავრცელებულია ალუვიური თიხნარ-ქვიშნარი, მცირე ფართობებზე გვხვდება ნემომპალა თიხნარ-სილნარი ნიადაგები. კაცობურის აღკვეთილის ტერიტორიაზე მიედინება მდინარე რიონი. ამას გარდა, აღკვეთილის ჰიდროგრაფიული ქსელის მნიშვნელოვანი ნაწილია გრუნტის წყლები, რომელთა დონე ზოგიერთ ადგილას, მიწის ზედაპირს უახლოვდება და ჭაობებს წარმოქმნის. ჰავა კოლხეთის დაბლობისთვის დამახასიათებელია – წლიური საშუალო ტემპერატურა იანვარში არის მინიმუმ - 4°C, მაქსიმალური კი – +22°C. წლიური ნალექების საერთო რაოდენობა შეადგენს 1757 მმ-ს.

წარსულში ამ ტერიტორიაზე ნამდვილი კოლხური ტყეები ყოფილა გავრცელებული. ამჟამად შემორჩენილია ამ ტყეთა ძლიერ სახეშეცვლილი ნაშთები. ამჟამად, კაცობურის აღკვეთილში მცენარეულობის ძირითად ფონს მურყნარები ქმნიან, სადაც ძირითად ტყისშემქნელ სახეობასთან ასოცირებულია ლაფანი (*Pterocarya pterocarpa* K.), ივანი (*Fraxinus excelsior*) და სხვ. აღკვეთილის ტყით დაფარულ ფართობებზე გვხვდება აგრეთვე თეთრი აკაცია (*Acacia dealbata*), თხმელა (*Alnus barbata*), ტირიფი (*Salix caprea*), პანტა (*Pyrus caucasica*), ტყემალი (*Prunus divaricata*), ფშატი (*Elaeagnus angustifolia*) და ამორფა (*Amorpha fruticosa*).

კაცობურის აღკვეთილში ფაუნა შედარებით ღარიბია. ჩლიქოსნებიდან აქ გვხვდება: გარეული ღორი (*Sus scrofa attila*) და შველი (*Capreolus capreolus*). მტაცებლებიდან – მგელი (*Canis lupus*), კურდღელი (*Lepus europaeus*), ტურა (*Canis aureus*), მაჩვი (*Meles meles*), გარეული კატა (*Felis silvestris cauc.*), წავი (*Lutra lutra*).

ფრინველთაგან აქ მხოლოდ რამდენიმე სახეობის ფრინველი გვხვდება: ქედანი (*Columba palumbus*), რუხი ყანჩა (*Ardea cinerea*), სკვინჩა (*Fringilla coelebs*), გარეული იხვი (*Anas platyrhynchos*), თეთრთვალა ყვინთია (*Aythya*

nyroca), მიმინო (*Accipiter nisus*), ქორი (*Accipiter gentilis*) და სხვა. აღსანიშნავია აგრეთვე კოლხური ხოხობის (*Phasianus colchicus*) პოპულაციის არსებობა.

კინტრიშის დაცული ტერიტორია

კინტრიშის დაცული ტერიტორიის შემადგენლობაში შედის 1959 წელს დაარსებული კინტრიშის ნაკრძალი და კინტრიშის დაცული ლანდშაფტი, რომელიც 2007 წელს დაარსდა. კინტრიშის დაცული ტერიტორია აჭარაში, ქობულეთის რაიონში მდებარეობს თბილისიდან 360 კილომეტრის დაცილებით, იგი მდინარე კინტრიშის თვალწარმტაც ხეობაში და სოფელ ცხემლოვანსა და ხინოს მთის შუაა მოქცეული. კინტრიშის დაცული ტერიტორიის ქვემო საზღვარი ზღვის დონიდან 250-300 მეტრზე გადის და ზედა ალპურ იალალებს ებჯინება. კინტრიშის დაცული ტერიტორია შავ ზღვასა და აჭარა-იმერეთის მთათა სისტემას შორის არის მოქცეული. ეს მთები ზღვის ტენიან ჰაერს აკავებს და კინტრიშის უაღრესად ტენიან ჰავას განსაზღვრავს. მთელი წლის მანძილზე აქ თითქმის იმდენივე ნალექი მოდის (3000 მმ), რამდენიც აჭარის ზღვის სანაპიროზე. აგვისტოს საშუალო ტემპერატურა +24 გრადუსი, ხოლო იანვრის +4 გრადუსია.

კინტრიშის დაცული ტერიტორიის მთიანი რელიეფი ღრმა ხეობებითაა დასერილი. ნაკრძალის წყლის მთავარი არტერია – მდინარე კინტრიში, სათავეს ხინოს მთიდან იღებს და, კურორტ ქობულეთის სიახლოვეს, შავ ზღვაში ჩაედინება. მისი საერთო სიგრძე 45 კილომეტრია. ნაკრძალის დანარჩენი მდინარეები და ლეღეებია: ხეკნარა, პერანგა, მამედალი, დიდლეღე და მისანათის ლეღე, რომელზეც 30 მეტრიანი თვალწარმტაცი ჩანჩქერი გადმოსჩქეფს, ბოლქვაძეების ლეღე და ჩრდილა - ორსაფეხურიანი 70 მეტრის სიმაღლე წყალვარდნილით, სწორედ კინტრიშის შენაკადებს წარმოადგენს. მაღლა მთებში, 2200 მეტრის სიმაღლეზე,



განლაგებულია ორი პატარა ტბა – თბიყელი და სიძერძალი, რომელთა ფართობი 1,5 ჰექტარს არ აღემატება. აქედან, პირველი ტბა უშუალოდ ნაკრძალის ტერიტორიაზეა განლაგებული, მეორე კი – მის საზღვრებს გარეთ.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფლორისთვის აჭარული ენდემების, მდიდარი მარადმწვანე ქვეტყის, გვიმრების და ლიანების სიმრავლეა დამახასიათებელი. ნაკრძალის დენდროფლორა 102 სახეობას ითვლის. აქ 46 სახეობის ხის, 4 სახეობის ბუჩქის და ლიანების 8 სახეობის ნახვაა შესაძლებელი. აქაური რელიქტებია: პონტოური მუხა (*Quercus pontica*), მედვედევის არყი (*Betula medwedewii*), უნგერნის შქერი (*Rhododendron ungerii*), უთხოვარი (*Taxus baccata*), კოლხური ჯონჯოლი (*Staphylea colchica*), თაგვისარა (*Ruscus ponticus*), კავკასიური ხურმა (*Diospyros lotus*), ჩვეულებრივი ნაბლი (*Castanea sativa*). 7201 ჰექტარი აქ ნიფლნარ ტყეებს უკავიათ, 2912 ჰა – ნაბლნარებს, რცხილნარები 496 ჰექტარზე გვხვდება, მუხნარი – 389 ჰა, სოჭნარ-ნაძვნარი – 140 ჰა, ცაცხვნარი – 40 ჰა, თხილნარი – 33 ჰა, მურყნარი – 12 ჰა, აბზინები – 4 ჰა, წყავის არყები 727 ჰა, პონტოური დეკის – 712, კავკასიური დეკის – 172

ჰა, შქერიანებს – 161 ჰექტარი უჭირავს.

კინტრიშში მრავალი საინტერესო მცენარე იზრდება: შქერი, პონტოს როდოდენდრონი, კავკასიური დეკა, მოცვი, წყავი, იელი, არყი და პონტოს მუხა.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების მდინარეები და ხეხეები მდიდარია კალმახით (*Salmo fario trutta*). მდინარე კინტრიშის ქვემო დინებაში ხშირად შეხვდებით შამაიას (*Chalcalburnus chalcoides*) და საზანს (*Cyprinus carpio*). ამბობენ, რომ ადრე კინტრიშს შავი ზღვიდან საქვირითოდ ხშირად სტუმრობდა ორაგული (*Salmo fario morpha*).

კინტრიშში გვხვდება სამი სახის ხვლიკი და გველის რამდენიმე სახეობა. ამფიბიებიდან ნაკრძალში მცირეაზიური ტრიტონი, ჩვეულებრივი გომბეშო, ვასაკა, მცირეაზიური და ტბის ბაყაყები, აგრეთვე, ჩვეულებრივი და წყლის ანკარები, სპილენძა გველი და კავკასიური გველგესლა გვხვდება.

ნაკრძალის ორნითოფაუნა საკმაოდ მდიდარია მტაცებელი ფრინველებით. აქ აღრიცხულია ჩია არწივი, კაკაჩა, ქორი, მიმინო, მარჯანი, ჩვეულებრივი კირკიტა; აგრეთვე, ღამის მტაცებლები: ზარნამო, წყრომი და ქოტი. სხვა



ფრინველებიდან კინტრიშში ბუდობს, ოფოფი, კოდალა, ყორანი, შაშვი, მოლალური და, აგრეთვე, ისეთი იშვიათი ფრინველები, როგორებიცაა: კავკასიური როჭო და კასპიური შურთხი.

მცირე ძუძუმწოვრებიდან კინტრიშის ხეობის მკვიდრნი არიან: თხუნელა, სინდიოფალა, კავკასიური (სპარსული) ციყვი, კურდღელი, მელა, მაჩვი, ტყის კატა, წავი.

ჩლიქოსნებიდან ნაკრძალის ტყეებში ბინადრობს შველი, უფრო მალლა კი, ალპური და სუბალპური სარტყლების საზღვარზე, არჩვი და გარეული ღორი. მტაცებლებიდან ნაკრძალში ბინადრობს მურა დათვი (*Ursus arctos*), რომლის პოპულაცია საკმაოდ სტაბილურია.

აქ საქართველოს „ნითელი ნუსხის“ შემდეგი სახეობებია გავრცელებული: კალმახი (*Salmo fario trutta*), კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*), მურა დათვი (*Ursus arctos*), წავი (*Lutra lutra*), კავკასიური როჭო (*Tetrao mlokosiewiczzi*), კასპიური შურთხი (*Tetraogallus caspius*), ბეგობის არწივი (*Aquila heliaca*), შევარდენი (*Falco peregrinus*), მცირეაზიური ტრიტონი (*Triturus vittatus*).

კინტრიშის დაცული ტერიტორია განლაგებულია ისტორიულ აჭარაში („აჭარის ქვეყანა“, „აჭარის ხეობა“, როგორც მას ძველ მატყანეებში მოიხსენიებენ). მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ დასახლებებში ქრისტიანობის ქადაგება, ჯერ კიდევ, პირველ საუკუნეში დაიწყო ანდრია მოციქულმა. მდინარე კინტრიშზე შემორჩენილია შუა საუკუნეების თაღოვანი ხიდების ნანგრევები, ხოლო მის უშუალო სიახლოვეს მყოფი ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია: ნინოწმინდის ეკლესია – სოფელ დიდვეკის მახლობლად, ელიას ციხე – სოფელ აჭყვისთავთან და მამუკას ციხე – სოფელ ალამბარის მახლობლად. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ამ ტერიტორიაზე კიდევ უფრო ძველი – ქრისტიანობამდელი ძეგლებიცაა აღმოჩენილი. მიკვლეულია ძველი ნელთალრიცხვის III-II ათასწლეულების კოლხური ნამოსახლარები და რკინის საბადოების ნანგრევები. მდინარე

კინტრიშის მარჯვენა ტერასაზე, სოფლების – ხუცუბნისა და ქობულეთის ტერიტორიაზე, აღმოჩენილია ადრინდელი ნეოლითის კაჟისა და ობსიდიანის იარაღი.

კინტრიშის დაცულ ტერიტორიას საკმაოდ კარგი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ის, სულ რაღაც, ოციოდე კილომეტრზეა განლაგებული კურორტ ქობულეთიდან, სადაც მრავალრიცხოვანი სასტუმროები, რესტორნები და ოჯახური სასტუმროები არსებობს. დაცულ ტერიტორიაზე შესაძლებელია სანყალოსნო, ეთნოლოგიური, ეკოლოგიური და ფრინველებზე დაკვირვების ტურების მოწყობა. დაცულ ტერიტორიაზე, უახლოეს მომავალში, გაიხსნება ტურისტული მარშრუტები.

კოლხეთის ეროვნული პარკი

კოლხეთის ეროვნული პარკი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. იგი მოიცავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლსა და პალიასტომის ტბის აუზს. პარკი შექმნილია კოლხეთის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ეკოსისტემების დაცვისა და გადარჩენის მიზნით.

კოლხეთის ეროვნული პარკი არ არის მონოლითური წარმონაქმნი და ის წყვეტილი ტერიტორიებისგან – უბნებისგან შედგება. პარკი იყოფა ანაკლია-ჭურჩის (მდინარეების – ჭურჩისა და ხობისწყლის ხეობების ზღვისპირა მონაკვეთებს შორის), ნაბადასა (მდინარეების ხობისწყლის და რიონის ხეობების დასავლეთ მონაკვეთებს შორის) და იმნათის (მდინარეების რიონის და სუფსის ხეობების დასავლეთ მონაკვეთებს შორის) ბუნებრივ გეოგრაფიულ უბნებად. ეს ის ადგილებია, სადაც ჭარბტენიანი ეკოსისტემები ყველაზე უკეთ არის შემორჩენილი. ამას გარდა, ეროვნულ პარკში შედის მდინარეების – რიონისა და ჭურჩის შესართავებს შორის მდებარე, ზღვის აკვატორია. ანაკლია-ჭურჩის უბნის

ფართობი შეადგენს 13 713 ჰექტარს; ნაბადის უბნის სიდიდე 10 697 ჰექტარია, ხოლო იმნათის უბნის – 19 903 ჰექტარი. სულ ეროვნული პარკის სახმელეთო ფართობის სიდიდე 28 571, ხოლო ზღვის აკვატორიის – 15 742 ჰექტარია. ეროვნული პარკის უბნები ხუთი ადმინისტრაციული რაიონის – ზუგდიდის, ხობის, სენაკის, აბაშის და ლანჩხუთის ტერიტორიაზეა განლაგებული და საქართველოს ორი ისტორიული მხარის – სამეგრელოსა და გურიის ნაწილია.

კოლხეთის ეროვნული პარკის ნამდვილი მშვენიერება პალიასტომის ტბაა, რომელიც რამდენიმე ათასი წლის წინ შავი ზღვის ყურე იყო.

კოლხეთის ჭაობები, პირველ რიგში თავისი რელიქტური წარმოშობითაა მნიშვნელოვანი. ეს დაბლობი, ნაშთია დღემდე შემორჩენილი იმ ტროპიკული და სუბტროპიკული



ლანდშაფტისა, დაახლოებით 10 მილიონი წლის წინ, კაინოზოურ ხანაში მთელ ევრაზიის კონტინენტზე, უწყვეტ ზოლად რომ იყო გადაჭიმული. კოლხეთს შემორჩა მცენარეები, რომლებიც დღეს მხოლოდ შორეული ჩრდილოეთის ტუნდრისა და ტაიგის ჭაობიანი ეკოსისტემებისთვისაა დამახასიათებელი. კოლხეთის დაბლობს სხვა საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს.

ჭაობებში ხარობს კოლხეთისათვის უცხო ბორეალური სახეობები — სფაგნუმის ხავსები (*Spagnum imbricatum*, *Sp. palustre*, *Sp. acutifolium*), მრგვალოფოთოლა დროზერა (*Drosera rotundiflora*), ჩრდილოეთის ისლი (*Carex lasiocarpa*) და სხვა ალპური ზონის მცენარეები – ისლი და შქერი (*Rhododendron ponticum*). დაჭაობებულ და ტენიან ტყეებში შედის: მურყანი, ლაფანი, იმერული და ჰართვისის მუხები – კარგად განვითარებული მარადმწვანე ქვეტყით, კოლხური სურო და სხვა. დიუნების ქვიშიან ზოლში ხარობს ქაცვი, ძეძვი და სხვა. მრავალფეროვანია წყალმცენარეების სახეობრივი შემადგენლობა.

კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორია, უპირველეს ყოვლისა ბოტანიკური თვალსაზრისით არის საინტერესო. აქ დღემდე შემორჩენილია ფლორისტული შედგენილობით საკმაოდ მრავალფეროვანი, რელიქტური და ენდემური სახეობებით მდიდარი ფიტოცენოზების კომპლექსები – ჭაობების, დაჭაობებული ტყეებისა და, ზღვის სანაპიროს გასწვრივ მდებარე ქვიშიანი დიუნების განსხვავებული მცენარეული დაფუფუნებები: რძიანა, ლურჯი ნარი, კოლხური ისლი, იმერული მანაქი, გლერძა, ზღვისპირა დედაფუტკარა, ქოთანა, ძეძვი, კუნელი, ქაცვი და სხვა.

აქ გავრცელებულია გადაშენების პირას მისულ მცენარეთა სტატუსით ნითელ წიგნში შეტანილი ორი სახეობა – ყვითელი ყაყაჩურა და ზღვის შროშანი. ტბების და ჭაობის მდინარეების გასწვრივ, ძლიერ დანესტიანებულ ადგილებში კი გავრცელებულია ისეთი მცენარეები, როგორცაა: კოლხური (*Nymphaea colchica*) და ყვითელი დუმფარა (*Nuphar*

lutea), წყლის კაკალი (*Trapa colchica*) და ლემნა (*Lemna minor*), ხოლო ტორფიან ქაობებში, ტუნდრისმაგვარ ჩრდილოურ სახეობებთან ერთად – სამეფო გვიმრა (*Osmunda regalis*) და იმერული ისლი (*Molionia litoralis*) გვხვდება.

იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების სახით, ზოგიერთი მათგანი შესულია საქართველოს „წითელ ნუსხაში“: კოლხური მუხა (*Quercus hartwissiana*), ლაფანი (*Pterocarya pterocarp*), კოლხური ბზა (*Buxus colchica*), ხოლო დანარჩენი სახეობებიდან გავრცელებულია: იფანი (*Fraxinus excelsior*), ქართული მუხა (*Quercus iberica*) და თხმელა (*Alnus barbata*).

ტორფიანი ქაობების პერიფერიულ ზოლში, და ქაობის მდინარეთა ხეობების გასწვრივ აღმოცენებულ დაქაობებულ ტყეებში, დაახლოებით, 9-10 მეტრის სიმაღლე კოლხურ-ჰირკანული მურყანი დომინირებს, იშვიათად თუ გამოიწვევს ლაფანი, იმერული მუხა, წიფელი, ნეკერჩხალი, იფანი და რცხილა. დღემდე შემორჩა ბზა, იელი, შქერი, თაგვისარა, ბაძგი, ძმერხლი.

კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ფრინველებიდან სულ 194 სახეობის ფრინველი ბინადრობს. აქ უამრავი ფრინველის ყოველწლიური მიგრაციის მარშრუტი გადის. შემოდგომობით, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, ხოლო გაზაფხულზე, თბილი ქვეყნებიდან თავიანთი ბუდობის ადგილებსკენ დაძრული მილიონობით ფრინველისთვის, დაუსახლებელი ქაობები დასვენების და შორეულ გადაფრენებს შორის სულის მოთქმის იდეალური ადგილია, ამავე დროს მრავალი სახეობის ფრთოსანისთვის კოლხეთი გამოსაზამთრებელ ადგილს წარმოადგენს.

ფრინველებიდან კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე წყლის პატარა ქათამურები, ყანჩები, ლურჯი ალკუნი გვხვდება. ოქტომბრის თვეში სამხრეთისკენ, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ დაძრულ მტაცებლებზე დაკვირვება შესაძლებელია.

სხვადასხვა სიმაღლეზე ჰაერში მოლივლივე კაკაჩები, ძერები, კირკიტები, მარჯნები, შევარდნები, ძელქორები, კრაზანაჭამია, თეთრკუდა, ველის და ბექობის არწივები სამხრეთისკენ მიუყვებიან ზღვის ნაპირს. ზამთარში ჩრდილოეთიდან იხვების, ბატების, გედების, ჩვამების გუნდები მოფრინავენ. გარდა ამისა, აქ გავრცელებულია შემდეგი სახეობები: ტყის ქათმები, კაუჭნისკარტა კრონ-შნეპები, მელოტები, კოკონები, ქოჩორები, თეთრშუბლა ბატები, სისინა, მყივანა გედი, ხუჭუჭა ვარხვი, დიდი მყივანი არწივი და სხვა. უკვე ძნელად თუ შეხვდებით საქართველოს ფაუნის სიამაყესა და მშვენებას, ულამაზეს ფრთოსანს — ხობობს, რომლის არსებობაც ძველმა მსოფლიომ ოდესღაც კოლხეთში ჩამოსული ბერძენი ზღვაოსნებისგან შეიტყო.

მსხვილი ძუძუმწოვრებიდან კოლხეთის ქაობიან ქალებში, ტყეებსა და ბარდებში გავრცელებულია: ტურა (*Canis aureus*) და გარეული ღორი (*Sus scrofa*), შველი (*Capreolus capreolus*), ნავი (*Lutra lutra*). აღსანიშნავია, რომ აქ საქართველოს „წითელი ნუსხის“ 6 სახეობის ძუძუმწოვარია გავრცელებული.

ზღვის ძუძუმწოვრები წარმოდგენილი არიან დელფინების 3 სახეობით: აფალინა (*Tursiops truncatus*), თეთრგვერდა დელფინი (*Delphinus delphinus*) და ზღვის ღორი (*Phocoena phocoena*).

კოლხეთის ბინადარი ამფიბიებიდან ყურადღებას იქცევს ვასაკა და ტბორის ბაყაყი. ქვეწარმავლებიდან აქ გავრცელებულია: ჩვეულებრივი (*Triturus vulgaris*) და მცირეაზიური ტრიტონი (*Triturus vittatus*), წყლის ანკარა (*Natrix tessellata*), ესკულაპის მცურავი (*Elaphe longissima*) და ქაობის კუ (*Emys orbicularis*).

ეროვნული პარკის ტერიტორიის იქტიოფაუნა თევზების 88 სახეობითაა წარმოდგენილი, მათგან გამსვლელი თევზები – 23 სახეობა, მტკნარი წყლის თევზი – 21 სახეობა, შავი ზღვის თევზი – 44 სახეობა. ხრტილოვანი თევზებიდან

აღსანიშნავია: ატლანტური ზუთხი და სვია, ხოლო ძვლოვანი თევზებიდან – შავი ზღვის ორაგული, ქაშაყი, ლობანი, ქარიყლაპია, სკუმბრია და სხვა.

კოლხეთის ეროვნული პარკის წყლის ეკოსისტემებში გავრცელებულია საქართველოს „ნითელი ნუსხის“ თევზის ნ სახეობა: სვია (*Huso huso*), ფორეჯი (*Acipenser sturio*), ატლანტური ზუთხი - (*Acipenser stelatus*), შავი ზღვის ორაგული [*Salmo fario (truta) morpha*], ღორჯო - მექვიშია [*Gobius (Neogobius) fluvatilis*] და მორევის ნაფოტა (*Rutilus frisii*).

კოლხეთის ეროვნული პარკში, ვიზიტს უფრო საინტერესოს მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული არქეოლოგიური და კულტურის ძეგლების მონახულება ხდის. ლაზიკის ძველი დედაქალაქი არქეოპოლისი და კოლხეთის ქრისტიანული ძეგლები – შუა საუკუნეების ნარწერებითა და ფრესკებით მდიდარი მარტვილის სამონასტრო კომპლექსი, ხობის მონასტერი, ცაიშის, კორცხელის და გულეგლის ეკლესიები – ეროვნული პარკის სიახლოვეს



მდებარეობს. ასევე, საინტერესოა ზუგდიდში დადიანების ევროპული სახლ-მუზეუმი და იქ დაცული უნიკალური ექსპონატები.

კოლხეთის ეროვნულ პარკს ეკოტურიზმისთვის საკმაოდ კარგი პერსპექტივები აქვს. მასიური მიგრაციის პერიოდში აქ მრავალ იშვიათ ფრინველზე დაკვირვებაა შესაძლებელი. Birdwatching-ის სახელით ცნობილი ტურიზმის ეს ფორმა დასავლეთის ქვეყნებში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. საქართველოს, მეტადრე ორნითოლოგიურად მდიდარ კოლხეთს, ფრინველთა თვალთვალის მოყვარულთათვის ბევრი საინტერესო შეხვედრის შეთავაზება შეუძლია. პარკის ტერიტორიაზე მონყობილია ფრინველთა სათვალთვალ კომპლექსი, ხოლო ტურისტთა განთავსება როგორც ეროვნულ პარკში არსებულ ვიზიტორთა სახლში, ასევე ფოთის, გრიგოლეთის და ზუგდიდის სასტუმროებშია შესაძლებელი.


ეროვნული პარკის ადმინისტრაცია დამთვალეირებელს რამდენიმე დაუფინყარ სანაოსნო მარშრუტს სთავაზობს. სანაპირო დიუნების და იმნათის ტორფნარის გასწვრივ, შემუშავებულია ფეხით სავალი მარშრუტებიც, მაგრამ, ქარბტენიანი ტერიტორიების დათვალეირების საუკეთესო საშუალებად მაინც მოტორიანი კატარლები რჩება. თუკი ანაკლიის მახლობლად, ჭურის შავ ზღვასთან შესართავში, ნავით მდინარეს აღმა აუყვებით, ან იმნათ-პალიასტომის გავლით მდინარე ფიჩორის კალაპოტში შეხვალთ, მრავალ ძლიერ შთაბეჭდილებას მიიღებთ. აქაურ რელიქტურ ტყეებში, მდინარის ყოველ მოსახვევში ახალ-ახალი სურპრიზები და ფრინველთა იშვიათ სახეობებთან შეხვედრა გელით.

ლაგოდების დაცული ტერიტორია

ლაგოდების დაცული ტერიტორია საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-აღმსავლეთ ნაწილში, ლაგოდების რაიონში მდებარეობს. იგი მოიცავს ლაგოდების ნაკრძალს და ალკვეთილს, განფენილია დიდი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე. დაცული ტერიტორიის სიმაღლე ზღვის დონიდან 400-დან 3500 მეტრამდე მერყეობს.

ლაგოდები საკმაოდ მდიდარი რაიონია. აქაური ნიადაგი, ზომიერად ტენიანი სუბტროპიკული კლიმატით ხასიათდება. ლაგოდების ნაკრძალი ძალიან წყალუხვია. ნინოსხევი, შრომისხევი, ლაგოდებისწყალი და მანიმისწყალი – ის მთავარი მდინარეებია, რომლებიც სათავეს მაღალ მთაში იღებენ, ისინი ქმნიან უამრავ წყალვარდნილსა და ჩანჩქერს, რომლებიც ტყის ქვედა სარტყელში, შედარებით მდორედ მოედინება.

ლაგოდების ალპურ სარტყელში მყინვარული წარმოშობის რამდენიმე ძალიან ლამაზი ტბაა, მათგან ყველაზე დიდია შავი კლდის ტბა – რომლის სიღრმე თოთხმეტ მეტრს აღწევს და რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მდებარეობს.



ლაგოდების დაცული ტერიტორიების სიმდიდრე ბუნებაა. ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე ვერტიკალური ზონირება და ჰაბიტატთა მონაცვლეობას აქვს ადგილი. ენდემიზმის მაღალი დონე აქ გასაოცარია. ლაგოდების ფლორის 121 სახეობა - კავკასიის, ხოლო 9 – საქართველოს ენდემია. ამ უკანასკნელთაგან 7 – კახეთის, პრაქტიკულად კი თავად დაცული ტერიტორიის ვიწრო ენდემს წარმოადგენს. ლაგოდები განთქმულია თავის საუკეთესოდ შემონახული ხელუხლებელი ნიფლისა და რცხილას ქალწულებრივი ტყეებით.

ნაკრძალში მცენარეულობის ყველაზე გავრცელებული ტიპი ნიფლნარი ტყეა, თუმცა, დაცულ ტერიტორიაზე გვხვდება მურყნარები, რცხილნარები, პატარა ნაკვეთებად ქართული მუხის ტყე და შერეული ფოთლოვანი ტყეები, ნეკერჩხლის კორომები, შემდეგ კი მაღალმთის მუხის ტყე, სუბალპურ ზონაში არყნარია გავრცელებული და დეკის (*Rhododendron caucasica*) ბუჩქნარი.

მდიდარი და მრავალფეროვანი ფლორის ადგილსამყოფელებში, ასევე მდიდარი და თვალწარმტაცი ფაუნის წარმომადგენლებია გავრცელებული. აქ ხერხემლიანი ცხოველების 126 სახეობის ცხოველია აღწერილი, მათგან თევზების - 4 სახეობა, ამფიბიების 5 სახეობა, ქვეწარმავლების - 12, ფრინველების - 150 სახეობა და ძუძუმწოვრების 53 სახეობაა გავრცელებული. ლაგოდების ნაკრძალი და ალკვეთილი ასევე მდიდარია უხერხემლოების ფაუნით, რომელიც ბოლომდე არ არის შესწავლილი.

ლაგოდების დაცულ ტერიტორიებზე ბინადრობენ საფრთხის წინაშე მყოფი და გადაშენების პირას მყოფი ისეთი ცხოველები, რომლებიც საქართველოს „ნითელ ნუსხაშია“ შეტანილი, ასეთებია: არჩვი (*Rupicapra rupicapra*), კავკასიური ჯიხვი (*Capra cylindricornis*), ირემი (*Cervus elaphus mara*), რომლის მხოლოდ რამოდენიმე პოპულაციაა შემორჩენილი საქართველოში, შველი (*Capreolus capreolus*), გარეული ღორი (*Sus scopa*).



მტაცებლებიდან აღსანიშნავია: ფოცხვერი (*Lynx lynx*), მგელი (*Canis lupus*), ასევე საქართველოს „ნითელ ნუსხაში“ შეტანილი მურა დათვი (*Ursus arctos*).

ფრინველებიდან ყურადღებას იქცევენ მტაცებელი ფრინველები, რომლის გარეშე ლაგოდეხის ნაკრძალი და აღკვეთილი წარმოუდგენელია. აქ ბინადრობს კრავიჭამია ანუ ბატკანძერი (*Gypaetos barbatus*), მთის არწივი (*Aquila heliaca*), შვეარდენი (*Falco peregrinis*), მთის (*Aquila chrysaetus fulva*) და ველის (*Aquila nipalensis*) არწივი, ბექობის არწივი (*Aquila heliaca*).

კავკასიის ენდემური ფრინველებიდან ლაგოდეხში გავრცელებულია კავკასიური როჭო (*Tetrao mlokosiewiczii*) და კავკასიური შურთხი (*Tetraogalus caucasicus*).

ლაგოდეხის რაიონში მრავლადაა წინაქრისტიანული ნასახლარი და სამარხი. ბრინჯაოს ხანის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენები – სოფელ ულიანოვკის ტერიტორიაზეა ნაპოვნი. ადრექრისტიანული და



შუა საუკუნეების ძეგლები ლაგოდეხში და მის შემოგარენში ბევრია. ზოგიერთი მათგანი – მეთორმეტე საუკუნის მაჭის (ანუ თამარის) ციხის მსგავსად, ნაკრძალის ტერიტორიაზე მდებარეობს. დაცული ტერიტორიის მახლობლადაა XI-XII საუკუნის წმინდა თევდორეს ეკლესია, ლაკუასტას ციხე-სიმაგრის VIII საუკუნის ნანგრევები, ფონის, არეშფერანისა და ხოშტას ეკლესიები, ადრექრისტიანული და შუა საუკუნეების ნაგებობების და ხიდების ნანგრევები.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია მთავაზობთ 4 საფეხმავლო და საცხენოსნო მარშრუტს:

1. საფეხმავლო ტურისტული მარშრუტი „ლაგოდეხის ჩანჩქერი“:

*მარშრუტის ხანგრძლივობა – 1 დღე;
მარშრუტის სიგრძე – 7 კმ;*

მარშრუტი იწყება ნაკრძალის ადმინისტრაციული ცენტრიდან, მიუყვება მდინარე შრომის ხევის მარცხენა მხარეს და შედის ხეობაში საფეხმავლო ბილიკით და სრულდება ჩანჩქერთან. მარშრუტი ვიზიტორებს საშუალებას აძლევს, ნახონ ხელუხლებელი ფართოფოთლოვანი ტყე, სხვადასხვა ჯიშის საუკუნოვანი ხეები, მინერალური გოგირდოვანი წყაროები. ვიზიტორებს აგრეთვე, საშუალება აქვთ გზად შეისვენონ სპეციალურად მოწყობილ საპიკნიკე ადგილებზე.

2. საფეხმავლო ტურისტული მარშრუტი „გურგენიანის ჩანჩქერი“:

*მარშრუტის ხანგრძლივობა – 1 დღე;
მარშრუტის სიგრძე – 8 კმ;*

მარშრუტი იწყება დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციიდან ავტომანქანით სოფ. ზემო გურგენიანში, ნინოს

ხევის ხეობის დასაწყისამდე, შემდეგ ფეხით მიემართება ვიწრო ბილიკით ხეობის გასწვრივ, ჩანჩქერამდე. მარშრუტზე ვიზიტორები ნახავენ მრავალსაუკუნოვან ცაცხვის ხეს, კლდეებზე გადმომდინარე ანკარა წყაროებს, მდინარეებზე ბუნებრივად შექმნილ მრავალ კომპოზიციას. ვიზიტორებს აქვთ საშუალება, გზად შეისვენონ საპიკნიკე ადგილას.

3. საფეხმავლო ტურისტული მარშრუტი „მაჭის ციხე“:
მარშრუტის ხანგრძლივობა – 1 დღე;
მარშრუტის სიგრძე – 4კმ;

მარშრუტი იწყება ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციიდან, კერძოდ, კი სოფელ მანიმის უბნიდან, და ბილიკით მიუყვება, მდინარე მანიმჩაის პარალელურად, „მაჭის ციხემდე“, სადაც V-VI საუკუნის ისტორიულ-კულტურული ძეგლის ნანგრევებია შემორჩენილი. ამ მარშრუტის გავლისას, არ არის გამორიცხული, ვიზიტორები შეხვდნენ გარეულ ცხოველებს: ირემი, შველი, გარეული ღორი და სხვა.

4. სამანქანო – საცხენოსნო ტურისტული მარშრუტი „შავი კლდეების ტბა“:

მარშრუტის ხანგრძლივობა – 3 დღე;
მარშრუტის სიგრძე – 50კმ;

მარშრუტი იწყება ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციიდან, მანქანით გადაადგილდება სოფელ მანიმში, იქიდან საცხენოსნო ბილიკით, მიუყვება მიტოს სერის მიმართულებით ალპური ზონისკენ და გადის სახელწიფო საზღვრის პარალელურად, შავი კლდეების ტბის მიმართულებით.

პირველი შესვენება (კემპინგი) – ე.წ. წყაროს მიდამოებში;
მეორე შესვენება – შავი კლდეების ტბის მიდამოებში;
მესამე შესვენება – მთა ნინიგორას მიდამოებში.

გზად გვხვდება გადასახედები, კლდეები, სადაც ბინადრობენ ჯიხვები, არჩვები, ირმები, შვლები და სხვა ცხოველები, თუ მტაცებელი ფრინველები. ვიზიტორებს საშუალება ეძლევათ, გადაადგილდნენ ცხენებით, ღამე გაათენონ კარგებში და იქირაონ შესაბამისი აღჭურვილობა.

მარიამჯვარის დაცული ტერიტორია

მარიამჯვარის ნაკრძალი თბილისიდან 60 კილომეტრში მდებარეობს ცივგომბორის ქედის სამხრეთ კალთებზე, საგარეჯოს რაიონის – სოფელ ანთოკის სიახლოვეს (1040 შა). ნაკრძალიდან, ისევე როგორც მთელი ცივ-გომბორის ქედიდან, გარე კახეთის თვალნარმტაცი ხედი იშლება და კარგად მოჩანს მდინარე ივრის წყლით მორწყული ვენახები და ყანები, უფრო შორს კი უნაყოფო და მხოლოდ საძოვრებად ვარგისი, მაგრამ ძალიან ღამაზი ივრის ზეგანი. ნიადაგები ძირითადად თიხნარების, მერგლების და ქვიშნარ-ორლოგოცენებისგან შედგება.

ნაკრძალი განლაგებულია ზღვის დონიდან 700-800 მეტრიდან 1300-1400 მეტრის ფარგლებში. აქაური კლიმატი ერთფეროვანი არ არის. ნაკრძალის ქვედა ზონა ზომიერად თბილი ჰავით, საშუალო ზონა ზომიერი ჰავით, ხოლო ზედა ზონა ცივი ჰავით ხასიათდება. მთლიანად ნაკრძალი ტყის ზომიერად გრილ კლიმატურ რაიონს წარმოადგენს. ნალექების წლიური რაოდენობა ნაკრძალში 744 მმ-ია.

ჰიდროლოგიური ქსელი გამოხატულია მხოლოდ ფართო ხეების გამშრალი კალაპოტებით, რომლებიც წვიმების დროს სწრაფად დიდდება და მზიანი დარების გამოსვლისთანავე, სწრაფადვე იწრიტება წყლისგან. აქაური ნიადაგები, ძირითადად, თიხნარების, მერგლების და ქვიშნარ-ოლიგოცენებისგან შედგება.

ყორულის ალკვეთილი (2068 შა) კახეთში, საკმაოდ

მჭიდროდ დასახლებულ რაიონში მდებარეობს. ყორულის ალკვეთილი, გეოლოგიურად, ამიერკავკასიის მთათაშუა ოლქში შედის და მოიცავს მისი აღმოსავლეთი დაძირვის მოლასურ ზონას. აგებულია ძირითადად შუა მიოცენის (თარხანი, ჩოკრაკი, კარაგანი, კონკი) ზღვიური მოლასური ნალექებით, რომლებიც აქ წარმოდგენილია თიხებით, ქვიშაქვებით, ზოგჯერ ბაზალური კონგლომერატებით, მერგელებით, ოლითური და ქვიშიანი კირქვებით. სასარგებლო წიაღისეულის საბადოები ალკვეთილის ტერიტორიაზე ცნობილი არ არის.

მარიამჯვრის ნაკრძალის შექმნის მთავარ მიზანს კავკასიური რელიქტის, კავკასიური ფიჭვის (*Pinus sosnowskyi*) კერის დაცვა, შენახვა და მასზე მეცნიერული კვლევის წარმოება იყო.

მარიამჯვრის ნაკრძალის 90% ტყითაა დაფარული. ფიჭვნარები გვხვდება ცივგომბორის ქედის როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ კალთებზე. შედარებით დიდი მასივები, გიორგი წმინდის, ანთოკის, მარიამჯვარის და თოხლიაურის ხევების ზემო ნაწილშია განლაგებული. ნაკრძალში არსებობს როგორც სუფთა ფიჭვის კორომები, ასევე, ფოთლოვან მცენარეებთან ნარევი ტყეებიც. ფოთლოვანი ტყე ძირითადად წიფლით (*Fagus orientalis*), ქართული მუხით (*Quercus iberica*) და რცხილითაა (*Carpinus caucasica*) წარმოდგენილი. ალაგ-ალაგ გვხვდება მურყნარები (*Alnus barbata*). ქვეტყეში შინდი, ზღმარტლი, კუნელი, თხილი და მაცვალი ჭარბობს. სულ მარიამჯვრის ნაკრძალში 50-მდე სახეობის ხე და ბუჩქია გავრცელებული.

ნაკრძალში ძუძუმწოვების შემდეგი წარმომადგენლები გვხვდებიან: შველი (*Capreolus capreolus*) და დათვი (*Ursus arctos*), ტყის კვერნა (*Martes meles*), ტყის კატა (*Felis silvestris*), მაჩვი (*Meles meles*), მელა (*Vulpes vulpes*), კურდღელი (*Lepus europaeus*), კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalis*). ნაკრძალის ტერიტორიაზე ფრინველთა 34 სახეობა გვხვდება, ამათგან აღსანიშნავია: სკვინჩა, შაშვი, ღობემძვრაღა, ქედანი,

ოფოფი, გუგული, ძერა, ტყის ბუ, მწვანე კოდალა, მიმინო და სხვა.

ყორულის ალკვეთილში მდ. იორის ნაპირებზე ჭალის ტყეა შემორჩენილი. მისი შემქმნელი ძირითადი ხე-მცენარეებია: ტირიფი, ხვალო ანუ ჭალის ვერხვი (*Populus hybrida*), ოფი (*Populus nigra*), ჩვეულებრივი მურყანი (*Alnus barbata*), ჭალის მუხა (*Quercus pedunculiflora*) და ზოგიერთი სხვა. ქვეტყეში იზრდება ძეძვი, ქაცვი, ქართული კონახური, ჭალა-ფმატა და სხვ. ჩვეულებრივია ლიანები: აღმოსავლური კატაბარდა, ეკალ-ლიჭი, ღვედკეცი და სხვ. ჭალის ტყეს, ორივე მხრიდან სტეპის მცენარეულობა, ძირითადად, უროიანები ესაზღვრება.

ნაკრძალის მახლობელ ტერიტორიაზე მდებარეობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი, რომელთა შორისაა მეთორმეტე საუკუნის ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსი, ამავე საუკუნის გიორგიწმინდის ეკლესია და საქართველოსთვის უნიკალური გურჯაანის ორგუმბათოვანი ბაზილიკა. სოფელ მარიამჯვარსა და ნაკრძალთან ახლოს მდებარე სოფლებში შემორჩენილია მკვიდრად ნაშენი ხალხური ტიპის ქვის სახლები, ძველი მარნები და სამეურნეო ნაგებობათა ნიმუშები. საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი ძველი სამარხები, წინა ქრისტიანული და შუა საუკუნეების ნაგებობათა ნაშთები, ძველი ქვევრები და სხვადასხვა პერიოდის კერამიკული მასალა.

ყორულის ალკვეთილთან ახლოს აღმოჩენილია ენეოლით-ადრინდელი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, გათხრილია შუა ბრინჯაოს ხანის ეპოქის სამარხები, ნაპოვნია გვიანდელი ბრინჯაოს და ადრინდელი რკინის ეპოქის



ძეგლები. ყორულთან მდებარე ისტორიულ ძეგლთა შორის ყველაზე გამორჩეული უდავოდ დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსია. ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში, ასურეთიდან ჩამოსული მისიონრის დავით გარეჯელის დაარსებულ მონასტერში საუკუნეების მანძილზე არ წყდებოდა სასულიერო ცხოვრება (თუ არ ჩავთვლით საბჭოთა პერიოდის სამოცდაათწლიან წყვეტილს). საუკუნეების მანძილზე დავით გარეჯის გარშემო უსიცოცხლო და უწყლო ივრის ზეგანზე, მრავალი დიდი და პატარა მონასტერი გაჩნდა, ხოლო ეს ადგილები საქართველოს სულიერების კერად, მნიგნობრობის და კედლის მოხატულობის ცენტრად იქცა. დავით გარეჯის მონასტრებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი – ბერთუბანი, დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს. ლავრა, უდაბნო, ნათლისმცემელი, ვერანგარეჯა, ჩიჩხიტური, დოდოს რქა, თეთრი სენაკები... ეს დიდ სამონასტრო კომპლექსში შემავალი, შესანიშნავ პეიზაჟებში ჰარმონიულად ჩამჯდარი ძეგლებია, რომლებიც მრავალად იზიდავს დამთვალიერებლებს და მორწმუნეებს.

მარიამჯვარის ნაკრძალი – ვენახების, ზვრების და ყურძნის ჯიშებით გამორჩეული ბარაქიანი მხარეა. კახეთის მოსახლეობა ოდითგანვე მისდევდა სოფლის მეურნეობას, და მეტადრე მევენახეობას. ადგილობრივთა ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავალხმიანი ხალხური სიმღერები და ვაზისადმი მიძღვნილი უძველესი რიტუალებია შემონახული.

ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტურიზმის განვითარებული ფორმებიდან, ალბათ კულტურული და ღვინის ტურებია აღსანიშნავი. თავად ნაკრძალს საკმაოდ კარგი პოტენციალი გააჩნია საცხენოსნო, ეკოლოგიური და ფრინველებზე დაკვირვების ტურების მოსაწყობად. ნაკრძალის ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმებით შესაძლებელია ნაკრძალის უშუალო სიახლოვეს ბანაკის მოწყობა ან ღამისთევა – სოფელ მარიამჯვარსა და ანთოკში ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილ სახლებში.

ყორულის ალკვეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე



კარგადაა განვითარებული კულტურული, სამანქანო სათავგადასავლო და საფეხოსნო ტურები. ტურიზმის ეს სახეობები დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მონახულებას უკავშირდება. რეგიონს გააჩნია პოტენციალი – ეკოლოგიური, ბოტანიკური, ფრინველებსა და ცხოველებზე დაკვირვების ტურიზმის გასავითარებლად.

ქობულეთის დაცული ტერიტორია

ქობულეთის დაცული ტერიტორია 1999 წელს შეიქმნა და მოიცავს ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალსა (331 ჰა) და ქობულეთის ალკვეთილს (439 ჰა), რომლებიც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, შავი ზღვის გასწვრივ, ქალაქ ქობულეთის ჩრდილოეთით მდებარეობს.

ტერიტორია აგებულია თანამედროვე (მეოთხეული ასაკის) ზღვიურ-მდინარეული და ტბიურ-ჭაობის ნალექებით.

ქობულეთის დაცული ტერიტორია მოიცავს ისპანის ტორფის საბადოს. რელიეფი ბრტყელია და ოდნავ ეროზირებულია მდინარეების – შავი ლელესა და ტოგონის მიერ. აქ ტიპიური ზღვის, ნოტიო, სუბ-ტროპიკული კლიმატია – წლიური ნალექიანობა 1500-2500 მმ-ია, რის უმეტესობაც, წვიმის სახით შემოდგომისა და ზამთრის სეზონებზე მოდის.

გადამფრენი წყლის ფრინველთა სახეობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, თუმცა ეს ადგილები განსაკუთრებულად მდიდარია მცენარეთა სახეობებით. ისპან I-ზე დღევანდელი მდგომარეობით წარმოდგენილია ნახევრად დეგრადირებული, მეორადი მცენარეული დაჯგუფებები. ისპანი II (ქობულეთის აღკვეთილი) მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური პერკოლაციური გუმბათისებრი ჭაობია, რომელიც მხოლოდ წვიმის წყლით საზრდოობს. ქობულეთის დაცული ტერიტორიების ტორფიანი ჭაობის საერთო ფონს ტორფის ხავსები - სფაგნუმის სახეობები, ე.წ. „იმერული ისლი“, თეთრი რინხოსპორა (*Rhynchospora alba*), კავკასიური რინხოსპორა (*Molinia lotiralis*), ტორფის ისლი (*Carex riparia*), წყლის სამყურა (*Menyanthes trifoliata*) და მრგვალფოთოლა დროზერა (*Drosera rotundiflora*) და ზოგიერთი სხვა ქმნიან.

ამ მცენარეთა უმეტესობა ჩრდილოური (borealuri) წარმოშობისაა, მათ კოლხეთში მეოთხეული პერიოდის გამყინვარების ეპოქაში შემოაღწიეს.

აქაურ ტორფიან ჭაობებში იზრდებიან კოლხური მცენარეებიც: შქერი (*Rhododendron ponticum*), იელი (*Rhododendron luteum*), ეკალიჭი (*Smilax excelsa*) და სხვ. ქობულეთის აღკვეთილში გვხვდება იშვიათი და გადაშენების პირას მისული სამეფო გვიმრაც (*Osmunda regalis*).


ძუძუმწოვრებიდან აქ ბინადრობენ: ტურა, წავი (*Lutra lutra*), მაჩვი, ნუტრია. კურდღელი, ბუჩქნარის მემინდვრია, მინდვრის თაგვი და სხვა. აღსანიშნავია, რომ წავი საქართველოს „ნითელ ნუსხაშია“ შეტანილი.

ამფიბიებიდან გვხვდება: კასპისა და ჭაობის კუ, ჩვეულებრივი გომბემო, მწევანე ბაყაყი, ჩვეულებრივი

ყასაკა და სხვა, რეპტილიებიდან კი — წყლის ანკარა, ჩვეულებრივი ანკარა, ბოხმენა, გველხოკერა, ზოლიანი ხელიკი, ჩვეულებრივი ტრიტონი და სხვა.

თევზებიდან არხებში ქარიყლაპია, კარასი, ქორჭილა და მდინარის გველთევზა გვხვდება.

რეგიონი საინტერესოა კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისითაც. ქობულეთზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა გადიოდა და, გვიან ანტიკურ ხანაში, მცირე კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. ქობულეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელება პირველ საუკუნეში ანდრია მოციქულის სახელს უკავშირდება. ყურადღებას იქცევს ქობულეთის თანამედროვე არქიტექტურა, 1950 წლებიდან მოყოლებული, მოსახლეობა ძნელად გამოსაყენებელ სახლებს აგებდა უზარმაზარი კიბეებითა და აივნებით. სახლის სიდიდე ოჯახის კეთილდღეობაზე მიუთითებდა. ქობულეთთან ახლო მდებარე სოფლებში შემორჩენილია აჭარული და ლაზური საცხოვრებლის ნიმუშები. ქობულეთის მახლობლად შემორჩენილია, ადრე შუა საუკუნეების, ციხეებისა და ხიდების ნანგრევები.



ქობულეთის მიდამოები ტურიზმის განვითარებისთვის ერთ-ერთ საუკეთესო პირობებს ქმნის – აქ შესაძლებელია სანყალოსნო, ეთნოლოგიური და ეკოლოგიური ტურების ორგანიზება, ფრინველებზე დაკვირვება ქობულეთთან ახლოს მდებარე მთიან დასახლებებში და სხვა.

იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორია

იმერეთის მღვიმეთა კომპლექსი ქ. ქუთაისიდან 10კმ-ში მდებარეობს. იმერეთის მღვიმეთა კომპლექსის ფართობი, დაახლოებით, 354 ჰექტარია. თავად სათაფლია ზღვის დონიდან 500 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ტერიტორიაზე გვხვდება კარსტული მღვიმეები. სათაფლიის ჰავა სუბტროპიკულია. ნალექების წლიური რაოდენობა 1900მმ-ს აღწევს. იანვრის საშუალო ტემპერატურა $+4^{\circ}\text{C}$, ხოლო აგვისტოს $+25^{\circ}\text{C}$.

სათაფლიას ნაკრძალი ნოტიო სუბტროპიკულ სარტყელში მდებარეობს. ნაკრძალის ტერიტორიის 98% დაფარულია ახალგაზრდა კოლხური ტიპის სუბტროპიკული ტყით. ტყეში დომინირებს წიფლნარი ტყე, ბზის ქვეტყით და რცხილნარი ჯაგრცხილის ქვეტყით. წინვოვანებიდან აქ ბუნებრივად გვხვდება უთხოვარი (*Taxus baccata*).

ნაკრძალის ტერიტორიაზე 67 სახეობის მერქნიანი მცენარეა აღწერილი, რომელთაგან 30 ხეა და 37 ბუჩქი, მათგან, 59 სახეობა ფოთოლმცენარეა, 8 – მარადმწვანე. მერქნიან მცენარეთა თითქმის ნახევარი, რელიქტურია. მათ შორისაა მესამეული პერიოდის რელიქტები: კავკასიური რცხილა (*Carpinus caucasica*), ქართული მუხა (*Quercus iberica*), აღმოსავლეთის წიფელი (*Fagus orientalis*), წაბლი (*Castanea sativa*), იმერეთის ხეშავი (*Rhamnus imeretina*), ჩვეულებრივი მურყანი (*Alnus barbata*), კოლხური ჯონჯოლი (*Staphylea pinnata*), ბზა (*Buxus colchica*) და სხვა.

კოლხური ტყის ელემენტებიდან ნაკრძალში გავრცე-

ლებულია რვა სახეობა, ასეთებია: ჰართვისის მუხა, იმერული ხეშავი, შქერი, თავგისარა, ძმერხლი, კოლხური ჯონჯოლი, მაღალი მოცვი და კოლხური ბზა. პოლტავის ფლორის ელემენტებიდან – ბზა, კოლხური სურო, შქერი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ნაკრძალში გავრცელებულია იშვიათი, და გადაშენების პირას მისული საქართველოს წითელ წუსხაში შეტანილი 9 მერქნიანი მცენარე. გარდა ამისა, სამი – კავკასიისა და ერთი – საქართველოს ენდემი.

სათაფლიას ნაკრძალში ძუძუმწოვრების 12, რეპტილიების-5, ამფიბიების-4 და ფრინველების 30 სახეობა ბინადრობს. მსხვილი ძუძუმწოვრებიდან აქ ტურა (*Canis aureus*), მაჩვი (*Meles meles*), ტყის კვერნა (*Martes meles*), კავკასიური ციყვი (*Sciurus vulgaris*), კურდღელი (*Lepus europeus*) და მელა (*Vulpes vulpes*) გვხვდება, იშვიათად, მგელი (*Canis lupus*) და შველი (*Capreolus capreolus*).

კოლხური ტყის ლამაზ პეიზაჟს ჭრელა-ჭრულა ფრინველები ავსებენ. ნაკრძალი მერცხლების, კავკასიური სკვინჩების, ჭედია ყარანების, შაშვებისა და ჩხიკვების



სამფლობელოა. მას ხშირად ოფოფი, მწყერი და ტყის ქათამი სტუმრობს.

მრავალხმრივ საინტერესო ნაკრძალი, ქართული კულტურისა და არქეოლოგიური ძეგლებითაა გარშემორტყმული. სათაფლიასთან ახლოს, ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, განადგურებული ვანის ანტიკური ნაქალაქარი მდებარეობს. ვანი ძალიან მდიდარი არქეოლოგიური ძეგლია, გალავნისა და კარიბჭის ნაშთებით, საკულტო შენობა-ნაგებობის ნანგრევებით. იქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა საქართველოს ოქროს ფონდის ნამდვილი მშვენიერებაა. ნაკრძალისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს ქრისტიანული კულტურის ისეთი ცნობილი ძეგლები, როგორებიცაა: მეცხრე საუკუნის უბისის ეკლესია, მეთორმეტე საუკუნის გელათის სამონასტრო კომპლექსი – ამავე პერიოდის კედლის მხატვრობით, მეათე საუკუნის მონამეთას ეკლესია და მეთერთმეტე საუკუნის ბაგრატის ტაძრის ნანგრევები. ეს უკანასკნელი, გელათის არქიტექტურულ ძეგლთან ერთად, „იუნესკოს“ მიერ არის დაცული.

ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურიზმის ყველაზე განვითარებული ფორმები – კულტურული და არქეოლოგიური ტურებია. ასევე ხორციელდება სამანქანო სათავგადასავლო ტურები ზეკარისა და საირმის მიმართულებით. თავად სათაფლიას, საკმარისზე მეტი პოტენციალი აქვს იმისთვის, რომ მის ტერიტორიაზე წარმატებით მოეწყოს სპელეოლოგიური ტურები. ნაკრძალის ტერიტორიაზე შესაძლებელია ეკოლოგიური ტურიზმისა და ფრინველებზე დაკვირვების ტურების მოწყობაც. ნაკრძალის მიმდებარე კოლორიტულ იმერულ სოფლებში სავსებით შესაძლებელია ეთნოგრაფიული და ღვინის ტურების ორგანიზებაც.

თბილისის ეროვნული პარკი

თბილისის ეროვნული პარკი შეიქმნა საგურამოს ნაკრძალის ბაზაზე 1957 წელს. იგი თბილისიდან 25 კილომეტრითაა დაშორებული და ქალაქის გამწვანების ზოლში შედის. საგურამოს ნაკრძალის შექმნის მიზანი იყო აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი ტყის შენარჩუნება და მის ბინადართა დაცვა, მათ შორის ისეთი იშვიათი სახეობების, როგორებიცაა: კავკასიური კეთილშობილი ირემი და ფოცხვერი.

თბილისის ეროვნული პარკის ფართობი შეადგენს 24328 ჰა-ს. იგი საქართველოს ორი მნიშვნელოვანი ქალაქის მცხეთის და თბილისის სიახლოვეს მდებარეობს.

თბილისის ეროვნული პარკი ზომიერად ტენიანი ჰავის ოლქს მიეკუთვნება. აქ ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი ზაფხული იცის. ნალექების წლიური რაოდენობა, საშუალოდ 523-720 მმ შეადგენს. საშუალო წლიური ტემპერატურაა: იანვარი $-0,5^{\circ}\text{C}$ და აგვისტო $+24,1^{\circ}\text{C}$. ტერიტორია გეომორფოლოგიურად მრავალრიცხოვანი მთებით, ფერდობებით და ხევებით შედგენილ, ძლიერ დასერილ რაიონს წარმოადგენს. უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან 1385 მეტრზე მდებარეობს.

თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიებზე საკმაოდ ნაირგვარი მცენარეულობაა. აქ გავრცელებულია 675 სახეობის ბალახოვანი, თუ მერქნიანი მცენარე, მათ შორის, 104 ხე და ბუჩქია. ნაკრძალის დენდროფლორა იმითაცაა საინტერესო, რომ აქ გავრცელებულია მესამეული პერიოდის კოლხეთის ფლორის წარმომადგენლები: კოლხური ქყორი (*Ilex colchica*), კოლხური და პასტუხოვის სურო (*Hedera colchica*, *Hedera pastuchowii*), ძახველი (*Viburnum opulus*), თავვისარა (*Ruscus ponticus*), უთხოვარი (*Taxus baccata*), კავკასიური დეკა (*Rhododendron caucasica*) და სხვა.

თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ძირითადად

ნარმოდგენილია ქართული მუხის, აღმოსავლეთის ნიფელის, კავკასიური რცხილის, ჩვეულებრივი იფნის, ჯაგრცხილის და პანტის ტყის ეკოსისტემები.

თბილისის ეროვნული პარკის ფაუნა საკმაოდ მდიდარია. ძუძუმწოვრებიდან ნაკრძალში ყველაზე გავრცელებულია მელა (*Vulpes vulpes*) და მგელი (*Canis lupus*). თითქმის ყველგან გვხვდება ტყის კვერნა (*Martes foina*) და სინდიოფალა (*Mustela nivalis*). დიდი მტაცებლებიდან იშვიათია ფოცხვერი (*Lynx lynx*) და მურა დათვი (*Ursus arctos*).

თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორია გამოირჩევა ფაუნის ნარმოდგენლების მნიშვნელოვანი მრავალფეროვნებით. აქ გავრცელებულია ისეთი ცხოველები როგორცაა: შველი (*Capreolus capreolus*), კურდღელი (*Lepus europaeus*), ტყის კვერნა (*Martes foina*) და სხვა.

ჩლიქოსნებიდან მრავლადაა შველი. ადრე საგურამოს ნაკრძალი კავკასიური კეთილშობილი ირმის (*Cervus elaphus*) პოპულაციით იყო განთქმული.

მრავალფეროვანია აქაური ორნითოფაუნა. ხშირად შეხვდებით ჩხიკვს, შაშვს და რამდენიმე სახის კოდალას.



მტაცებელ ფრინველთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანი მიმინოა, ხოლო საქართველოს “ნითელი ნუსხის” ფრინველებიდან აქ გვხვდება: ბეგობის არწივი (*Aquila heliaca*), დიდი მყივანა არწივი (*Aquila clanga*), ქორცქვიტა (*Accipiter brevipes*).

თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე 12 სახის ქვეწარმავალი გვხვდება, რომელთაგანაც ყველაზე გავრცელებული გველხოკერაა. ბევრია უბრალო ანკარაც, ჩვეულებრივია ყვითელმუცელა მცურავის და სპილენძა გველის ნახვა.

თბილისის ეროვნული პარკი, პირდაპირ ესაზღვრება მეექვსე საუკუნის ქართული არქიტექტურის შედეგს – მცხეთის ჯვარს, რომლიდანაც ქალაქ მცხეთაზე და მთელ გარემოზე არაჩვეულებრივი პანორამა იშლება. მცხეთის ჯვრიდან მტკვარს გაღმა, ბაგინეთის ქედზე ნარმოებული გათხრებიც მოჩანს. ეს არმაზის პიტიასმთა (მცხეთის გამგებელთა) სასახლის, ანტიკური აბანოების და ნარმართული კერპების ნაშთებია, სწორედ იმ კერპებისა,

რომლებიც საქართველოს გამაქრისტიანებელმა წმინდანინომ დაამსხვრია, ხოლო რამდენიმე საუკუნის შემდეგ, მათ მოპირდაპირე მხარეს, მაღალ მთაზე, ნიშნად ქრისტიანობის წარმართობაზე გამარჯვებისა, ჯვრის გუმბათოვანი ტაძარი აღიმართა. მცხეთა ძალზე მდიდარია არქეოლოგიური და კულტურული ძეგლებით. მცხეთასა და მის უშუალო შემოგარენში არაერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლია, რომლებიც იუნესკოს დაცვის ქვეშ იმყოფება. ესენია:



მეთერთმეტე საუკუნის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, იმავე პერიოდის სამთავროს ეკლესია, მეექვსე საუკუნის სამონასტრო კომპლექსები: შიო მღვიმე და ჯვარი. მთლიანად მცხეთა პატარა ქალაქ-მუზეუმს წარმოადგენს და ყოველდღიურად არაერთ ქართველ, თუ უცხოელ დამთვალიერებელს მასპინძლობს.

თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორია ძალზე საინტერესოა ტურისტული თვალსაზრისით. კულტურული ტურიზმი თბილისშიც და მცხეთაშიც – ორივე მრავალეთნიკურ და ისტორიული ძეგლებით მდიდარ ქალაქში, ძალზედ კარგადაა განვითარებული. თბილისის ეროვნული

პარკის შემადგენელ საგურამოს ნაწილს – ეკოლოგიური, ბოტანიკური და ფრინველებზე დაკვირვების ტურებისთვის საკმაოდ კარგი პოტენციალი აქვს.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორია

ვაშლოვანის დაცული ტერიტორია საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, დედოფლისწყაროს რაიონში მდებარეობს. იგი მოიცავს: ვაშლოვანის ნაკრძალს, ვაშლოვანის ეროვნულ პარკსა და ბუნების ძეგლებს: „არწივის ხეობას“, „ტახტითეფას ტალახის ვულკანებს“ და „ჯუმას ყურეს ალაზნის ქალებს“. დაცული ტერიტორია კახეთის ორ მთავარ მდინარეს, ორ მთავარ სასიცოცხლო წყაროს – იორსა და ალაზანს შორისაა მოქცეული. ხეობა წარმოადგენს კირქვული წარმოშობის კლდეებში პატარა ხევის მიერ გაჭრილ, ღრმა და ულამაზეს კანიონს. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაშია ვაშლოვანის ეროვნული პარკი და რამდენიმე ბუნების ძეგლი, რომელთა საერთო ფართობი, დაახლოებით 24 924 ჰა-ია. ვაშლოვანის დაცული ტერიტორია 2003 წელს გაიხსნა.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორია გამოირჩევა იშვიათი საკმლის ხის (*Pistacea mutica*) არიდული ნათელი ტყეებითა და უროინა-ვაციწვერიანი სტეპებით. მთისწინეთი დაფარულია მუხნარისა და იფნარის ბუნებრივი კორომებით, სადაც შერეულია ნეკერჩხალი და თელა. აქ გავრცელებულია: კონახური, ძეძვი, თრიმლი, ჯავჯავა, უძრახელა და სხვა.

ვაშლოვანის ეროვნულ პარკში, ალაზნის უნიკალური ჭალის ტყე და ბუნების ორი პატარა (ჯუმას და მიჯნის) ყურეა. ეს ყურეები ერთადერთი ადგილია საქართველოში, სადაც ჭალის მუხების (*Quercus pedunculata*), ვერხვების (*Populus nigra*, *P. canescens*), იფნების (*Fraxinus excelsior*) და ველური ბრონეულის (*Punica granatum*) გვერდით, ველურად იზრდება კაკლის ხეები (*Juglans regia*).

ვაშლოვანში 700-მდე სახეობის მცენარეა აღწერილი,

თუმცა, მათ შორის, აღსანიშნავია: ორქიდეების მრავალფეროვნება (7 სახეობაა), ქართული ზამბახის (*Iris iberica*), ეიხლერის ტიტის (*Tulipa eichler*), მაიკოს იორდასალამის (*Paeonia maiko*), ველური ვაზის (*Vitis sylvestris*) და სხვა იშვიათი მცენარეების გავრცელება.

ვაშლოვანის ფაუნა საკმაოდ მრავალფეროვანი და მიზიდველია. ვაშლოვანში სულ 46 სახეობის ძუძუმწოვარი ცხოველი ბინადრობს. მრავლადაა ტურა (*Canis aureus*), მელა (*Vulpes vulpes*), კურდღელი (*Lepus europaeus*), მგელი (*Canis lupus*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), ლელიანის კატა (*Felis chaus*), გარეული ღორი (*Sus scrofa*) მაჩვზღარბა (*Hystrix indicus*) და ნახევარუდაბნოსთვის ასე იშვიათი დათვიც (*Ursus arctos*).

2003 წლის ბოლოს, ვაშლოვანში წინააზიური ჯიქი ანუ ლეოპარდი (*Panthera pardus ciscaucasica*) აღმოაჩინეს. მეცნიერებმა მოახერხეს რამდენჯერმე ფოტოფირზე დაეფიქსირებინათ ეს – საქართველოსთვის უნიკალური ცხოველი (NACRES). ხვად ლეოპარდს ნოე შეარქვეს. ის ახლაც ვაშლოვანის ტერიტორიაზე ცხოვრობს და ეროვნული პარკის სიმბოლოდ და სავიზიტო ბარათადაა ქცეული. 2008 წლის სექტემბერში, ლეოპარდი ცოცხლად იხილეს (NACRES) თანამშრომელმა ბ. ლორთქიფანიძემ და რეინჯერებმა.

უახლოეს მომავალში მეზობელი აზერბაიჯანიდან დაგეგმილია ქურციკების (*Gazella subgutturosa subgutturosa*) შემოყვანაც. ადრე ეს ჩლიქოსანი ქიზიყის ჩვეული ბინადარი იყო და ჭარბი ძოვებისა და უკონტროლო ნადირობის წყალობით, მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, საბოლოოდ გაქრა საქართველოში. დღეს უკვე გაჩნდა იმედი, რომ ქურციკი ისევ დაბრუნდება ვაშლოვანში და მის დაბრუნებას ისევ ადამიანი შეუწყობს ხელს.

ორნითოლოგიური თვალსაზრისით ვაშლოვანის ნაკრძალი ძალიან მდიდარია. ვაშლოვანში შოშიების და ტარბების ათასიანი გუნდები გვხვდება. მრავლად არიან სხვა მცირე ზომის ფრინველები: ბელურები, მელორიები,

ჩიტბატონები, სკვინჩები. ზამთრობით აქ სარსარაკების, უფრო იშვიათად კი, უზარმაზარი სავათების ნახვაცაა შესაძლებელი. მტაცებელი ფრინველებიდან ვაშლოვანში ბეჭობის არწივების (*Aquila heliaca*), სვავების (*Aegypius monachus*), ორბების (*Gyps fulvus*), ძელქორების (*Circus aeruginosus*) და კაკაჩების (*Buteo buteo*) ნახვაცაა შესაძლებელი. მრავლადაა კაკაბი. იშვიათად, მაგრამ მაინც შეხვდებით დურაჯს. ხოლო ალაზნის ქალებში, რომლებიც უკვე ეროვნული პარკის შემადგენლობაშია შესული, მრავლად არის კოლხური ხობობი (*Phasianus colchicus*). ვაშლოვანის თიხის ციცაბო ფლატეებზე, კი მერცხლების კოლონიები ბუდობენ, რომელსაც „მერცხლების ქალაქს“ უწოდებენ.

აქ წყლის ფრინველების სიმრავლეა, აქ გვხვდება ყანჩები, ჩვამები, იხვინჯები, გარეული იხვები, ნითელი იხვები, შაკი, თეთრკუდა ფსოვი.

ვაშლოვანის ფაუნაში მნიშვნელოვანი როლი უკავიათ ქვეწარმავლებსაც. აქ მათი 25 სახეობაა აღწერილი. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ხმელთაშუა ზღვის კუს (*Testudo graeca*), გრძელფეხა სცინკის, თვალტიტველა ხვლიკის, ჯოჯოს და გველების: აზიური მახრჩობელას, ოთხზოლიანი მცურავის, ჩვეულებრივი ანკარას და გიურზას ნახვაცაა შეიძლება.

ალაზანში თევზების, დაახლოებით, 16 სახეობა ბინადრობს, აქ ჯერ კიდევ მრავლად არის ლოქო, კობრი, ფარგა, შამაია, მდინარის ღორჯო, ნვერა და კავკასიური ქაშაყი.

ვაშლოვანის ტერიტორიაზე 700 სახეობის მწერია დაფიქსირებული, მათი უმრავლესობა პეპლებია – 109 სახეობაა.

დათვის ხევის ალესილები მნახველებს კიდევ ერთ სასიამოვნო სიურპრიზს – პრეისტორიულ ფაუნასთან შეხვედრას უმზადებს. გაშიშვლებული ქანების დაღექილ ფენებში დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს ზღვის მოლუსკების კარგად შემონახულ ქიტინებს. ეს მოლუსკები ვაშლოვანის ყველაზე ძველი ბინადრები არიან – ჯერ

კიდევ იმ დროინდელი, როდესაც აქაურობა ზღვით იყო დაფარული. იმავე, დათვის ხევში კიდევ ერთ, შედარებით „ახალგაზრდა“ პრეისტორიულ ცხოველს შეხვდებით – თიხის ბორცვიდან სამხრეთული სპილოს გაქვავებული ბეჭის ძვალია გამოშვერილი.

დედოფლისწყაროში ჩამოსულ დამთვალიერებელს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია რამდენიმე მარშრუტს – სამანქანოს, ფეხით სასიარულოს და საჯომარდოს (მდინარე ალაზანზე ნავით დაშვება) სთავაზობს. მარშრუტები ისეა შედგენილი, რომ ეკოსისტემას არანაირი ზიანი არ მიაყენოს. საერთოდ, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები იდეალური ადგილია ფრინველებზე დაკვირვებისთვის (Birdwatching).

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე ყველა პირობა არსებობს ეკოტურიზმის და სამეცნიერო ტურიზმის განვითარებისთვის. ხევში, საიდანაც მეორე – უკვე ფეხით სასიარულო მარშრუტი – „დათვის ხევი“ იწყება, სანახავი კიდევ უფრო მეტია, რადგან ალესილების თიხნარები გარეული ცხოველის ძველი და ახალი ნაკვალევითაა სავსე.

საერთოდ, მთელი ეს დაცული ტერიტორია, და მიმდებარე არნივის ხეობაც, იდეალური ადგილია ფრინველებზე დაკვირვებისთვის (Birdwatching). ჩვენში ტურიზმის ეს სახეობა შედარებით ახალია, მაგრამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უკვე სულ უფრო ხშირად შეხვდებით ფოტოაპარატებითა და ბინოკლებით შეიარაღებულ დასავლელი ტურისტების ჯგუფებს, რომლებიც ფრინველებზე დაკვირვებით არიან გართულები. ამ სახის ტურისტებისთვის ორნითოლოგიურად მდიდარი ვაშლოვანი, მართლაც რომ სასურველი ადგილია.

ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული საჯომარდო მარშრუტი, ალაზნისპირა – სოფელ წითელ საბათლოდან, იწყება და მიჯნისყურემდე აღწევს. ალბათ, ძალიან საინტერესო უნდა იყოს რეზინის ნავით მოგზაურობა

მდინარეზე, რომლის ერთი ნაპირი საქართველოა, ხოლო მეორე – აზერბაიჯანი და, რომლის ნაპირები მშვენიერი ქალის ტყითაა დაფარული.

ტყის ზოლის უკან, კი ლამაზად მოჩანს ალესილები. ალაზანზე დაშვებისას, მუდმივად გესმით ქალაში მობინადრე ფრინველების გალობა და ხედავთ სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებს. მარშრუტის ბოლოს – მიჯნისყურეში, ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ დაშვებულია ანკესით სპორტული თევზაობაც. სპორტული თევზაობის მსგავსად, პარკის ტერიტორიაზე ადამიანის ნებისმიერი სახის აქტივობა – გადაადგილება, ლამისთევა თუ კოცონის დანთება, მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილ ადგილებშია ნებადართული. რალა თქმა უნდა, აკრძალულია ცეცხლსასროლი იარაღის ტარება და მოგზაურობის დროს შინაური ცხოველების თანხლება. ამ პირობების დაცვაზე გამყოლები და პარკის გარშემო, ოთხ საგუშაგოზე მუდმივად მორიგე რეინჯერები ზრუნავენ. ეს ის აუცილებელი ზომებია, ურომლისოდაც დაირღვევა ბუნებაში არსებული ბალანსი და ეროვნული პარკი აუცილებლად დაკარგავს იმ პირველქმნილობასა და ხელუხლებელ სიველურეს, რომელიც აგრერიგად ხიბლავს მნახველს.



ალგეთის დაცული ტერიტორია

ალგეთის ეროვნული პარკი ისტორიულ ქვემო ქართლში მდებარეობს – თეთრინყაროს რაიონში, ქ. თბილისიდან 60 კმ-ის დაშორებით. იგი მოიცავს მდინარე ალგეთის ხეობას, თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილის სამხრეთ ფერდობებს, და ზღვის დონიდან 1100-1950 მ სიმაღლეზე მდებარეობს. უმაღლესი წერტილია კლდეკარი (2000მ).

ალგეთის ეროვნული პარკი ვულკანური და დანალექი ქანებითაა აგებული. ეროვნული პარკი ხასიათდება ნოტიო კლიმატით. ზამთარი ზომიერად ცივი, ხოლო ზაფხული ხანგრძლივი და თბილი იცის. ალგეთის ეროვნული პარკის საერთო ფართობი 6 822 ჰექტარია.

ალგეთის ეროვნული პარკის 6044 ჰა ტყითაა დაფარული. აქედან ნაძვნარებს - 1442 ჰა, წიფლნარებს - 2250 ჰა, მუხნარებს — 1380 ჰა, ფიჭვნარებს - 250 ჰა, რცხილნარებს - 120 ჰა, იფნარებს - 9 ჰა და არყნარებს - 5 ჰა უკავია. აქ სოკოების 250 სახეობაა გავრცელებული, მათგან, 10 სახეობა პირველად იქნა აღმოჩენილი.

აქ მცენარეთა 1664 სახეობაა; აქედან, 80 – ხეა, 74 სახეობის – ბუჩქი, 800-ზე მეტი – ბალახოვანი მცენარე, 156 სახეობის – სამკურნალო მცენარე, 43 – შხამიანების, 24 – ბოსტნეულის, 69 – დეკორატიული, 3 სახეობა საქართველოსა და კავკასიის ენდემია.

მდიდარია ეროვნული პარკის ფაუნაც. მსხვილი მტაცებელი ძუძუმწოვრებიდან ეროვნულ პარკში გვხვდება: მურა დათვი (*Ursus arctos*) და მგელი (*Canis lupus*), იშვიათად — ფოცხვერიც (*Lynx lynx*), ტყის კვერნა (*Martes meles*), ციყვი (*Sciurus vulgaris*), ძილგუდა (*Glis glis*), კურდღელი (*Lepus europaeus*), მელა (*Vulpes vulpes*), გარეული ღორი (*Sus scrofa*). შველი ამ ტყეების მუდმივი ბინადარია.

ეროვნული პარკის ტერიტორიაზე რამდენიმე სახის

ამფიბია და ხელიკი ცხოვრობს. გველებიდან ალგეთის მკვიდრები არიან: სპილენძა, ჩვეულებრივი ანკარა, წყლის ანკარა, ველის გველგესლა და ცხვირრქოსანი გველგესლა.

ალგეთის ხეობაში 80-ზე მეტი სახეობის ფრინველს შეხვდებით, რომელთა შორისაა: ქორი, მიმინო, კაკაჩა, მდელოს ძელქორი, ჭოტი, ყაპყაპი, ოფოფი, შავი კოდალა, მერცხალი, შაშვი, ჩხიკვი, წინკანა, ჭინჭრაქა, ჩიტბატონა და სხვა. ხეობაში ძალზე იშვიათად შესაძლებელია ბექობის არწივის ნახვაც.

აქ ბინადრობენ საქართველოს „წითელი ნუსხის“ შემდეგი ცხოველები: მურა დათვი (*Ursus arctos*), კავკასიური როჭო (*Tetrao mlokosiewiczzi*), ბექობის არწივი (*Aquila heliaca*) და სხვა.

ბიჭვინთა-მიუსერის დაცული ტერიტორია

ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალი 1966 წელს შეიქმნა და მიზნად, ბიჭვინთის რელიქტური და კოლხეთის ფართო-ფოთლოვანი ტყეების დაცვას ისახავდა. ნაკრძალი შავი ზღვის სანაპიროზე, აფხაზეთში მდებარეობს.

თავად, ნაკრძალის ცალკეული ნაწილები, როგორც რელიეფით, ასევე გეოლოგიური აღნაგობით და ნიადაგით ერთმანეთისგან განსხვავებულია, რაც, თავის მხრივ, ნაკრძალის მცენარეულ მრავალფეროვნებას განსაზღვრავს. ნაკრძალის დასახელებიდანაც ჩანს, რომ იგი ორი ნაწილისაგან შედგება. ბიჭვინთის მონაკვეთი ქალაქ გაგრის მახლობლად, შავი ზღვის სანაპიროზე, ბიჭვინთის კონცხზე მდებარეობს და მისი ფართობი 347 ჰექტარია. მიუსერის მონაკვეთი ასევე ზღვის ნაპირზე, ბიჭვინთიდან 15 კილომეტრის დაშორებით, სამხრეთით მდებარეობს.

ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალის ტყეები ძირითადად სუბტროპიკული ზონის შერეული ტყეებით არის

ნარმოდგენილი. აქაურობისთვის დამახასიათებელი, 92 სახეობის ხე-მცენარე და ბუჩქებიდან, 28 სახეობა წითელ წიგნშია შეტანილი. ნაკრძალის ტყეები ორ განსხვავებულ ეკოსისტემად იყოფა. ესენია: ბიჭვინთის ფიჭვნარი და ლიძავისა და მიუსერას ფართოფოთლოვანი ტყე, რომელშიც მუხა და ცაცხვი ჭარბობს. ნაკრძალში გავრცელებულია ენდემური დენდროფლორის ისეთი უნიკალური მერქნიანი სახეობები, როგორიცაა: ენდემური ბიჭვინთის ფიჭვი (*Pinus pithyusa*), კოლხური ბზა (*Buxus colchica*), ლაფანი (*Pterocarya pterocarpa*), კოლხური სურო (*Hedera colchica*), კავკასიური ცაცხვი (*Tilia caucasica*), ქართული (*Quercus iberica*) და ჰართვისის მუხები (*Quercus hartwissiana*). ნაკრძალის მიუსერის მონაკვეთში 1,040 ჰექტარი საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობას - წაბლის (*Castanea sativa*) ტყესაც უკავია. უფრო მცირე ფართობი უჭირავთ რცხილის, ბზის, მურყნისა და წიფლის კორომებს.



ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალის ფაუნა საკმაოდ მრავალფეროვანია. ძუძუმწოვრებიდან აქ გვხვდება: შველი (*Capreolus capreolus*), ირემი (*Cervus elaphus*), გარეული ღორი (*Sus scrofa*), რადეს ბიგა (*Sorex raddei*), თხუნელა (*Talpa orientalis*), ზღარბი (*Erinaceus europaeus*), კურდღელი (*Lepus europaeus*), ტყის თაგვი (*Apodemus silvaticus*); მტაცებლებიდან — თრიტინა, მურა დათვი, ტყის კვერნა, მაჩვი, მგელი, მელა, ტურა, ფოცხვერი.

საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობებია: ირემი (*Cervus elaphus*) და მურა დათვი (*Ursus arctos*).

ფრინველებიდან აღსანიშნავია: კავკასიური ჩხიკვი, კავკასიური სტვენია, შაშვი, ჩიტბატონა, ტოროლა, გვრიტი, გარეული მტრედი, მოლალური, გადაფრენის დროს კი — რუხი ბატი (*Anser anser*), გარეული იხვი (*Anas platyrhynchos*), ტყის ქათამი (*Scolopax rusticola*).

რეპტილიებიდან აღსანიშნავია — კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*).

ბიჭვინთის ქართული სახელწოდება, ისევე როგორც ბერძნული — პიტიუნტი, ფიჭვიდან მომდინარეობს. „დიდი პიტიუნტი“, იგივე ბიჭვინთა, პირველად ბერძენი ისტორიკოსის, სტრაბონის, „გეოგრაფიაში“ მოხსენიებული, როგორც ელინისტური ხანის მნიშვნელოვანი ქალაქი. გვიან ანტიკურ ხანაში პიტიუნტი დიდი კულტურული და სავაჭრო ცენტრი უნდა ყოფილიყო, ამაზე იქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალაც მოწმობს. ბიჭვინთის მახლობლად. სოფელ ლიძავაში აღმოჩენილია ანტიკური ხანის 150-მდე რომაული მონეტა, მეოთხე საუკუნის 310 სპილენძის მონეტა და ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბრინჯაოს მდიდარი მასალა.

ნაკრძალის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს მეთავე საუკუნის ბიჭვინთის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი, რომლის კედლებზეც მე-16 საუკუნის კედლის მხატვრობის ფრაგმენტებია შემორჩენილი. ბიჭვინთის ნაქალაქარის

ტერიტორიაზე მდებარეობს მეხუთე საუკუნის სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევები, რომლის იატაკი შემკულია მარმარილოთი და მოზაიკით, რომელიც, იმავე პერიოდის, სირიისა და პალესტინის მოზაიკას უახლოვდება.

ფსხუ-გუმისთის დაცული ტერიტორია

ფსხუ-გუმისთის ნაკრძალი აფხაზეთში მდებარეობს. ფსხუ-გუმისთის ნაკრძალის საერთო ფართობი 40 819 ჰექტარია და ის სამი დამოუკიდებელი უბნისგან – გუმისთის (13400 ჰა), ფსხუსა (27334 ჰა) და სკრუჩის (85 ჰა) ნაკრძალებისგან შედგება. ნაკრძალი აფხაზეთში არსებული ხელუხლებელი წინვოვანი და ფოთლოვანი ტყეების ბიომრავალფეროვნებისა და ჭარბტენიანი ტყის მონაკვეთების დაცვის მიზნით შეიქმნა. გუმისთისა და ფსხუს ნაკრძალები ძირითადად კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობებზეა განლაგებული, ხოლო მცირე ზომის სკრუჩის ნაკრძალი, შავი ზღვის ვაკის ზონაში იმყოფება და იქ შემორჩენილ მესამეული პერიოდის ტყეებს მოიცავს. მთლიანად ფსხუ-გუმისთის ნაკრძალის სიმაღლე ზღვის დონიდან 300-დან 2840 მეტრამდე მერყეობს.

ფსხუ-გუმისთის ნაკრძალის ფაუნა საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. მდინარეებში 4 სახეობის თევზი ცხოვრობს. ამფიბიებიდან გვხვდება ორი სახეობის ტრიტონი, მურა და მწვანე გომბეშოები, ვასაკა, ტბის და მცირეაზიული ბაყაყები. ნაკრძალში ბინადრობს 5 სახეობის ხვლიკი და ორი სახეობის – ჩვეულებრივი და წყლის ანკარები. ესკულაპი – მცურავი ტყის ქვემო სარტყლის მკვიდრია. კავკასიური გველგესლა ნაკრძალში, თითქმის, ყველგან გვხვდება და მისი გავრცელების არეალი ალპურ სარტყლამდე აღწევს. საინტერესოა, რომ ფსხუ-გუმისთის ნაკრძალში 13 სახეობის ღამურა ცხოვრობს.

მდიდარია ნაკრძალის ორნიტოფაუნა. აქ ბუდობენ ისეთი იშვიათი მტაცებელი ფრინველები, როგორებიცაა: მთის არწივი და ბატკანძერი. სხვა მტაცებლებიდან ნაკრძალის მკვიდრები არიან: მარჯანი, ძერა, ვაკაჩა, ქორი და მიმინო. ფრინველთა სეზონური მიგრაციის დროს ნაკრძალის ტერიტორიაზე ისეთი იშვიათი მტაცებლების ნახვა შეიძლება, როგორებიცაა: შაკი და გველიჭამია არწივი. სუბალპური და ალპური ზონების საზღვარზე, არყნარებში და დეკის ბუჩქნარებში, ბუდობს კავკასიური როჭო – იშვიათი და საინტერესო ფრინველი. ნაკრძალში, ასევე, ბუდობს მწყერი, ტყის ბუ, წყრომი, რამდენიმე სახეობის კოდალა, გუგული, ოფოფი, მერცხალი, ბოლოქანქარა. ჭინჭრაქა, შაშვი, ჩხართვი და სხვა მრავალი ფრინველი. მსხვილი მტაცებლებიდან ტყეებში დათვი, ფოცხვერი, მაჩვი და ტყის კატა ბინადრობენ. არსებობს ინფორმაცია 1980 წელს ბზიფის ქედზე ალპურ სარტყელში წინააზიური ლეოპარდის (ჯიქის) ნახვის შესახებ. ჩრდილო კავკასიიდან ფსხუ-გუმისთის ნაკრძალში სეზონურად შემოდის ირმები. აქაურ ტყეებში ბევრია შველიც. მთებში კი ბინადრობენ არჩვები და დასავლეთ-კავკასიური ჯიხვები, რომლებიც ზამთრობით სუბალპურ სარტყლამდე ჩამოდიან.

ნაკრძალის სიახლოვეს მდებარე მთიანი სოფლები ეთნოლოგიურად ძალიან საინტერესოა. ადგილობრივმა მთიელებმა შემოინახეს ხალხური ლექსები და ორხმიანი სიმღერები, რომლებიც ხალხური საკრავების – აჭარპანისა და აფხიაცას თანხლებით სრულდება. საინტერესოა, რომ აჭარპანი მხოლოდ გუმისთის ხეობის სოფლებში გვხვდება. ეს მწყემსების საკრავი იყო და მას აფხაზი მთიელები მაგიურ ძალასაც მიანერდნენ.

მრავალფეროვანი ფლორისა და ფაუნის მქონე ფსხუ-გუმისთის ნაკრძალი, კარგი ტურისტული პოტენციალის მქონეა.

იორის დაცული ტერიტორია

იორის აღკვეთილი 1996 წელს დაარსდა იორის სატყეო მეურნეობის ბაზაზე, სასარგებლო სანადირო ფაუნის გამრავლების და განახლების მიზნით. აღკვეთილის ფართობი 1336 ჰექტარია. აღკვეთილი აღმოსავლეთ საქართველოში, გარე კახეთში, მდებარეობს, ქალაქ საგარეჯოსთან ახლოს. მისი მიმდებარე სოფლის სამეურნეო სავარგულები, რომლებიც მდინარე იორის წყლით ირწყვება, გამოირჩევა ვენახების, ზვრების და ყურძნის ჯიშების სიმრავლით. ზომიერად თბილი, საკმაოდ ცხელზაფხულიანი კონტინენტური, სტეპის ჰავაა დამახასიათებელი. საშუალო წლიური ტემპერატურა +11,9 გრადუსია.

იორის აღკვეთილის ფლორა ძირითადად წარმოდგენილია ქალის ტყით, რომელიც ძალზედ არის გამეჩხერებული. ამ ტყეს ძირითადად ხვალო (*Populus hybrida*) და ოფი (*Populus nigra*) ქმნიან. უფრო დაბალი სიხშირით გვხვდება ფშატი



(*Elaeagnus angustifolia*), წნორი (*Salix alba*), ცრუაკაცია (*Robinia pseudoacacia*) და პატარა თელადუმა (*Ulmus elliptica*). იორის აღკვეთილში ასევე გავრცელებულია ქალაფშატა, იალღუნი და მაყვალი. იმ ადგილებში, სადაც იორი მცირე ჭაობებს ქნის, გვხვდება ჭაობის მცენარეთა და ჯგუფებები და ჭაობისთვის დამახასიათებელი ბუჩქნარები. აღკვეთილის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ქალაში, საკმაო რაოდენობით ბუდობენ ფრინველები: ქედანი, გვრიტი, შაშვი, მრავალი სახეობის პატარა ფრინველი. ფერდობებზე ბევრია კაკაბი (*Alectoris chukar*), რომელთა კაკანი აღკვეთილში ყოფნისას გამუდმებით ისმის. მცირე რაოდენობით გავრცელებულია ხობობიც (*Phasianus colchicus*). დურაჯთან (*Francolinus francolinus*) შეხვედრა კი ძალზე დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

ქვეწარმავლებიდან იორის აღკვეთილში ქართული ხელიკი (*Lacerta rudis*), ხმელთაშუა ზღვის კუ (*Testudo graeca*) და გიურზა (*Vipera lebetina*) გვხვდება. მსხვილი ძუძუმწოვრებიდან აღკვეთილის ბინადარნი მელა (*Vulpes vulpes*), ტურა (*Canis aureus*), კურდღელი (*Lepus europaeus*), ლელიანის კატა (*Felis chaus*), მგელი (*Canis lupus*) და გარეული ღორი (*Sus scrofa*) არიან.

საგარეჯოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალი არქეოლოგიური აღმოჩენაა გაკეთებული, მათ შორის გათხრილია ბრინჯაოს ხანის სამარხები, ნაპოვნია წინა ქრისტიანული და შუა საუკუნეების ნაგებობათა ნაშთები, მდიდარი კერამიკული მასალა. აღკვეთილის სიახლოვეს შუა საუკუნეების ორი მნიშვნელოვანი ძეგლი მდებარეობს: მეთორმეტე საუკუნის ნინონმინდის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც დღესაც მოქმედია და გიორგიწმინდის იმავე პერიოდის ეკლესია.

ადგილობრივი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მისდევს მეღვინეობას. განვითარებულია, აგრეთვე, მეხილეობა, მებოსტნეობა, მესაქონლეობა და მეფუტკრეობა. საგარეჯოს რაიონი, ისევე, როგორც მთლიანად კახეთი,

გასაოცარი მრავალხმიანი სიმღერებითაა განთქმული.

იორის აღკვეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე სუსტადაა განვითარებული კულტურული და ღვინის ტურიზმი. მომავალში – ეკოლოგიურ, ეთნოლოგიურ და ფრინველებზე დაკვირვების ტურებს, ამ ტერიტორიაზე საკმაოდ კარგი პერსპექტივა აქვს.

ყაზბეგის ეროვნული პარკი

ყაზბეგის ეროვნული პარკი კავკასიონის ქედის ჩრდილო კალთებზე – ისტორიულ ხევში მდებარეობს. ყაზბეგის დაცული ტერიტორია წყვეტილი ტერიტორიებისგან შედგება და



მისი საერთო ფართობი 8707 ჰექტარია. ყაზბეგის ეროვნული პარკი მთლიანად მაღალმთიანია.

ყაზბეგის ეროვნული პარკი მთავარი კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებზე, მდინარე თერგის აუზშია, განლაგებული ყაზბეგის რაიონში (ხევში); მისი ტერიტორიის ქვედა ნიშნული ზ.დ-დან 1400 მ სიმაღლეზეა, ხოლო ზედა, 3300-4100 მ ფარგლებშია მოქცეული. ყაზბეგის ეროვნული პარკის შექმნა ემსახურება მაღალი მთის ეკოსისტემების დაცვას.

მისი რელიეფი რთულია, მთაგორიანი და ძლიერ დანაწევრებული. ყაზბეგის ეროვნული პარკი, ისევე, როგორც მთელი ხევი, აგებულია ქვედალიასური ასაკის ბაზალტური ნამონაქმნებით – კვარციტებით, ნახშირბადოვანი თიხაფიქლებით და ქვედატოარსული ასაკის არგილიტოგენური ნალექებით, რომლებშიც მრავლადაა დიაბაზების შრეძარღვები. მხარის გეოლოგიაში, აგრეთვე, ფართოდაა წარმოდგენილი, ეგრეთ წოდებული, ბალიშა ლავები. დარიალის ხეობაში და უფრო სამხრეთითაც, ყველგან, სადაც მდინარე თერგს ღრმა კანიონები გაუჭრია. ამ ხეობათა კედლები ადგილობრივი გეოლოგიის საუკეთესო თვალსაჩინოებას წარმოადგენს. კლდეებზე კარგად მოჩანს ბაზალტური განწევრებები და ლავური შრეები.

ყაზბეგის ეროვნული პარკის მცენარეული საფარი საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი ყაზბეგის ფლორისტული ოლქის დიდი კავკასიონის სწორედ იმ ნაწილშია მოქცეული, რომელიც ენდემური სახეობების სიმდიდრით გამოირჩევა. ამ ფლორისტულ ოლქში გავრცელებულია 1347 სახეობის მცენარე, მათგან, 26 % ენდემური მცენარეებია. აქ გავრცელებულია ალპური, სუბალპური, ქსეროფიტული და მრავალი სხვა ეკოლოგიური დაჯგუფების მცენარეულობა

ყაზბეგის ეროვნული პარკის ტყეები განლაგებულია მკვეთრი დაქანების ფერდობებზე. ნაკრძალში მერქნიანი მცენარეების 105 სახეობაა გავრცელებული, თუმცა, უმეტეს – წილად გვხვდება ლიტვინოვის არყი (*Betula litwinovi*),

სოსნოვსკის ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*), ღვიები (*Juniperus* - 3 სახეობა), მოცვი (*Hippophae rhamnoides*). აღსანიშნავია, რომ საქართველოში იშვიათობას წარმოადგენას ქაცვის - საკმაოდ მოზრდილი მასივი, რომელიც დაბა სტეფანწმინდის სიახლოვეს გვხვდება). დეკა (*Rhododendron caucasicum*), ხოლო აღმოსავლური ნიფელი და მაღალმთის მუხა შედარებით, ვრცელ ფართობებზეა გავრცელებული.

მრავალფეროვანი მცენარეულობის არსებობა მდიდარი ფაუნის მომასწავებელია. სწორედ ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალშია გავრცელებული საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები - როგორც არის აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი (*Carpa cylindricornis*), არჩვი (*Rupicapra rupicapra*), მგელი (*Canis lupus*), ტყის კვერნა (*Martes martes*) და სხვა. ნაკრძალი მტაცებელი ფრინველების საუკეთესო გარემოა, მაგალითად აქ ვხვდებით მთის არწივს (*Aquila chrysaetos*), ორბს (*Gyps fulvus*), ბატკანძერსა (*Gypaetus barbatus. aureus*) და სხვა. ყურადღებას იქცევს აგრეთვე კავკასიური როჭო (*Tetrao mlokosiewiczzi*) და კავკასიური შურთხი (*Tetraogallus caucasicus*).

დამთვალიერებლებისთვის, ასევე, საინტერესოა ისტორიული ღირებულების მეთოთხმეტე საუკუნის სამების ტაძარი, მეათე საუკუნის გარბანის ეკლესია, სიონის სამნავიანი ბაზილიკა, ახალციხის ბაზილიკა და სნოს მეჩვიდმეტე საუკუნის ციხე. დამთვალიერებელს იზიდავს ადგილობრივთა სარწმუნოებრივი ადათ-წესები, რომლებიც ქრისტიანულ და წარმართულ წეს-ჩვეულებათა ნაზავს წარმოადგენენ.

ადგილობრივები საკუთარ თავს მოხევეებს უწოდებენ. თუშების, და ნანილობრივ ხევსურების მსგავსად, თავისუფალი მთიელები - მოხევეები საუკუნეების მანძილზე კავკასიონის წყალგამყოფ ქედს იქით ცხოვრობდნენ და ჩრდილოეთიდან ამაგრებდნენ საქართველოს კარიბჭეს. მათ ეპყრათ საქართველოსკენ მომავალი მთავარი გზა, დარიალის („დარი ალან“ - „ოსების კარიბჭე“) ვიწრო და



ღრმა ხეობა, და მას საუკუნეების მანძილზე შეუპოვრად იცავდნენ.

საქართველოს სხვა მთიელთა მსგავსად, არც მოხევეებს დაუვინყიათ ძველი, არქაული ადათ-წესები და მათ დღესაც ერთგულად მისდევენ, მაგრამ დანარჩენი ქართული მთიანი კუთხეებისგან განსხვავებით, სამხედრო გზის წყალობით ხევში მეცხრამეტე საუკუნეშივე სწრაფად გაჩნდა კაპიტალი. მოხევეები დღესაც ძალიან სტუმართმოყვარე და ბიზნესზე სწორად ორიენტირებული ხალხია. ყველაზე დიდი გაჭირვების და განუკითხაობის დროსაც კი - ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, ხევში არ დაფიქსირებულა ტურისტების ან მოგზაურების ძარცვის ერთი შემთხვევაც კი. ხევს ყოველწლიურად ძალიან ბევრი უცხოელი და ქართველი ტურისტი სტუმრობს და ამის ერთ-ერთი მიზეზი ადგილობრივთა სტუმართმოყვარეობასთან და მაღალი მწვერვალების დაპყრობის სურვილთან ერთად, აქაური გასაოცარი ლანდშაფტები და უნიკალური ფაუნაა.

ყაზბეგს საკმაოდ მდიდარი ტურისტული პოტენციალი აქვს: თვალწარმტაცი ბუნება, ბიომრავალფეროვნება,

ისტორიულ-კულტურული ძეგლები, ადგილობრივი წეს-ჩვეულებანი. უახლოეს მომავალში იგეგმება ყაზბეგის ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, რაც ამ რეგიონში ტურიზმის განვითარებას კიდევ უფრო აქტიურად შეუწყობს ხელს.

ლიახვის დაცული ტერიტორია

ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი მდებარეობს ცხინვალის რაიონის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელში. ნაკრძალის მეტი წილი (6388 ჰექტარიდან - 5386 ჰა) ტყეებს უჭირავს. მისი მცირე ნაწილი კი, ალპურ საძოვრებს, კლდეებსა და ნაშალებს. ისტორიულად, ტერიტორია, სადაც ნაკრძალი მდებარეობს, ხან შიდა ქართლად, ხან დვალეთად და ხანაც სამაჩაბლოდ მოიხსენიება.

სამხრეთ ოსეთი ორი კლიმატური ზონის – სუბტროპიკულის და კონტინენტურის საზღვარზე მდებარეობს. ნაკრძალის ტერიტორიის ჰავას კონტინენტური უფრო ეთქმის, რადგან თავად ნაკრძალის სიმაღლე, არაერთგვაროვნია, წლიური ტემპერატურაც მალა მთაში ბევრად განსხვავებულია. მთის წინეთში, რომელიც ნაკრძალის ყველაზე დაბალ წერტილს წარმოადგენს, წელიწადის მანძილზე, დაახლოებით 179 უყინვო დღეა დაფიქსირებული, ხოლო მაღალმთაში - 112 დღე. ლიახვის ნაკრძალის გეოლოგიურ აგებულებაში იურული, ცარცული, მესამეული და მეოთხეული ნალექები მონაწილეობენ. გეოტექტონიკურად ტერიტორია მოიცავს კავკასიონის სამხრეთ ფერდის, მესტია-თიანეთის ფლიშური ზონის, გაგრა-ჯავის ზონის ნაწილს, ამზარა-მუხურის ქვეზონის აღმოსავლეთ დაბოლოებას და ამიერკავკასიის მთათაშუეთის ცენტრალური აზეგების ზონებს. რაიონის ფარგლებში და მის მიმდებარედ, ცნობილია ცვლესტინის და თაბაშირის გამოვლინებები; ფილიტებთან,

ულტრაბაზიტებთან, ბაზიტებთან და ლისტვენიტებთან დაკავშირებულია ნიკელის სულფიდის (მილერიტის) მინერალიზაცია, ხოლო ულტრაბაზიტების უბნები ხასიათდებიან ტალკის ბუდობების და სერპენტინიტების ლინზების არსებობით.

ლიახვის ნაკრძალში დაცულია აღმოსავლეთ კავკასიონის სამხრეთული კალთებისათვის დამახასიათებელი მთისა და მაღალმთის მცენარეულობა, ესენია: ტყის სარტყელში — მუხნარები, ნიფლნარები და რცხილნარები. მეზობელი დიდი ლიახვის აუზთან შედარებით, პატარა ლიახვის ხეობაში ნაძვნარები უფრო მცირე ტერიტორიაზე გვხვდება. სუბალპური სარტყლის ტყეებში ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii*) დომინირებს, უფრო მაღლა კი — მაღალმთის ბოკვიანები და სუბალპური ბუჩქნარები, მეტწილად, დეკიანები გვხვდება. ნაკრძალში გავრცელებული სუბალპური მაღალბალახეულობის ძირითადი სახეობებია: დიდფოთოლა ხარისშუბლა, ეშმაკის ქოში, აღმოსავლური ტილჭირი, ალოშა, ღიმი, მარიამა და სხვა.

ნაკრძალის მდინარეებში — პატარა ლიახვში და მის მრავალრიცხოვან შენაკადებში, უხვად მოიპოვება საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობა - კალმახი (*Salmo fario trutta*).

პატარა ლიახვის ხეობის ორნითოფაუნა ძალზე მდიდარია. ნაკრძალში ბუდობს იშვიათი მთის არწივი (*Aquila chrysaetos*). სხვა მტაცებელ ფრინველთაგან ხეობაში გვხვდება: კაკაჩა, ქორი, მიმინო, ალალი, კირკიტა, ღამის მტაცებლები: ტყის ბუ, ჭოტი და ზარნაშო. პატარა ლიახვის ტყეებში რამდენიმე სახეობის კოდალა ბუდობს, მდინარეების ნაპირებზე წყლის შაშვების და ბოლოქანქარების ხილვაა შესაძლებელი. ნაკრძალის ორნითოფაუნას წარმოადგენენ: მერცხალი, ჩიტბატონა, ჭინჭრაქა, შაშვი, ყორანი, თეთრგულა შაშვი, სხვა მრავალი, პატარა თუ, შედარებით, დიდი ზომის ფრინველი.

ძუძუმწოვრებიდან აქ გვხვდება: კურდღელი, მელა, მგელი, კლდის და ტყის კვერნები, სინდიოფალა. აქაური ბუნების ნამდვილი მბრძანებელია მურა დათვი (*Ursus arctos*), რომლის კვალიც ნაკრძალში ყველგან – ტყეებშიც და ალპურ იალაღებზეც შეიძლება ნახოთ. იგი საქართველოს “ნითელ ნუსხაშია” შეტანილი. ნაკრძალში ამ ცხოველის საკმაოდ დიდი და სტაბილური პოპულაცია ბინადრობს. ნაკრძალში გვხვდება გარეული ღორი (*Sus scrofa*) და შველი (*Capreolus capreolus*). ხოლო ალპურ იალაღებზე ასევე იშვიათი და გადაშენების პირას მისული არჩვები (*Rupicapra rupicapra*) ბინადრობენ.

ლიახვის ხეობასა და ნაკრძალთან ახლოს მდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილია ნეოლითის და ენეოლითის ხანის ძეგლები. ცხინვალის ოლქის ტერიტორიაზე, ჯავის რაიონში, გათხრილია რამდენიმე მღვიმე, რომელიც პირველყოფილი ადამიანის სადგომს წარმოადგენდა. ქსნის ხეობაში ნაპოვნია ეგრეთ წოდებული „ახალგორის განძი“ – წარჩინებული ქალის გაუძარცვავე სამარხი, სამკაულებით, სარიტუალო ჭურჭლითა და ცხენის აღკაზმულობით. „ახალგორის განძი“ ძველი ნელთალრიცხვის IV-V საუკუნით თარიღდება. რეგიონში შემორჩენილია ბრინჯაოს ხანის რამდენიმე ციკლოპური ციხე.



ლიახვის ხეობის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ქრისტიანული ძეგლებიდან მნიშვნელოვანია: V საუკუნის ნიქოზის ბაზილიკა, IX საუკუნის ქსნის არმაზი, ნირქოლის ეკლესია (IX საუკუნე), XII საუკუნის იკორთის ეკლესია, თირის მონასტერი (XIV საუკუნე), ძალინის სასახლის კომპლექსი (XVII საუკუნე) და XIV საუკუნის ქსნის ერისთავთა რეზიდენცია ლარგვისში, ციხე-სიმაგრით და გუმბათოვანი ეკლესიით.

რეგიონს შესანიშნავი პერსპექტივები აქვს – ეთნოლოგიური, ფრინველებზე დაკვირვებისა და ბოტანიკური ტურიზმის განვითარებისათვის.

მტირალას ეროვნული პარკი

მტირალას ეროვნული პარკი განლაგებულია ისტორიულ აჭარაში. მტირალას ტერიტორია აგებულია შუა ეოცენის ასაკის ეგრეთ წოდებული „ნალვარევის წყლების“ ვულკანურ-დანალექი ქანებით, რომლებშიც წარმოდგენილია სუბტუტე და კირტუტე ბაზალტების, ტრაქიანდებიდების, ანდეზიტების, დელენიტების, ტუფიტების, მერგილების და არგილიტების მორიგეობა. მტირალას მთა, შავ ზღვას და აჭარის მთათა სისტემას შორის, ჩაქვისწყლისა და ყორალისწყლის წყალგასაყარზე მდებარეობს. აქაური მთები ზღვის ტენიან ჰაერს აკავებენ და აჭარის უაღრესად ტენიან ჰავას განსაზღვრავენ. ნალექებით უხვ აჭარაში მტირალას მთა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 1381 მეტრია, ყველაზე ნალექიანი ადგილია. მთელი წლის მანძილზე აქ 4520 მმ ნალექი მოდის, რაც მტირალას, არათუ აჭარის, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველაზე სველ ადგილად აქცევს. ტოპონიმი „მტირალაც“ ამ მთას სწორედ უხვნალექიანობის გამო შეერქვა.

მდიდარი და მრავალფეროვანია მტირალას ფლორა. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებულია

როგორც ტყის მცენარეულობა, რომელიც ნაბლნარებით, ნიფლნარებით და კოლხური ტიპის შერეული ტყით არის წარმოდგენილი, ასევე კოლხეთისთვის დამახასიათებელი მარადმწვანე შქერის (*Rhododendron luteum*) ბუჩქებით. კოლხური ტიპის ტყეში გვხვდება: ნიფელი, ცაცხვი, ნაბლი, ჩვეულებრივი მურყანი, რცხილა. ქვეტყე დაფარულია შქერიანით, რომელსაც წყავი (*Laurocerasus officinalis*), კოლხური ჭყორი (*Ilex colchica*), კოლხური ბზა (*Buxus colchica*) და რამდენიმე ტიპის ლიანები ქმნიან.

მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებულია აჭარა-ლაზეთის იშვიათი, ენდემური სახეობები და საქართველოს „ნითელი ნუსხის“ სახეობები, როგორებიცაა: გაულთერიასმაგვარი ეპიგეა (*Epigaea gaultheriodes*), ფური-



სულა (*Primula megasaefolia*), მედვედევის არყი (*Betula medwedewii*) და სხვა.

მტირალას ფაუნაც მდიდარია. ამფიბიებიდან პარკში – კავკასიური სალამანდრა, მცირეაზიური ტრიტონი, ჩვეულებრივი გომბეშო, ვასაკა, მცირეაზიური და ტბის ბაყაყები გვხვდება.

აქ სამი სახის ხვლიკი და გველის რამდენიმე სახეობა: ჩვეულებრივი და წყლის ანკარები, სპილენძა გველი და კავკასიური გველგესლა ბინადრობს.

ეროვნული პარკის ორნითოფაუნა საკმაოდ მდიდარია მტაცებელი ფრინველებით. აქ აღრიცხულია: ჩია არწივი (*Hieraaetus pennantus*), კაკაჩა (*Buteo buteo*), ქორი (*Accipiter gentilis*), მიმინო (*Accipiter nisus*), მარჯანი (*Falco subbuteo*), ჩვეულებრივი კირკიტა (*Falco tinnunculus*), აგრეთვე ღამის მტაცებლები: ზარნაშო (*Bubo bubo*), წყრომი (*Otus scops*). სხვა ფრინველებიდან ბუდობს ოფოფი, კოდალა, ყორანი, შაში, მოლაღური.

ძუძუმწოვრებიდან ეროვნული პარკის მკვიდრები არიან – მსხვილი მტაცებლები: მურა დათვი, ფოცხვერი და მგელი. აგრეთვე, თხუნელა, სინდიოფალა, კავკასიური (სპარსული) ციყვი, კურდღელი, მელა, მაჩვი, ტყის კატა. ჩლიქოსნებიდან ნაკრძალის ტყეებში გვხვდება შველი (*Capreolus capreolus*), უფრო იშვიათად – გარეული ღორი (*Sus scrofa*).

მტირალას (ან ცისკარას) მთის სიახლოვეს მრავლად გვხვდება ადრეული და გვიანი შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეების და ხიდების ნაშთები. ამ პერიოდის ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია, მეცამეტე საუკუნის სხალთის დარბაზული ეკლესია, ხიხანის, გონიოსა და პეტრას ციხეები. მტირალას ეროვნული პარკის მახლობელ ტერიტორიაზე, დიდ აჭარაში, დანდალოსა და მარადიდში კარგადაა შემონახული გამაჰმადიანებულ ქართველთა საკულტო ნაგებობები – მეჩეთები. მტირალას პარკთან ახლოს მდებარე სოფლებში, შემონახულია უძველესი ხის სახლების უნიკალური ნიმუშები. არქეოლოგიური

გათხრების შედეგად, ამ ტერიტორიაზე კიდევ უფრო ძველი – ქრისტიანობამდელი, ძველებიცაა აღმოჩენილი. მიკვლეულია ძველი ნელთალრიცხვის III-II ათასწლეულების კოლხური ნამოსახლარები და რკინის საბადოების ნანგრევები. ხოლო გონიოს ციხის ტერიტორიაზე, რომელიც ბერძნულ-რომაულ წყაროებში აფსარუნტის სახელით არის ცნობილი, გათხრილია ჩვენი ნელთალრიცხვის II საუკუნის იპოდრომი, მრავალი საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსო.

კვარიათის და ჩაქვის კურორტებზე კარგად არის განვითარებული საზაფხულო – გამაჯანსაღებელი ტურიზმი. თავად ეროვნულ პარკს ფრინველებზე დაკვირვების და ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებისთვის საკმაოდ კარგი პოტენციალი აქვს. მის სიახლოვეს მდებარე მთიან სოფლებში შესაძლებელია ეთნოგრაფიული ტურიზმის განვითარებაც.

მტირალას ეროვნულ პარკში, პირველი ტურისტული მარშრუტი, სათავეს ვიზიტორთა ცენტრიდან იღებს. ბილიკი მიუყვება მდ. ჩაქვისთავის მარცხენა სანაპიროს, მისი სიმაღლე ზღ. დონიდან 296 მ-დან — 476 მ-მდე მერყეობს. ბილიკის გავლისას გზად შეხვდებით კოლხური ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებს: ნითელ ნიგნში შეტანილ ქართულ ნიგოზს, კოლხურ თხილს, უნგერნისა და პონტოს შქერს; მურა დათვს, კვერნას, მელას; მთის არწივს, ირაოს, მიმინოს, შამვს, მტრედს.

ვიზიტორთა ცენტრიდან დაახლოებით, 2 კმ-ს დაშორებით, მდებარეობს საპიკნიკე ადგილი — ჭადრების ჩრდილში მოქცეული ვაკე ადგილი, რომლის სიახლოვეს მთის წყარო და ნაკადული მოედინება.

საპიკნიკე ადგილამდე, 400 მეტრის დაშორებით, ბილიკი უხვევს სამხრეთ-დასავლეთით და მიდის კოლხურ ბზასა და სუროში ჩაფლულ ჩანჩქერამდე, რომლის სიმაღლე 12 მეტრს აღემატება.

ჩანჩქერიდან, დაახლოებით, ერთი კილომეტრის დაშორებით, კლდეებს შორის მოედინება მდინარე, რომელიც

გამდინარე, გამჭვირვალე და კალმახებით მდიდარ ტბად იქცევა. აქვე ახლოს, არის საპიკნიკე, საცეცხლე და საკარვე ადგილები.

ტბიდან ვიზიტორთა ცენტრისაკენ მიმავალ ბილიკზე, ტურისტები აგრეთვე მოინახულებენ ძველი ნასახლარის ნანგრევებს.

რინის დაცული ტერიტორია

1957 წელს შექმნილი რინის ნაკრძალი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს, ქალაქ გაგრიდან 60 კილომეტრის დაშორებით. ნაკრძალი მოთავსებულია კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ განშტოებაზე, ზღვის დონიდან 928 მეტრის სიმაღლეზე მდებარე რინის ტბის გარშემო. ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ნაკრძალს, რომლის საერთო ფართობი 13893 ჰექტარს შეადგენს, ალპური საძოვრები ესაზღვრება.

რინის ნაკრძალის ტერიტორია საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი რელიეფით ხასიათდება. მისი კლიმატური პირობები, ნიადაგი, მცენარეული საფარი და საერთო ლანდშაფტები მნიშვნელოვნად განსხვავდება ზღვისპირა მხარის ლანდშაფტებისგან. ნაკრძალის ყველაზე მაღალი ნერტილი ზღვის დონიდან 2908 მეტრზე მდებარეობს. ზღაპრულია რინის ტბის ბუნება. წყლის სარკის ზედაპირი 1,5 კვადრატულ კილომეტრს აღწევს. ტბა ძალიან ღრმაა. მისი მაქსიმალური სიღრმე 101 მეტრია. ტყეებით და მთებით გარშემორტყმულ ტბაში, შენაკადი მთის მდინარეებით ყინულივით ცივი წყალი ჩაედინება. თუმცა, ცხელი ზაფხულის პერიოდში ტბის ზედაპირზე წყალი 18-20 გრადუსამდე მაინც თბება.

ნაკრძალის ტერიტორიაზე, ავადხარის მიდამოებში, მრავლადაა მინერალური წყაროები, რომელთა ბაზაზე ფუნქციონირებს ბალნეო-კლიმატური კურორტი ავადხარა,

რომელიც ზღვის დონიდან 1600 მეტრზეა აშენებული.

აფხაზეთი ფლორისტულად ძალიან მდიდარია. საქართველოს ამ კუთხეში 2000-ზე მეტი მცენარეა დაფიქსირებული, რომელთა 70% რინის ნაკრძალში მოიპოვება. ნაკრძალის ტერიტორიის 91%-ზე მეტი ტყის ნაირგვარი ბიოლოგიური ეკოსისტემებით არის წარმოდგენილი. კავკასიური სოჭის (*Abies nordmanniana*) ტყეებს, ნაკრძალის საერთო ფართობის 70% უკავია. წიფლის კორომებზე 22% მოდის. დანარჩენი ტყეები კი მუხნარების, ფიჭვნარების, ნაძვნარების, რცხილნარების, ნეკერჩხლიანების, არყნარების და ცაცხვნარებისგან შედგება. ნაკრძალში დაახლოებით 590 ჰექტარი ფართობის საქართველოს „წითელი ნუსხის“



სახეობის – კოლხური ბზის (*Buxus colchica*) შემცველი შერეული კორომებიც გვხვდება.

რინის ნაკრძალის ფაუნა დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რაიონისთვის საკმაოდ დამახასიათებელია. აქაური მდინარეები და თავად რინის ტბაც, მდიდარია კალმახით (*Salmo fario trutta*), რომელიც, ასევე, საქართველოს „წითელი ნუსხაშია“ შეტანილი. პატარა რინის ტბაში თევზი საერთოდ არ მოიპოვება.

ამფიბიებიდან ნაკრძალის მკვიდრები არიან: ჩვეულებრივი და მცირეაზიური ტრიტონი, ჩვეულებრივი გომბემო, ვასაკა, ტბის და მცირეაზიული ბაყაყები.

რეპტილიებიდან აქ კავკასიური, ართვინული და კლდის ხვლიკები, წყლის ანკარა, სპილენძა გველი, ესკულაპის მცურავი (*Elaphe longissima*) და კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakowi*) გვხვდება. ეს ორი უკანასკნელი სახეობა საქართველოს „წითელ ნუსხაშია“ შეტანილი. ნაკრძალში მოზუდარ ფრინველთა 69 სახეობიდან, 37 ბელურასნაირთა ოჯახს განეკუთვნება. მდინარეების ნაპირებთან ბოლოქანქარების და წყლის შაშვების ნახვაა შესაძლებელი. რინის ტბის მიდამოებში 8 სახეობის მტაცებელი ფრინველი ბუდობს, რომელთაგანაც ყველაზე ხშირად მიმინოს (*Accipiter nisus*), ქორს (*Accipiter gentilis*), ჩვეულებრივ კაკაჩას (*Buteo buteo*) და კირკიტას (*Falco tinnunculus*) შეხვდებით. ტყეებში ღამის მტაცებლები – ზარნაშოები, ტყის ბუები და ოლოლები ბუდობენ. ნაკრძალში რამდენიმე სახის კოდალას ნახვაცაა შესაძლებელი. ამასთანავე, რინის ნაკრძალი ისეთი იშვიათი და საინტერესო ფრინველების საბუდარია, როგორცაა: მთის არწივი (*Aquila chrysaetos*), შვეარდენი (*Falco peregrinus*) და კავკასიური როჭო.

მდიდარია ნაკრძალი ძუძუმწოვრებითაც – ზღარბი, თხუნელა და ციყვი აქ ბევრია. ტყეებში ტყის კვერნა და მაჩვი ბინადრობენ. აქაური ყველაზე პატარა მტაცებელი სინდიოფალაა (*Mustela nivalis*), ყველაზე დიდი – დათვი

(*Ursus arctos*), რომელიც საქართველოს „ნითელ ნუსხაშია“ შესული.

ჩრდილოეთიდან ზაფხულობით რინის ნაკრძალში შემოდის კეთილშობილი ირემიც (*Cervus elaphus*), რომლის პოპულაციას გადაშენება ემუქრება. ნაკრძალში ბევრია შველი (*Capreolus capreolus*). აქ ბინადრობენ მელა და მგელიც. არსებობს ფოცხვერის, არცთუ ისე დიდი, მაგრამ საკმაოდ სტაბილური პოპულაცია.

მაღალი მთების მკვიდრები, ასევე საქართველოს „ნითელი ნუსხის“ სახეობები – დასავლეთ-კავკასიური ჯიხვი (*Capra caucasica*) და არჩვი (*Rupicapra rupicapra*), ნაკრძალს მხოლოდ ზამთრობით სტუმრობენ, როცა შიმშილი აიძულებთ დათოვლილი მწვერვალებიდან ტყის საზღვრისკენ დაინიონ.

რინის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილია პალეოლითის ხანის ადამიანის სადგომი. ნაკრძალის სიახლოვესაა ანტიკური ხანის და შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეების – ანაკოფის, აბა-ანთის, ლიხნშის და ბაგრატის ციხის ნანგრევები, ბედიის სასახლისა და აფხაზეთის დიდი კედლის ნაშთები. ნაკრძალის სიახლოვეს მდებარე სხვა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური და კულტურული ძეგლებიდან აღსანიშნავია: მერვე საუკუნის ბედიის სამონასტრო კომპლექსი, მეათე საუკუნის ბიჭვინთის ტაძარი, მერვე საუკუნის დრანდის გუმბათოვანი ეკლესია, მეშვიდე საუკუნის განთიადის ბაზილიკა, მეშვიდე საუკუნის ამბარას ბაზილიკა და მოქვის მეათე საუკუნის ეკლესია.

რინის ტბის შემოგარენი იდეალურ ადგილს წარმოადგენს – სანჯალოსნო, კულტურული, ფოტო-ვიდეო, ეკოლოგიური და ფრინველებზე დაკვირვების ტურების მოსაწყობად.

თუშეთის დაცული ტერიტორია

საქართველოს ულამაზესი კუთხე თუშეთი – აღმოსავლეთ კავკასიონზე მდებარეობს. თუშეთს აღმოსავლეთით დაღესტანი, ხოლო ჩრდილოეთით ჩეჩნეთი ესაზღვრება. თუშეთის დასავლეთით – ხევსურეთი, სამხრეთით კი – კახეთი მდებარეობს. მაღალმთიანი, ქედებითა და მწვერვალებით გარშემორტყმული თუშეთი, დაღარულია უამრავი ხევით, რომელთაგან ჩამონადენი წყლები, მაკრატელას წყალგამყოფი ქედით ერთმანეთისგან გამოყოფილ, თუშეთის ორ მთავარ მდინარეში, პირიქითისა და თუშეთის (გომეწრის) ალაზანებში ჩაედინება. ორივე ალაზანი სოფელ შენაქოს მახლობლად ერთდება, შეერთებული მაღევე სცილდება თუშეთისა და საქართველოს საზღვარს და გადის დაღესტანში, სადაც ამ მდინარეს ანდის ყოისუს სახელით



მოიხსენიებენ. იგი კასპიის ზღვაში ჩაედინება.

თუშეთის დაცული ტერიტორია თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალს, თუშეთის ეროვნულ პარკსა და თუშეთის დაცულ ლანდშაფტს აერთიანებს. მისი საერთო ფართობი დაახლოებით 122 050 ჰა-ია.

თუშეთის მცენარეულობა ენდემიზმის საოცრად მაღალი დონით ხასიათდება. აქაური ფლორის 230 წარმომადგენელი კავკასიის ენდემია (კავკასიის ენდემთა საერთო რაოდენობის 20 პროცენტზე მეტი), ხოლო მცენარეთა 11 სახეობა საქართველოს ენდემია.

თუშეთის ნაკრძალსა და ეროვნულ პარკში გავრცელებულ საქართველოს ენდემთაგან აღსანიშნავია: თუშური ტილჭირი (*Aconitum tuscheticum*), კონახური (*Berberis iberica*), მაჩიტა (*Campanula*), დათვისთხილა, შროშანი (*Pancreatium*), თუშური ასკილი (*Rosa tuschetica*), თებულოს ბაია (*Ranunculus tebulosus*) და სხვა. აქ, ასევე, გვხვდება კავკასიის ზოგიერთი ენდემიც: შავი, ანუ რადეს არყი (*Betula raddeana*), ღვინა (*Fritillaria caucasica*), ყვითელი ღვინა (*Fritillaria lutea*), ფურისულა (*Primula juliae*), დეკა (*Rhododendron caucasicum*), ცისტვალა (*Scilla arborea*) და სხვა.

თუშეთში გავრცელებულია ძუძუმწოვართა – 60, ფრინველთა – 120-მდე, რეპტილიების – 3, ხოლო ამფიბიების – 6 სახეობა და თევზების თითო-თითო სახეობა.

კავკასიონის ეს ნაშალი ფერდობები და მიუვალი კლდეები, აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვის, არჩვისა და ნიამორის სამშობლოა. ჯიხვის მეზობელია კავკასიის მეორე ენდემიც – კავკასიური შურთხი, დეკიანებსა და არყნარებში ცხოვრობს კავკასიური როჭო – თუშეთის ბუნების კიდევ ერთი მშვენება.

მსხვილი ჩლიქოსნებიდან თუშეთის ტყეებში ხშირადაა შესაძლებელი შვლის, ძალზე იშვიათად კი – ირმის ნახვა. მეზობელი დაღესტანიდან თუშეთში რეგულარულად შემოდის გარეული ღორი.

თუშეთი მდიდარია მტაცებლებით – მელასა და მგელს

აქ ყველგან, მათ შორის ზღვის დონიდან ძალიან მაღლაც შეხვდებით. ასევე, ყველგან ნახავთ მურა დათვის კვალსაც, რომლის პოპულაცია თუშეთში საკმაოდ სტაბილურია. თუშეთში ფოცხვერიც საკმაო რაოდენობით ბინადრობს და არც საკვების უკმარისობას განიცდის. მცირე ზომის მღრღნელებიდან და კურდღლიდან დაწყებული, არჩვითა და ჯიხვის ციკნებით დამთავრებული – ყველა ეს ცხოველი ფოცხვერის სანადირო ობიექტს წარმოადგენს.

მეცნიერები იმედს არ კარგავენ, რომ თუშეთის მთებს ჯერ კიდევ შეიძლება აფარებდეს თავს ჯიქი – წინააზიური ლეოპარდი.

თუშეთი ორნითოლოგიური თვალსაზრისითაც საკმაოდ მდიდარი მხარეა. აქ მრავალი სხვადასხვა ზომისა და განსხვავებული ცხოვრების წესის მქონე ფრინველი



ბინადრობს. თუშეთის წინვოვან კორომებში ცხოვრობენ და ფიჭვის გირჩით იკვებებიან საქართველოსთვის საკმაოდ იშვიათი ნაძვის ნისკარტმარნუხები. იმავე ტყეებში რამდენიმე სახეობის კოდალას ნახვა შეიძლება. უფრო მაღლა – წითელთავა მთიულები, მთის მწყერჩიტები და წითელფრთიანი კლდეცოციები გვხვდება. თუშეთის მიუვალი კლდეები უზარმაზარი ფრინველების – ორბების, ბატკანძერებისა და მთის არწივების საბუდარია. აქ ბევრია კაკაბიც. სხვა მტაცებელ ფრინველთაგან, თუშეთში რამდენიმე სახეობის ბუ, მთის კირკიტა, კაკაჩა და ჩვენი პლანეტის ყველაზე სწრაფი ფრთოსანი – შევარდენი გვხვდება. კალმახით (*Salmo fario trutta*) მდიდარია თუშეთის მდინარეები. არსებული მონაცემების მიხედვით თუშეთში გვხვდება ქვენარმავლების სამი სახეობა: *Coronella austriaca*, *Vipera ursini* და *Lacerta sp.*, ასევე გავრცელებულია მინიმუმ ერთი სახეობის ამფიბია - მწვანე გომბეშო.

თუშეთის ყოველი სოფელი თავისთავადაა ისტორიული ძეგლი. აქ არის კულტურულ-სამეურნეო ღირებულების მატარებელი ძეგლები: ქვახიდის წყლისა და ლაროვანის წყლის, გომენრის ალაზნის სათავის და წოვათის წყლის ხეობებში არსებული მწყემსთა საზაფხულო ბინები და მათი მიმდებარე ტერიტორიები.

თუშეთში განლაგებულია ძველი სოფლები და ნასოფლარები, რომელთა დიდ ნაწილში კარგადაა შემონახული გვიანი შუა საუკუნეების ციხე-კოშკები, თავად თუშთა მომთაბარე და რომანტიული ცხოვრების წესით და საზაფხულო ხატობა-დღეობებით, რაც მუდამ მრავლად იზიდავდა მნახველს. თუშების სტუმართმოყვარეობა კი ყოველთვის იყო ტურისტის თუ დამთვალიერებლის უსაფრთხოების გარანტი. თუშეთი მრავალმხრივ საინტერესო კუთხეა. ეს მიუვალი მთიანი მხარე დაბალი და მუხლმაგარი თუშური ცხენის და მეცხვარეების ერთგული თანაშემწის – ქართული ნაგაზის სამშობლოა. მეცხვარეობამ თუშეთში სახალხო რენვის განვითარება გამოიწვია. თუში ქალები

მატყლისგან, მართლაც რომ საოცრად სადა და ლამაზ, ბუნებრივი საღებავებით შეფერილ ნაკეთობებს ქმნიან – წინდებითა და ჩითებით დანყებული, თუშური ფარდაგებით დამთავრებული.

თუშეთი ერთ-ერთი საინტერესო ტურისტული ადგილია. ტურისტებს იზიდავს მისი თვალწარმტაცი ბუნება, ადგილობრივი წეს-ჩვეულებები, ისტორიულ-კულტურული ძეგლები. ტურისტებს შეუძლიათ ისარგებლონ ტურისტული მომსახურების სხვადასხვა სახეობით. თუშეთში კეთილმოწყობილია საოჯახო სასტუმროები.

რას გთავაზობთ პარკი:

1. საფეხმავლო მარშრუტი “დიკლო”:

*მარშრუტის ხანგრძლივობა – 3 დღე;
მარშრუტის სიგრძე – 36 კმ;*

მარშრუტის მიმართულება: ომალო-აგეურთა-დოტკა-ლტო-დიკლო-ხაა-შავი ქვიშა-სანარე-სონეხი-შენაქო-ომალო.

2. საფეხმავლო მარშრუტი “ორეთი”:

*მარშრუტის ხანგრძლივობა – 2 დღე;
მარშრუტის სიგრძე – 23 კმ;*

მარშრუტის მიმართულება: ომალო-ხოშანე-ილონე-ორეთი-ჭიხალე-ცოკალთა-ომალო

3. საცხენოსნო მარშრუტი “დოჭუ”:

*მარშრუტის ხანგრძლივობა – 2 დღე;
მარშრუტის სიგრძე – 28 კმ;*

მარშრუტის მიმართულება: ომალო-ღელე-სახეო-დოჭუ-გოგრულთა-კეხი-ხახაბო-ომალო;

4. საცხენოსნო მარშრუტი “ნოვათა”:

მარშრუტის ხანგრძლივობა – 5 დღე;

მარშრუტის სიგრძე – 65კმ;

მარშრუტის მიმართულება: ომალო-დართლო-ფარსმა-ნაყაიჩოს უღელტეხილი-ვერხოვანი-წარო-ნოვათა-ალაზნი-სთავი-ვაკისძირი-ილიურთა-ვესტმო-გოგრულთა-დოჭუ-ომალო;

თუშეთის დაცულ ტერიტორიაზე ვიზიტისათვის საუკეთესო სეზონია ზაფხული.

ტურიზმისა და დასვენების სახეები ეკოტურიზმი

ეკოლოგიური ტურიზმი – ტურისტული სფეროს განსაკუთრებული სექტორია. მისი მიზანია ბუნებაში ყოფნა, მისი ობიექტების და მოვლენების შეცნობა, აქტიური დასვენება და გარემოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

ეკოლოგიური ტურიზმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენა – ბუნების ზეგავლენით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XXI საუკუნეში. ამ დროს მიზნად დასახულია არა მარტო ადამიანის აქტიური მოძრაობა, ან გადაადგილება ბუნებაში ფეხით, ცხენით, აქლემით სპილოთი ან სხვა რაიმე ეგზოტიკური ტრანსპორტით, არამედ მისი ეკოლოგიური განათლება, ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიზაცია და ბუნებისადმი სათუთი დამოკიდებულების განვითარება.

მსოფლიო ტურიზმის განვითარების ტენდენციების ანალიზი ცხადყოფს, რომ ტურისტული ბაზრის ყველა სეგმენტს შორის, ეკოლოგიური ტურიზმი ყველაზე პერსპექტიული და დინამიურად განვითარებადი ფორმაა. უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია ბუნებაში მოგზაურთა

რიცხვმა საერთო ტურისტული ნაკადის დაახლოებით ნახევარი შეადგინოს მთელ მსოფლიოში. საქართველოს თავისი ბუნებრივი და ანთროპოგენური მემკვიდრეობით, და ზემოთ აღწერილი დაცული ტერიტორების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ადგილის დამკვიდრების პერპექტივა გააჩნია ამ პროცესში.

საქართველოს ბუნებრივ პირობებში ეკოტურიზმის ფარგლებში, გარდა გაჯანსაღებისა, სამკურნალო ეფექტის მიღწევაც არის შესაძლებელი. ამის ნათელ მაგალითებს წარმოადგენს სპელეოტურიზმის და სპელეოთერაპიის, საცხენოსნო ტურიზმისა და რაიტ-თერაპიის, ღვინის ტურიზმისა და ენოთერაპიის, სპა-ტურიზმისა და ბალნეო თერაპიის შერწყმა და ორიგინალური, ელიტარული ტურისტული პაკეტების სახით შეთავაზება როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზარზე, სადაც როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ძალიან დიდი მოთხოვნაა ასეთ ეგზოტიკურ ტურისტულ პროდუქციაზე.



სპელეოტურიზმი და სპელეოთერაპია

დედამიწაზე არსებული მღვიმეებიდან, ყველაზე გავრცელებულია ჩვეულებრივი, ე.წ. “ცივი” კარსტული მღვიმეები. მათი წარმოქმნა განპირობებულია ე.წ. კარსტული მოვლენებით, ანუ ზოგიერთი ქანის გახსნით (გამოტუტვით). ასეთი მოვლენები პირველად სლოვენის მთის პლატოზე “Kras”-ში იქნა აღწერილი, საიდანაც გამომდინარეობს ასეთი მღვიმეების სახელწოდება.

მღვიმეებში ჩასვლის მიზნები მრავალგვარია: სამეცნიერო-კვლევითი, საექსკურსიო-შემეცნებითი, სპორტული, ანუ სპელეოტურიზმი და სამკურნალო, ანუ სპელეოთერაპია.

სპელეოთერაპიის ისტორია 2500 წელზე მეტს ითვლის. მღვიმეებს, განსაკუთრებით თბილს, მკურნალობის მიზნით ჯერ კიდევ, ძველ საბერძნეთში იყენებდნენ. ანტიკურ ხანაში ცნობილი იყო კუნძულ სიცილიაზე, კრონიოს მთის მღვიმეში არსებული კრუარას თერმები.

ასზე მეტი წლის წინათ სპელეოთერაპია რუსეთშიც დაინერგა.

II მსოფლიო ომის დროს გერმანიისა და უნგრეთის ადგილობრივი მოსახლეობა – ავადმყოფები და სამედიცინო პერსონალი, დაბომბვის დროს თავს აფარებდნენ ახლომდებარე კარსტულ მღვიმეებს „კლუტერტს“ (გერმანია) და „ტაპოლცას“ (უნგრეთი). ექიმების ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ აღნიშნულ მღვიმეებში ყოფნა თერაპიულ ზემოქმედებას ახდენდა რესპირატორული სისტემის პათოლოგიებზე.



გასული საუკუნის, 60-იანი წლების ბოლოს, დაიწყო ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის ზოგიერთი მღვიმის სამკურნალო მიზნით გამოყენება.

კარსტულ მღვიმეთა სიმრავლით, საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. აქ გამოვლენილია 1300-ზე მეტი მინისქვეშა ბუნებრივი ძეგლი, რომელთა საერთო სიგრძე 240 კმ-ს აღწევს. გარდა ამისა, საქართველო იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორისაა (მექსიკა, ინდონეზია, ინდოეთი, თურქეთი), რომელთა მთიან რეგიონებს სიღრმული ჩაღწევის (2000 მ-ზე მეტი) განსაკუთრებული პერსპექტივები აქვთ. საგულისხმოა, რომ მსოფლიოს უღრმესი (1000 მ-ზე მეტი) კარსტული უფსკრულების პირველი ათეულიდან, სამი საქართველოშია. ესენია კრუბერის სახელობის (2240 მ) და სარმას (1543 მ) უფსკრულები არაბიკაზე და პანტიუხინის სახელობის უფსკრული (1480 მ) ბზიფის ქედზე.

სპელეოთერაპიამ, როგორც მეცნიერებამ, საქართველოში დაიწყო განვითარება XX საუკუნის 70 წლებიდან და დიდ მასშტაბებს მიაღწია.

ქართველი მეცნიერების მიერ შემუშავებულ იქნა მღვიმეების ახალი კლასიფიკაცია, რომელსაც უწოდეს კურორტოლოგიური, რამდენადაც იგი დაფუძნებულია სამკურნალო მიზნით, ამა თუ იმ მღვიმეში არსებული სპელეოფაქტორების გამოყენებაზე.

კლასიფიკაციაში განხილულია მინისქვეშა ღრუების სამი ჯგუფი:

- I - კლიმატოთერაპიული პროფილის მღვიმეები;
- II - ბალნეოთერაპიული პროფილის მღვიმეები;
- III - კლიმატო-ბალნეოთერაპიული პროფილის მღვიმეები.

საქართველოში სამკურნალოდ გამოიყენებოდა ორი კარსტული მღვიმე – აფხაზეთში, კურორტ ახალი ათონის მახლობლად მდებარე ანაკოპიის, და წყალტუბოში არსებული - „თეთრი მღვიმე“.

აღნიშნული კარსტული მღვიმეების მიკროკლიმატი ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: მღვიმის ჰაერის სისუფთავით და შეიცავს ნახშირორჟანგის მომატებულ რაოდენობას (0,3 — 1,1 მოც.%). ჰაერის ტემპერატურა მერყეობს (+8) — (+15) გრადუს ცელსიუსის ფარგლებში. როგორც წესი, სპელეოაეროზოლი შეიცავს კალციუმის, მაგნიუმის და ჰიდროკარბონატის იონებს, შეფარდებითი ტენიანობა 90 — 100% -ია, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე არ აღემატება 0,1 მ/წმ-ში, რადიაქტივობა, რომლის სიდიდე ათობით, ზოგჯერ კი ასობით აღემატება ბუნებრივ ფონურ სიდიდეს, მაინც არ სცილდება ორგანიზმისათვის უსაფრთხო ფარგლებს. 1 მლ. ჰაერი შეიცავს დადებით და უარყოფით ათასეულობით მსუბუქ აეროიონებს. უნიპოლარობის მაჩვენებელი, ერთი და იმავე მღვიმის პირობებში, წლის განმავლობაში უმნიშვნელოდ იცვლება.

საქართველოში სპელეოთერაპიულმა სკოლამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. წლების განმავლობაში წყალტუბოს „თეთრი მღვიმის“ პირობებში საუკეთესო შედეგებით მკურნალობდნენ — ბრონქული ასთმით, ქრონიკული ბრონქიტით, ქრონიკული პნევმონიით, გულის იშემიური დაავადებით, ნეიროციკულატორული დისტონიით, ნევროზით, ნევრასთენიით, ესენციური ჰიპერტონიით და ჰიპოტონიით დაავადებულებს.

კარსტულ მღვიმეებს საქართველოში, მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ ტურიზმის განვითარების საქმეში. ცნობილია, რომ მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით, მაღალ განვითარებულ ქვეყნებში, სპელეორესურსები აქტიურად არის ჩართული ტურისტულ ინდუსტრიაში და დიდ შემოსავალსაც იძლევა. განსაკუთრებით ძვირადღირებულია სპელეოთერაპია.


საქართველოს მღვიმეების ნაწილი ატრაქციულობით გამოირჩევა: დიდი დარბაზები, მინისქვეშა მდინარეები, ტბები, უფსკრულები, ნალვენთების (სტალაქტიტები და სტალაგმიტები) სიუხვე და სხვა.

საქართველოში შესაძლებელია სპელეოტურიზმის რამდენიმე მიმართულების განვითარება — სანახაობითი (Show Cave tourism), ექსტრემალური (Caving) და სამკურნალო (Speleotherapy).

ერთ-ერთ ასეთ მღვიმეში, კურორტ წყალტუბოს მახლობლად, წარმატებით განხორციელდა პროექტი — “ყუმისთავის მღვიმე”, რომელსაც შემდგომში ეწოდა პრომეთეს მღვიმე. აქ იგეგმება სპელეოტურიზმის სამივე მიმართულების ერთდროულად გამოყენება და როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზარზე ახალი, ორიგინალური, ტურისტულ — რეკრეაციული პაკეტის სახით მიწოდება.

ღვინის ტურიზმი და ენოთერაპია

საქართველოში, როგორც ღვინისა და ვაზის კულტურის და ამასთანავე კურორტებით და ისტორიული ძეგლებით მდიდარ ქვეყანაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრიორიტეტული დარგის - სამკურნალო-გამაჯანსაღებელი





ტურიზმის ერთ-ერთი სახეობის, ღვინის ტურიზმის განვითარებას, რაც, თავისთავად იქნება ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ფაქტორი.

თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში – ენოთერაპიას, ანუ ღვინით მკურნალობას ფართოდ იყენებენ გულის დაავადებების პრევენციისთვის და აგრეთვე, სპა-თერაპიაში აბაზანების სახით. უცხოელი ექსპერტები თვლიან, რომ საქართველოში არის ყველა პირობა ღვინის ტურიზმის და ენოთერაპიის შერწყმისა და განვითარებისათვის.

2004 წლის შემოდგომაზე კახეთში ჩატარდა ღვინის ფესტივალი, სადაც წარმოჩენილ იქნა, რომ ვაზის კულტურას საქართველოში სულ მცირე, 7 ათასი წლის ისტორია გააჩნია.

ძალზე ძნელია მოიძებნოს მსოფლიოში მეორე ქვეყანა, სადაც ვაზის ამდენი უნიკალური ჯიში არსებობდეს. ვაზი ქართველი კაცის ეკონომიკური სიძლიერის საძირკველი იყო. უცხოელი მემატრიანეების მონაცემებით, საქართველოს

დიდი რაოდენობით გაჰქონდა ღვინო მსოფლიოს ბაზრებზე.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, სიტყვა „ღვინო“ დაედო საფუძვლად სიტყვა „ვაინს“ (VINE) ინდოევროპულ და სემიტურ ენებში. სტრაბონი და სხვა ბერძენიავტორები აღნიშნავენ კოლხური ღვინოების განსაკუთრებულ შეფერილობას და გემოს. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მოიპოვება იმდენი ნაირსახეობა ვაზისა, როგორც




საქართველოში. ასევე აღსანიშნავია თაობების მიერ შემონახული ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციები.

ნათქვამია, ვაზი და ადამიანი ერთდროულად დაიბადნენ საქართველოში. ქართველთა გამქრისტიანებელი წმინდა ნინო კაბადოკიელი, ვაზის ჯვრით ხელში შემოვიდა საქართველოში. ვაზის გამოსახულება არის გამოხატული ჩვენი ქვეყნის ხუროთმოძღვრულ ძეგლებსა და ჩუქურთმებზე.



რამდენადაც ღვინის ტურიზმში ერთმანეთთან შერწყმულია შემეცნებითი, კულტურული, სათავგადასავლო, რეკრეაციული და, ზოგჯერ, სამკურნალო ფაქტორები, საქართველოში მართლაც, შესანიშნავი პერსპექტივა ისახება ღვინის ტურიზმის განვითარებისათვის, რაც მის უდიდეს საკურორტო პოტენციალთან და კულტურულ ტრადიციებთან ერთად განუმეორებელ შთაბეჭდილებებს შეუქმნის უცხოელ ტურისტებს.

იტალიელი მეცნიერების (Mattivi, Nikolini, 2002წ.) მიერ დადგენილ იქნა ქართული წითელი ღვინოების განსაკუთრებულად გამოხატული ანტიოქსიდანტური თვისებები. ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ამითაც აიხსნას ქართველი ხალხის ჯანმრთელობა და დღევრძელობა საუკუნეების მანძილზე. სწორედ წითელი ღვინის ანტიოქსიდანტური თვისებებით არის ახსნილი მსოფლიოში ცნობილ მეცნიერთა კვლევის შედეგები – მისი პრევენციული მოქმედება (დოზირებული მიღებისას) გულისა და თავის ტვინის სისხლძარღვებში მიმდინარე ათეროსკლეროზულ პროცესებზე (F.Jones). „წითელი ღვინო ყველაზე ეფექტური საშუალებაა გულის დაავადებების პრევენციისათვის“- ამბობს ფრანგი მეცნიერი, პროფესორი სერჟ რეუნადი, და გულისხმობს მის დოზირებულ, დღეში



ორჯერადად მიღებას 75-100 მლ რაოდენობით. მედიცინაში ღვინით მკურნალობას ენოთერაპიას უწოდებენ, რომელიც უძველესი დროიდან გამოიყენება და განსაკუთრებით პოპულარულია იმ ქვეყნებში, სადაც ნატურალური ღვინოების წარმოებაა განვითარებული.

ოფიციალურად პირველი ღვინის სპა – ღვინის აბაზანებით სამკურნალო ცენტრი გაიხსნა საფრანგეთში, ბორდოს რეგიონში, 1999 წელს. შემდგომში საფრანგეთის მაგალითს მიბაძეს სხვა, ღვინით მდიდარმა ქვეყნებმა. ღვინის სპა გაიხსნა ესპანეთში, იტალიაში, ამერიკაში და სხვა. ღვინის აბაზანები დადებითად მოქმედებენ კანზე და აფერხებს დაბერების პროცესებს, რაც განპირობებულია ღვინოში ანტიოქსიდანტების და ფლავანოიდების შემცველობით. გარდა ამისა, ღვინის აბაზანა იწვევს რელაქსაციას და აქვს ანტისტრესული მოქმედება.

„SPA EGIO“-ში, რომელიც მდებარეობს რედმონდში, გარდა ღვინის აბაზანებისა, გამოიყენება არატრადიციული მკურნალობა, როგორცაა – რეფლექსოთერაპია, ჰიდროთერაპია, ბალნეოთერაპია, პელოიდოთერაპია, მათ შორის, ღვინის ნალექით შეფუთვა და ყურძნის ნიჰნების ზეთით მასაჟი ღია ტერასაზე, საიდანაც ჩანს ვენახები და ზვრები. ღვინის აბაზანებს ატარებენ ღვინის კასრებში, ან

სპეციალურ ვარცლებში, რომლებიც გარედან ნატურალური ხის მორებით არის მოპირკეთებული, რაც ბუნებრივ იერს მატებს მათ და აძლიერებს რელაქსაციის შეგრძნებას. „SPA EGIO“, ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოს 40 ქვეყნის 315 ღვინის სპა-ს შორის. აქ, რა თქმა უნდა, აბაზანებში არ ასხავენ როტმილდის ღვინოს ბოთლიდან, მაგრამ იყენებენ ღვინის ექსტრაქტს, რომელიც მდიდარია ნატურალური ანტიოქსიდანტებით.

ესპანეთში კურორტ პერალადას მესვეურები სთვლიან, რომ მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, არაფერია იმაზე უკეთესი სტრესის მოსახსნელად, ვიდრე ერთი ჭიქა ნატურალური ღვინო, დესერტთან ერთად და შემდეგ — შუშხუნა ღვინის აიროვანი აბაზანა.

ღვინის ტურიზმი ეკოტურიზმის სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და რაოდენ სამწუხაროა, რომ საქართველოს ღვინის წარმოების უმდიდრესი და უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყანას, სათანადო იმიჯი ჯერ არ გააჩნია მსოფლიო ბაზარზე. საქართველოს ვაზის კულტურისა და ღვინის წარმოების ტრადიციებით მდიდარ



რეგიონებში, როგორც არის კახეთი, იმერეთი, რაჭა – აქტუალურია ღვინის ტურიზმის განვითარების პროცესში, ძირითადი აქცენტები გაკეთდეს ქართული ღვინოების სამკურნალო-გამაჯანსაღებელ თვისებებზე, რაც ხელს შეუწყობს მეტი ტურისტის მოზიდვას და ამ რეგიონებში სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკის განვითარებას.

ისეთ ქალაქში, როგორც არის სიღნაღი, სასურველია, დაარსდეს პირველი ღვინის სპა საქართველოში, რაც კიდევ უფრო მრავალფეროვანს გახდის ქალაქის ტურისტულ ინფრასტრუქტურას და შესძენს მას საკურორტო ფუნქციასაც.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, უცხოელ ტურისტებს ვურჩევთ – ეწვიეთ საქართველოს კურორტებს, გაჯანსაღდით და შეებრძოლეთ სიბერეს და სხვადასხვა დაავადებებს, როგორც ბუნებრივი ფაქტორებით – ისე ქართული ღვინით!



ტურისტული ინფრასტრუქტურა

ღვინის მარნების (კომპანიების) სია კახეთში

ყვარელი

1. სააქციო საზოგადოება “ენისელი — ბაგრატიონი”.

ენისელის ტერიტორიაზე მდებარეობს ჯორჯაძეების სახლ-მუზეუმი, 125-ქვევრიანი კეთილმოწყობილი მარნით, იქვე იმართება ღვინის დეგუსტაცია. დასაგემოვნებლად კომპანიას შეუძლია შესთავაზოს როგორც ღვინო, ასევე, კონიაკი და შამპანიური. აქვეა თონეც.

ახლო მომავალში დაიწყება სასტუმროს მშენებლობა, სადაც მოეწყობა 4-5 ლუქსის ტიპის ნომერი.

2. შ.პ.ს. „ქინძმარაულის მარანი”.

თანამედროვე, მაღალ ინვესტიციანი ქარხანა-მარანი, რომელიც აღჭურვილია უახლესი დანადგარებით და აწარმოებს საუკეთესო ქართულ ღვინოებს.

გაშენებულია საკოლექციო ვენახი, 320 ქართული, ენდემური ჯიშის ვაზით.

ასევე გაშენებული ცხენსაშენი და ძალსაშენი.

კვების ობიექტი ძველ სტილშია გაკეთებული და შესაძლებელია 25 ადამიანის გამასპინძლება.

ადგილზე მუშაობს რუსული და ინგლისური ენების მცოდნე გიდი.

3. შ.პ.ს. „ზვარი XXI”, სოფელი გრემი.

კომპანია დაარსდა 2009 წელს, მდებარეობს სოფელ გრემში.

შემუშავებული გეგმის მიხედვით, მიმდინარე წლის ზაფხულში იწყება ქარხნის რეკონსტრუქცია, პარალელურად კი სასტუმროს მშენებლობა, რომელიც ძველებურ სტილში იქნება მოწყობილი.

აშენდება სპორტული კომპლექსი.
ეზოში გაშენებულია დიდი ბოსტანი, რაც საინტერესოა აგროტურისტული თვალსაზრისით.

ქარხნიდან იშლება ძალიან ლამაზი ხედი კავკასიონზე და გრემის მონასტერზე.

4. შ.პ.ს. „გიგი“, ადრინდელი „ძველი გვირაბი“.

ტურისტების მიყვანა შესაძლებელია კომპანიის კუთვნილ ფერმაზე, რომელიც მდებარეობს ტბაზე. ტბაზე არის ვაზით და ყვავილებით გაფორმებული სხვენები – მაგიდებით, სკამებით, თონეთი.

შესაძლებელია თევზაობა. იქვეა კომპანიის მიერ გაშენებული ვენახები.

5. შ.პ.ს. „საქართველოს ღვინოები“.

ქარხანა გაშენებულია ძალიან დიდ ტერიტორიაზე, პარკში, სადაც მოედინება მდინარე ფატმასური.

6. „კორპორაცია ქინძმარაული“.

მარანი გარშემორტყმულია ძველი ისტორიული კედლით და ლამაზად გაფორმებული ეზოთი.

ქარხანას აქვს ღვინის სახლი, სუვენირების და ღვინის მაღაზიით, სადგურსტაციო დარბაზით და პროფესიონალი დეგუსტატორებით.

ერთდღიანი ტურის დასრულების შემდეგ, სტუმარს გადასცემენ „მეჭაშნიკის“ დიპლომს.

არის კვების ობიექტი „კონჭოს ზაოდი“ ქართული დუქნის სტილში კახური და ფრანგული ტიპის არყის სახდელებით, სადაც არყის დაჭაშნიკება უფასოა.

ასევე არის პურის საცხობი თონეები.

მარანში არის ენოთეკა.

ტურისტებისათვის კეთდება გადმოსახედი ტერასა, საიდანაც იშლება ლამაზი ხედი კავკასიონზე და ვენახებზე.

იქვე ფუნქციონირებს ტურისტული კომპანია “Georgian Wine Road Travel Company”.

7. ჭიკანის ღვინის მარანი.

არის ღვინის ჩამომსხმელი ქარხანა.

8. შ.პ.ს. „საქართველოს მარანი“.

2011 წლიდან სტუმრების მისაღებად მზადყოფნაში იქნება გარემონტებული გვირაბები, მისასვლელი გზები და დასასვენებელი ადგილები (საჩრდილობლები), დასრულებული იქნება რესტორანი მთაზე, სადაც ტურისტები გვირაბიდან ავლენ ლიფტით.

შესაძლებელი იქნება ტურისტების გაყვანა გვირაბიდან ტყეში ბუნების დასათვალიერებლად.

იგეგმება მარადმწვანე ჯიშების — ფიჭვების, ნაძვებისა და კვიპაროსების გაშენება.

ერთ-ერთ გვირაბში იქნება სადგურსტაციო დარბაზი და ღვინის მაღაზია, სადაც სუვენირებიც გაიყიდება.

ეყოლებათ რუსულ-ინგლისურად მოლაპარაკე გიდები.

ტურისტული თვალსაზრისით, საკმაოდ საინტერესო და სანახაობრივი ობიექტია.

9. კახი შათირიშვილის მარანი.

კახი შათირიშვილის მარანი მდებარეობს ყვარელში, ახალსოფლის დასახლებაში.

მარანი გაშენებულია საოჯახო მიზნებისათვის და არა ტურისტებისათვის. მიუხედავად ამისა მარანი არის ღირშესანიშნავი და გადაღებული იქნა რამოდენიმე მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმში.

10. შ.პ.ს. „ტყუპების მარანი“. ნაფარეული

„ტყუპების მარანი“ წარმოადგენს ტურისტულ კომპლექსს, სადაც განთავსებულია როგორც ღვინის მარანი

92 ქვევრით, ასევე საოჯახო ტიპის სასტუმრო 5 ორ და სამკაცრიანი ოთახით, 3 ლუქსით, რესტორნით და საკონფერენციო დარბაზით.

მარნის ტერიტორიაზე გაშენებულია ვენახები, სადაც ტურისტებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა რთველში და შემდგომ ღვინის დანურვაში.

ადგილზე ხდება ღვინის რეალიზაციაც.

ტყუპების მარანში ტარდება სამთავრობო მიღებები, ქორწილები და სხვა ღონისძიებები.

იქვეა ლობოტას ტბა.

11. ღვინის კომპანია მარანი „ბადაგონი“, თანამედროვე უახლესი აპარატურით აღჭურვილი ქარხანაა.

ახმეტა (ყვარელიდან 61 კმ)

მარანში არის სადგეუსტაციო და საბანკეტო დარბაზები.

კომპანია თვითონ უზრუნველყოფს სტუმრებს და ტურისტებს საკუთარი ღვინით და სხვადასხვა ტურით, რომელთა შორის მთავარი ღირშესანიშნაობაა ალავერდის მონასტრის მამათა ღვინის მარნის მონახულება, სადაც შესვლა მხოლოდ ბადაგონის ტურისტებს შეუძლიათ (აქვთ ლოცვა-კურთხევა).

12. ლილი მურთაზაშვილის მარანი და ეთნოგრაფიული სახლი, სოფელი ქვემო ალვანი.

მარანი არის ძველებური საოჯახო ტიპის, ღვინო ქვევრებში არ ასხია.

მარანში არის ეთნოგრაფიული კუთხე, სადაც გამოფენილია ქ-ნი ლილის ხელნაკეთი ნივთები.

იქვე შესაძლებელია სუვენირების და ღვინის შექმნა.

13. გიორგი ინჯგიას მარანი.

ველისციხე (ყვარელიდან 20კმ)

მასპინძელი თანამშრომლობს სხვადასხვა ტურისტულ კომანიებთან და არის საკმაოდ გამოცდილი ტურისტების მიღებაში. ადგილზე ღვინის დაგემოვნებასთან ერთად, სტუმრებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება მანვინის დამზადებაში, შოთის გამოცხობაში, ძაფის დართვაში და ჩურჩხელების ამოვლებაში.

იქვეა ქ-ნი ნუნუ კარდენახლიშვილის მარანი- მუზეუმიც.

14. ნუნუ კარდენახლიშვილის მარანი.

მარანი განლაგებულია დიდ ეზოში, რომელშიც დაგეგმილია „გესტჰაუზის“ გაშენებაც.

ეზოში წარმოდგენილია ღვინის დამზადების და შენახვის სხვადასხვა ძველებური ატრიბუტიკა.

თვითონ მარანი თარიღდება 16 საუკუნით და, ფაქტიურად გადაქცეულია მუზეუმად, სადაც ინახება ბევრი საინტერესო და ძვირფასი ნივთი, მაგალითად ვანო სარაჯიშვილის ნაქონი საწნახელი.

ქვევრებში ღვინო არ ასხია, მაგრამ ძალიან ლამაზია სანახაობრივად.

15. გია ალიაშვილის მარანი.

გურჯაანი (ყვარელიდან 27 კმ)

გია ალიაშვილი არის „Georgian Discovery Tours“-ის დამფუძნებელი და მფლობელი, შესაბამისად მის მარანს სტუმრობს ბევრი ტურისტი, რომელიც ჩამოდის კახეთში სხვადასხვა ტურით.

მარანი წარმოადგენს ტიპიურ ქართულ გლეხურ მარანს, საინტერესო გაფორმებით და შემოთავაზებული სერვისით: სუფრა ფოლკლორის თანხლებით, შოთის გამოცხობა, ღვინის დანურვა, რთველში მონაწილეობის მიღება.

იქვე ხდება ღვინის რეალიზაცია ბოთლებში, თავისივე საფირმო ეტიკეტით.

16. მარანი „კახური ეზო“.

თელავი (ყვარელიდან 34კმ)

მარანი „კახური ეზო“ წარმოადგენს პატარა ტურისტულ კომპლექსს, რომელიც არის აგროტურიზმის ერთერთი საუკეთესო ნიმუში საქართველოში. „კახურ ეზოში“ არის რესტორანი, დუქანი „ზაოდით“ და ბუხრით, და საოჯახო სასტუმრო.

იქვე გაშენებულია ბოსტანი.

მასპინძელი უზრუნველყოფს სტუმრებს უცხოენოვანი გიდებით და ტრანსპორტით – თუშეთში გამგზავრების მსურველთათვის.

ასევე, შემოთავაზებულია ტრანსფერი თბილისის აეროპორტიდან და პირიქით.

17. ღვინის კომპანია მარანი

„GWS“, ღვინის კომპანია მარანი „ჩქმ“ განლაგებულია ქ. თელავში.

ქარხანა არის კარგ მდგომარეობაში, ტერიტორიაზე გაშენებულია ლამაზი და მოვლილი ეზო და პარკი, სადაც არის რამდენიმე ტურისტული ღირსშესანიშნაობა: მარანი, სადეგუსტაციო დარბაზი, გალერეა და საქეიფო სხვენი.

კომპანია წლების მანძილზე იღებს სტუმრებს და ტურისტებს და მზად არის ითანამშრომლოს საქართველოს ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტთან.

18. ღვინის კომპანია მარანი „თელავის ღვინის მარანი“ –

ასევე მდებარეობს თელავში.

თელავის ღვინის მარანი აწარმოებს ძალიან კარგ ღვინოებს, რომლებიც წარმატებით სარგებლობენ ევროპულ ბაზარზე.

ქარხანა აშენებულია თანამედროვე სტანდარტების მიხედვით და აწარმოებს ღვინოებს როგორც ევროპული, ისევე ძველი ქართული ტექნოლოგიებით. ქარხანა უშვებს

ქვევრის ღვინოს – „სატრაპეზოს“, რომელიც დამზადებულია რქანითელისგან.

19. ღვინის კომპანია მარანი „შუმი“.

წინანდალი (ყვარელიდან 37 კმ)

მარნის ეზოში გაშენებულია ქართული ენდემური ჯიშების ვენახები, ასევე, არის საქეიფო დარბაზი, სხვენი და პატარა სოფლის სახლი.

კომპანია აწარმოებს ძალიან კარგ ღვინოებს, მათ შორის სადეგუსტო ვერმუთს, უნიკალური რეცეპტით.

მარანის მთავარი ღირსშესანიშნაობა არის ღვინის მუზეუმი, რომელშიც მოთავსებულია ქართული ღვინის კულტურის და ისტორიის უნიკალური ნიმუშები, მათ შორის ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIII საუკუნის ქვევრი, რომელიც სიღნაღში იქნა აღმოჩენილი.

20. ვაჟა ნიკოლაიშვილის მარანი.

წინანდალი.

მარანი უნიკალურია ეზოში დარგული 130 ძირი ვაზით, რომელიც ყველაზე ძველი და დიდია მსოფლიოში.

ვაზი შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში და მასზე ტარდება განსაკუთრებული დაკვირვება და მოვლა მეციერების მიერ.

ეს ვაზი ისხამს თითას ჯიშის ყურძენს და თითო მტევანი იწონის 1-1,5 კილოგრამს.

ეზოში, ასევე, გაშენებულია 25-მდე ქართული ჯიშის ვაზის ვენახები და დაგეგმილია საოჯახო ტიპის სასტუმროს მშენებლობა.

მასპინძელს შეუძლია უზრუნველყოს სტუმრები სუფრით და ღვინის დეგუსტაციით, რომელიც დაზადებულია და ასხია ქვევრებში.

შემოდგომაზე ატარებს „ზაოდობას“.

21. სიმონ რუაძის მარანი „ზაოდი“,

ჩუმლაყი (ყვარელიდან 27 კმ)

მასპინძელი გამოცდილია ტურისტების მიღებაში, ფლობს რამოდენიმე უცხო ენას, სტუმრებს ხვდება ქართული ჩოხით ფოლკლორის თანხლებით, რომელსაც ასრულებს თვითონ, შვილებთან ერთად.

მასპინძლის მამა ამზადებს ხისგან ხალხურ ინსტრუმენტებს.

მარანი არა აქვს, მაგრამ ეს არ უკარგავს „ზაოდს“ თავის ხიბლს.

ტურისტებს ეძლევათ საშუალება, გაატარონ დაუვიწყარი დრო და დააგემოვნონ ღვინო და ქართული კერძები ნამდვილ კახურ, გლეხურ ოჯახში.

22. მარანი „ხოხბის ცრემლები“,

სილნალი (ყვარელიდან 51 კმ)

მარანი მდებარეობს ქ. სილნალში და არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ტურისტებისთვის საინტერესო ღვინის მარანი საქართველოში. მფლობელია ამერიკელი ჯონ უერდემანი.

მარანში არის ლამაზი ეთნოგრაფიული კუთხე, სადაც ტურისტებს საშუალება ეძლევათ ეზიარონ ქართულ ხალხურ მუსიკას და ხელით ნაკეთ ნივთებს: ეროვნული სამოსელი, ნოხები და სხვ.

თვითონ ჯონიც მღერის ქართულ ფოლკლორს და საგალობლებს. მისი მეუღლე ხელმძღვანელობს სახალხო ბავშვთა ანსამბლს „ზედამეს“.

მარანში ჩაყრილია ძველებური ქვევრები, რომლებშიც მზადდება ღვინო, რომელიც იყიდება შეერთებულ შტატებში. ღვინის დეგუსტაცია და რეალიზაცია ხდება ადგილზეც – იქვე მარანში.

ზაფხულის სეზონზე მარანში ფუნქციონირებს ღია ტერასა რესტორნით.

ვენახი, რომელიც გაშენებულია სოფელ ტიბანში – სილნალთან, ხირსას ეპარქიის გვერდით.

ტერიტორიიდან იშლება ძალიან ლამაზი ხედი კავკასიონზე.

ტურისტებს საშუალება ეძლევათ შეიძინონ სიმბოლურ ფასად ქვევრი ღვინოთი და ყურძნის დაღვინების შემდეგ, საზეიმოდ გახსნან კუთვნილი ქვევრი. ადგილზე არის სუფრის — მწვადის და შოთის გამოცხობის, ასევე არყის გამოხდის „ზაოდობის“ პროცესში მონაწილეობის მიღების საშუალება.

როგორც წესი, ამ ვენახების მონახულება ხდება იმავე ტურისტების მიერ, რომლებიც სტუმრობენ „ხოხბის ცრემლებს“ სილნალში.

23. გოდერძი გონაშვილის მარანი სოფელ ნითელწყაროში

დედოფლისწყარო (ყვარელიდან 76 კმ)

მარანი განთავსებულია ლამაზად სტილიზებულ ეზოში, ბევრი ქვევრით და ქართული დროშით.

ბ-ნი გოდერძი არის ძალიან გამოცდილი და სტაჟიანი მეღვინე და აწარმოებს კარგ ქვევრის ღვინოებს.

ეს მარანი საინტერესოა იმათთვის, ვინც მიემგზავრება ვაშლოვანის ეროვნულ პარკში. იქვეა ხირსას ეპარქია, ხორნაბუჯის ციხე-სიმაგრე, მირზაანის ფიროსმანის სახლ-მუზეუმი, ბოდბეს მონასტერი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიგაური გ.ნ. — საქართველოს ტყეების კურორტოლოგიური მნიშვნელობა, თბილისი, 1960.
2. გეგეშიძე მ. — ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში. თბილისი, 1982.
3. გვალია ტ. - გეოგრაფიული ფაქტორისა და ქართული კულტურის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1981.
4. ვადაჭკორია მ.კ, უშვერიძე გ.ა, ჯალიაშვილი ვ.გ. - საქართველოს სსრ კურორტები, თბილისი, 1987.
5. ელიავა ი, ნახუცრიშვილი გ, ქაჯაია გ. — ეკოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 1992.
6. თარხან-მოურავი ი.დ. — სპელეოთერაპია. თბილისი, 2000.
7. კოლხეთის დაცული ტერიტორიები — საველე მეგზური. „ბუნება პრინტი“, 2000.
8. მარუაშვილი ლ. — მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები. ზოგადი სპელეოლოგია, თბილისი, 1973.
9. მაისურაძე დ, ვერბეცკი ი, ხუციშვილი თ. — ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები. თბილისი, 2008.
10. მიქაძე ი. — ეკოლოგია, თბილისი, 2006.
11. მშვენიერაძე შ.გ. — მკურნალობა თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტზე, თბილისი, 1963.
12. სოფრომაძე ზ.გ. — სპელეოთერაპიის გავლენა გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციურ მდგომარეობაზე გულის იშემიური დაავადებით შეპყრობილ ავადმყოფებში, სადისერტაციო მაცნე, თბილისი, 1993/
13. Апхазова И.С. – Озера Грузии, Тбилиси, 1975.
14. Биржаков М.Б. – Введение в туризм, Москва-Санкт-Петербург, 2006.

15. Гвалия Т, Маисурадзе Д, Хуцишвили Т - Антропогенный ресурс экологического туризма . Кавказский географический журнал, № 7-8 , 2007.

16. Мироненко Н. С, Твердохлебов И. Т. Рекреационная география, Москва, 1981.

17. Нодия М. Ю. - Боржомская группа курортов и лечебных местностей, Тбилиси, 1956.

18. Тархан-Моурავи И. Д. - Рекреация , Курорты , Туризм . Москва , 2006.

19. Хуцишвили Г. - Приглашение в Грузию, Тбилиси , 1974.

20. Хуцишвили Г. – Тбилиси через века и годы, Тбилиси , 1981.

21. Constant,F.,Guillemin,F, Collin, J.F, Boulange, M. Use of spa therapy to improve the quality of life of chronic low back pain patients. Medical care.- 1998. -Vol. 36,- p.1309-131 4.

22. Forrester J.W. – Word dynamics. Cambridge, MS 1971.

23. John R. Walker. – Introduction to Hospitality. PRENTICE HALL, 1999.

24. Karaiskaki, T.- Spas against stress. H Kathimerini.- 1996. -August .-Vol.11,- p 14-20.

25. McLaren D. – Rethinking tourism and ecotravel: the paving of paradise and what you can do to stop it. West Hartford , Connecticut, USA : Kamarian Press, 1998.

26. Our Big Trees Saved. The National Geographic Magazine, Vol. XXXI –No 1,(January 1917)

27. Saakashvili N. M, Chilingarishvili T.G, Jakobia N.V, Lomidze M.G, Kakulia N.A, Kvinikadze I.R.

- Outlooks of spa-tourism developing in terms of health resort Sairme.

Collection of scientific works of international conference Sairme June 10-13, Tbilisi 2010,- p. 140-144.

28. Smith K. – Environmental hazards. London , Routledge, 1996.

29. The National Parks of America. Multimedia Books Ltd, 1989.

30 Tsartas, P. -Social implications of mass tourism in developing countries. Social research review.- 1987.-Vol.- 66.-p. 86-99.

31 <http://ka.wikipedia.org/wiki>

კატეგორია: საქართვეოს ნაკრძალები- ვიკიპედია.

32 Frank Jones “THE SAVE YOUR HEART WINE GUIDE“ - HEADLINE BOOK PUBLISHING, London NW1 3BH,1995., p.3-26

33. www.winecountry.com/thingstodo/spas/indexs.2004/10/11





34 www.grand-cru-travel.co.uk/short-breaks/short-breaks-display.2004/10/11

35 www.seattle.bizjournals.com/seattle/stories/2007/01/29


36 [www.gayot.com/lifestyle/spa/features/wine and bath pairing.2008/03/10](http://www.gayot.com/lifestyle/spa/features/wine_and_bath_pairing.2008/03/10)

„წა – ფირსუზ, ხმელეთ – ზყრმუსტო,
ჩემო სამშობლო მხარეო...“

აკაკი



საქართველო ტურიზმისა და
სპორტის მინისტრის განკარგულებაში



ფასი: 10GEL ცალი